


„პრემიუმის“ სკანდალური აღმოჩენა



ნაკოლეონისა და ჟოზეფინას საძინებელი თბილისშია

სერიული მკვლელის წერილი და თვითმკვლელობა



„ყველაფერს მართალს მიყვებით“
exclusive
Time

SCANDAL

მანია მიმინოშვილმა საკუთარ ვაჟს ერთ თვეში ბიუჯეტიდან 2700 ლარი გადაუხადა



„უტყუარი ინფორმაცია გვექონდა, რომ გიგი უგულავა ქვეყნის დატოვებას აპირებდა. ამიტომ სთხოვეს მისმა ადვოკატებმა მოსამართლეს პროცესის 1 კვირით გადადება“

რატომ მიიღო პაპუაშვილმა სწრაფად გადაწყვეტილება და რა გეგმები ჰქონდა ყოფილ მერს



Samsung Mobile Phone



Ⓐ კორკორაციულ მენეჯერს საქართველოში რომანი აქვს, ფანჯირი და თავის ავარიკალ მუღღლას შოკში აგდებას!

საკონსტიტუციო სასამართლოს ორმაგი სტანდარტი



„გაცილებით ადრე შეტანილ სარჩელზე სასამართლო 17 თვეა, სათათბირო ოთახშია გასული“

„ტექნიკური მიზეზების გამო სახელმწიფომ უარი თქვა და დაფინანსება არ მოხერხდაო“



თამარ სანიკიძე სკანდალში გაეხვირა

ჯანდაცვის სამინისტრო ეპიდემიას მალავს?!



„ჭირჭირებით ვუმკვლავდებით პაციენტთა რაოდენობას...“

EXCLUSIVE

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

ენებით „ევექსის“ ახალ ამგულატორიულ ცენტრს გლდანში და 28,29,30 სექტემბერს მიიღეთ უფასო სამედიცინო მომსახურება

სკანდალური ექსკლუზივი

რა თანხას აბროვებენ ქუჩის მათხოვრები ერთ საათში

exclusive



„ბათურია აქედან, ეს ჩვენი ადგილია. შენ აქ არაფერი გესაქმებაო. მოუდოა ფულის შოვნა, რაა“

PRIME Time ექსკლუზივი

ჟოზეფინასა და ნაპოლეონის



ირაკლი მამალაძე

საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტესა და ჟოზეფინა დე ბორნეს ამპირის უნიკალური საძინებელი თბილისშია. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, ანტიკვარული ნივთი ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში მცხოვრები ოჯახის საკუთრებაა. ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ მფლობელის ვინაობას, თუმცა ექსკლუზიურად გთავაზობთ ფოტოსურათებს. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, ამ ფოტოებმა ფრანგი სპეციალისტები საგონებელში ჩააგდო. ექსპერტიზის წინასწარი შედეგებით, ეს ხელოვნების ნიმუში ნამდვილად საფრანგეთის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს. უნიკალური ავეჯის ისტორიის შესწავლას სპეციალისტები განაგრძობენ და უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოსვლასა და ხელოვნების ნიმუშის დეტალურ დათვალიერებას გეგმავენ. თუმცა იმის ვარაუდს, რომ საძინებელი ნამდვილად იმპერატორს ეკუთვნოდა, სანოლზე გამოსახული ნაპოლეონისა და ჟოზეფინას ფიგურები იძლევა. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, უნიკალური ავეჯის ნახვის საშუალება უკვე მიეცათ საფრანგეთის ელჩსა და საელჩოს თანამშრომლებს.

ქართველ ებრაელს ჩაუვარდა ხელში და მან ის თბილისში გაასვენისა... არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც უნიკალური ნივთი ერმიტაჟის მუზეუმში ექსპონატის სახით იყო წარმოდგენილი და გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. „პრაიმტიმმა“ ამ უნიკალური და ძვირად ღირებული ავეჯის შესახებ რამდენიმე თვის წინ ვრცელი მასალა მოამზადა, სადაც სპეციალისტებისა და ამჟამინდელი მფლობელის ინტერვიუები გამოქვეყნდა. ქართველი ექსპერტი ამპირის ავეჯს XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებდა. ასახელებდა ანტიკვარული ნივთის საფარად ფასსაც. კერძოდ, 5 მილიონ ევროს. სწორედ ამ ფასად გეგმავს მფლობელი მის გასხვისებას იმ შემთხვევაში, თუ ფრანგული მხარე უნიკალური ავეჯის საფრანგეთში, კერძოდ კი ლუვრის მუზეუმში დაბრუნებას გადაწყვეტს. მოლაპარაკებები სახელმწიფოებრივ დონეზე გაიმართება, სადაც ამჟამინდელი მფლობელის ინტერესები იქნება გათვალისწინებული. დაიბრუნებს თუ არა საფრანგეთი ნაპოლეონისა და ჟოზეფინას საძინებელს, ეს მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, რაც ექსპერტები და ხელოვნებათმცოდნეები საბოლოო დასკვნას დაადებენ. ამ დროისთვის ამპირის საძინებელი თბილისშია. „პრაიმტიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ფოტოებსა და ინტერვიუებს ანტიკვარული ნივთის მეპატრონესთან და ქართველ ექსპერტთან.

„ეს არის კალიან სკრუპულოზული, კალიან მდიდრული, დახვენილი და გემოვნებიანი ნამუშევარი“



როგორ აღმოჩნდა თბილისში ამპირის საძინებელი? ამ ეტაპზე არსებობს რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთის მიხედვით, უნიკალური ავეჯი საფრანგეთიდან პეტერბურგში მოხვდა. კერძოდ ქართველი გენერლის საკუთრებაში. მოგვიანებით კი, საძინებელი ანტიკვარიანტით მოვაჭრე

„პრაიმტიმთან“ საუბარში ოჯახის დიასახლისი იხსენებს, რომ უძველესი ნივთები მისი მამამთილის საკუთრება იყო და გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით ერგოთ. – როგორც გადმოცემით ვიცი, ეს ანტიკვარული ავეჯი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხვდა ჩვენს ოჯახში. ჩემი მამამთილი ცნობილი ფინანსისტი იყო და ქართველ ებრაელებთან ერთად მუშაობდა. მაშინ თბილისში ჯერ

„შეიძლება ითქვას, სამუზეუმო სივრცე მაქვს სახლში. გაცეხებულაბი მიღიან, ვერ იჯარებენ, რომ ასეთი უნიკალური ავეჯი ნახეს თბილისში“

საძინებელი თბილისში იპოვეს



„ერთ-ერთი პერსიის მიხედვით, უნიკალური ავეჯი საფრანგეთიდან პეტერბურგში მოხვდა. კერძოდ ქართველი გენერლის საკუთრებაში“

კიდევ უამრავი ებრაელი ცხოვრობდა და მათი ქონებისა და ანტიკვარების შესახებ ლეგენდებს დღემდე ყვებიან. სწორედ მათი დახმარებით შეიძინა ჩემმა მამამთილმა მე-17 საუკუნის საწოლი და კაბინეტი, ანუ მაგიდა, 12 სავარძელი, ტახტი და კარადა.

– თუ იცით, ვის ეკუთვნოდა

ეს ავეჯი თქვენს მამამთილამდე?

– ასევე, გადმოცემით ვიცი, რომ ქართველი გენერლისგან შეიძინა, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, ეს ავეჯი ერმიტაჟის საკუთრება იყო, მაგრამ მერე ამ გენერლის მფლობელობაში აღ-

მოჩნდა. სწორედ მისგან შეიძინა და შემდეგ თბილისში ჩამოიტანა.

– როგორც წესი, ასეთი ავეჯის დამზადებას წლები სჭირდება და თან ის კონკრეტული დიდგვაროვნისთვის ან მეფისთვის მზადდებოდა. ხომ არ არის მითითებული, ვისთვის იყო დამზადებული?

– არა, ეს ინფორმაცია არ იყო დატანილი. ენერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ელაცას დასჭირდა კვალის ნაშლა.

– ეს ავეჯი თქვენს სახლზე 50-ჯერ ძვირი ღირს და რატომ არ ყიდით?

– არის ძალიან დიდი დაინტერესება. მოდიოდნენ და დღემდე

მოდიან ბროკერები, საელჩოს თანამშრომლები... უღებენ ფოტოებს, გაკვირვებულები არიან, მაგრამ, როცა გაყიდვაზე მიდგება საქმე, ხან ფასზე ვერ ვთანხმდებით, ხანაც ჩვენი მიზეზით იშლება გარიგება. მთავარი მიზეზი მაინც ჩემი შეუღლება, რომელმაც რამდენჯერმე ჩაშალა გარიგება, ვერ ელევა და ამიტომ. ისე, თუ გავყიდით, მირჩევნია, საქართველოში დარჩეს, რადგან ძალიან რთულად მოხდა მისი ქვეყანაში შემოტანა და არ მინდა, რომ თბილისი დატოვოს.

– ქართველ ბიზნესმენებს არ გამოუთქვამთ მისი შექმნის სურვილი?

– არა, მე პირადად არ შემითავაზებია, მაგრამ არც ეგენი მოსულან...

– რომელი ქვეყნების ელჩები იყვნენ დაინტერესებულნი?

– თითქმის ყველა ნამყოფია, ბოლოს საფრანგეთის ელჩი იყო. შეიძლება ითქვას, სამუზეუმო სივრცე მაქვს სახლში. გაცვებულები მიდიან, ვერ იჯერებენ, რომ ასეთი უნიკალური ავეჯი ნახეს თბილისში.

მე-17 საუკუნის ნივთების ნახვამ ხელოვნებამცოდნე ნაზი მაისურაძეც აღფრთოვანა. ექსპერტი აცხადებს, რომ ხელოვნების ნიმუში კარგ მდგომარეობაშია.

– ეს მართლაც უნიკალური ავეჯია. იცით, ამ სიტყვასაც ვერ უწოდებ. შემოდია, დარწმუნებით ვთხოვრათ, რომ შეიძლება მისი ანალოგი მსოფლიოში არც იყოს. ნამდვილად მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია.

– ქალბატონო ნაზი, რა ღირს ეს ავეჯი?

– ასეთ ნივთებს ფასს ხშირად ბროკერები ადებენ და აუქციონზე იყიდება ეს ნივთები. მსოფლიოს ნამყვანი აუქციონები სიამოვნებით გაიტანდნენ ლოტში. ისე კი, მისი ფასი შესაძლოა, რამდენიმე მილიონ დოლარს ასცდეს.

– თავად ნაკეთობაზე რა შეგიძლიათ გვითხროთ?

– ფაქტია, რომ ის დამზადებულია დიდგვაროვნისთვის. სავარაუდოდ, რომელიმე ევროპული ქვეყნის მეფისთვისაც კი. ეს არის ძალიან სკრუპულოზული, ძალიან მდიდრული, დახვეწილი და გამოვნიანი ნამუშევარი.

– თქვენი ვარაუდით, როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ეს ავეჯი თბილისში?

– რთული კითხვაა. ფაქტია, ენ, შავ ბაზარზე შექმნილი. 40-იან და 50-იან წლებში ასეთი ნივთები სამუზეუმო სივრცეებიდან იკარგებოდა და პირად კოლექციებში ხვდებოდა, რა თქმა უნდა, უკანონოდ.

უნიკალური ავეჯის ნახვის საშუალება უკვე მიიცა საფრანგეთის ელჩსა და საელჩოს თანამშრომლებს



„გაეთრია აქედან, სოცი



სოცი

გიორგი ურუშაძე


ხშირად ვუყურებთ, განვიცდით და ვეხმარებით. თუმცა მათ ადგილას თავი არასდროს წარმოგვიდგენია. ეს არარეალურია. მართალია, ისინი ჩვენი ყოველდღიური ნაწილი არიან, მაგრამ მათ მაინც გარესამყაროს შვილებად აღვიქვამთ. მათი საქართველოს სხვა გვეგონია. ისინი დროებით შეფარებულ სტუმრებად მიგვაჩნია და მათთვის განვდილი დახმარება მექანიკურ პროცესს ჰგავს.

რუსთაველის გამზირი – პირველი დახმარება

მოირგო ადამიანის ტყავი, რომელიც გარიყული და უცხოა, მარტივი არ ყოფილა. პირადი ემოციებისა და ეთიკური ნორმების სადარაჯოზე მყოფმა გაგებდე ქალაქში გასვლა. ძველი სპორტული შარვალი, დახეული კედები და კაპიუშონიანი ზედა ჩემი თავმესაფარი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოციოდე მეტრის მოშორებით კამერით შეიარაღებული კოლეგა მდარაჯობდა, თავი მაინც უსუსურად ვიგრძენი. ჩამოფხატული კაპიუშონის შიგნიდან ნახევარი ადამიანები ჩანდნენ. მათი ფეხების მოძრაობა – ჩემი სამიზნე, რუსთაველის გამზირი კი ჩემი სამუშაოს პირველი პუნქტი გახდა. ქუჩაში, კიბეებთან მოვკალათდი. გავისუსე, თავი დაეხარე და დაველოდე.

„ზარა“, „ადიდასი“, „კოტონი“, „ფულბეარი“, ლილო ჩემს ცხვირწინ მოძრაობდა. ფეხსაცმლისა და დედამიწის ურთიერთობა ჩემს თვალბრუნებულ იკვებებოდა. ამ დროს მიეხ-

„პრაიმტიმის“ ექსკლუზიური ექსპერიმენტი და ქუჩაში „მათხოვრობით“ შეგროვებული 9 ლარი




ეს ჩვენი ადგილია“

ალური ექსპერიმენტი

როგორია,

იყო

„მათხოვარი“



რომელიც დახმარებას მუსიკის სანაცვლოდ ითხოვდა, მთელი ქუჩის განწყობას ქმნიდა. ადამიანები ჩემს თავთან აბიჯებდნენ. პირველად გავუსწორე თვალი ფეხსაცმლის კიდევებს და მივხვდი, რომ აქ ქვემოთ, სულ სხვა სამყაროა. პრინციპი – „იმათხოვრე“, რათა გადარჩე, დღიური საზრდოა.

თავისუფლების მოედანი – მიგაკველობითი გულკეთილობა

თავისუფლების მოედანზე მოხუცებული ქალბატონის გვერდით მოვკალათდი. ჩემი „კოლეგა“ იყო. სხვა ვითარებაში თავად ვეხმარები ხოლმე და ახლა მის კონკურენტად ვიქეცი. გავნილდი, მაგრამ კაპიუშონის დახმარებით ვერავინ შემაძინია. მიხაროდა, რომ მიშის დამალვაც შემეძლო. ამ ყველაფერმა გამათამაშა და როლში შევედი. ახლა პროფესიონალი „მათხოვარი“ ვიყავი. ხელსაც გამალეზით ვინვდიდი და დახმარებასაც თამამად ვითხოვდი.

აქ ერთ ფაქტორს დავაკვირდი. ადამიანები ხშირად მათხოვრებს მიმბაძველობის გამო ეხმარებიან. აი, ასე, გაჩერდა ერთი, დამეხმარა. მას გამვლელები ხედავენ და თვითონაც უჩნდებათ დახმარების პასუხისმგებლობა და თანაგანცდა იმისა, რომ ჩემი ბედი მათ ხელშია. თავისუფლების მოედანზე დამატებით 3 ლარი მოვაგროვე და საბოლოო დანიშნულების პუნქტისკენ გავემართე.

სადგურის მოედანი, მეტრო, მეორე ხაზი – „უსინათლო“ თვალისჩინიანი კონკურენტი

უამრავი ხალხი და უამრავი კონკურენტი. ასობით გამვლელი, რომელიც ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს. აქ ყველა ტიპის ადამიანს შეხვდებით. სწორედ ამიტომ ჩემი ექსპერიმენტის ბოლო სამიზნე სადგურის მოედანია. აქ ფეხების რაოდენობა გაასამაგდა. კონკურენტების თვალშიც უფრო მწველი გახდა. მოხუცი ქალბატონი შორიდან ყვიროდა: „გაეთრე აქედან, ეს ჩვენი ადგილია. შენ არაფერი არ გესაქმებაო. მოუნდა ფულის შოვნა, რაა“.

იქვე ახლოს მცხოვანი ბერიკაციც იჯდა, უსინათლო. თუმცა, ეს კარგად შენიღბული იმიჯი აღმოჩნდა. ჩემი მისვლიდან 15 წუთში, ხალხის ნაკადის მიღების დროს, ბაბუა მოვიდა, მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: „გაეცალე აქაურობას, ეს ჩვენი, უსინათლოების ადგილია, მერიისგან გვაქვს უფლება, რომ ვიმუშაოთ“...

შევეცადე, თავი არ გამეყიდა და თავაულებლად გავაგრძელე შემწეობის თხოვნა. თითო მატარებლიდან გამოსული ნაკადიდან ერთი ადამიანი მაინც მეხმარებოდა. ნახევარსაათიანი მუშაობის შემდეგ, გადავწყვიტე, თავი თავად გამეყიდა და ხალხის ნაკადის გამოსვლას დაველოდე. პიკის მომენტში უცხად ნამოკდები, კაპიუშონი მოვიხადე და წყლის ბოთლში შეგროვილი ხურდებით თამამად გავიარე. ხალხის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. წუთში საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში მოვექეცი. უცხად, ადამიანი, რომელიც მათთვის ყოველთვის ქვემოთ მჯდომი არსებდა იყო, შეიცვალა და მათ გაუთანასწოდა. სოციალური უთანასწორობა და კლასობრივი განსხვავება ჩამოიშალა.

შედეგი: 9 ლარი რატომ? პასუხისთვის, იხილეთ პირველი აბზაცი.

ვდი, რომ არაა აუცილებელი, ადამიანს თვალეში უყურებდე. ფეხსაცმელსაც შეუძლია ბევრი რამის თქმა. მაგალითად, „ზარა“ და „ფულბეარი“ იშვიათად მეხმარებოდნენ. აი, ლილო კი – საკმაოდ ხშირად.

ბოთლისგან გამოჭრილი პატარა დოლურა ჩემს სამუშაო იარა-

ლად იქცა. პირველი დახმარება ახალგაზრდა გოგონასგან მივიღე. ფეხებით მივხვდი, ლამაზი იქნებოდა. პირველს მოჰყვა მეორე, მესამე და ასე წელ-წელა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამვლელი არ გეხმარება, თანხის მოგროვება რუსთაველის გამზირზე მაინც შესაძლებელია.

ლესელიძის ქუჩა – გაკვირვებული თვალი

ლესელიძის ქუჩაზე ყველაზე ხალხმრავალი ადგილი ავირჩიე. ამჯერად, დაჯდომის ნაცვლად, განოლა ვამჯობინე და ამით უფრო დავიმსახურე ხალხის ყურადღება. ძირითადად, ტურისტები მოძრაობდნენ, თუმცა დახმარება

არც ერთი მათგანისგან არ მიმიღია. ამ მონაკვეთში მხოლოდ ერთი ადამიანი დამეხმარა. გავიგონე, ქართულად დამლოცა. პირადად არავინ მოსულა. ალბათ, მინაზე გაწოლილს ალკოჰოლიკის გარეგნობა უფრო მქონდა.

სამუშაო პროცესს მუსიკის ჰანგები მიმსუბუქებდა. ჩემი კოლეგა,

ჯანდაცვის სამინისტრო

სალომე ჯოლია

უკვე რამდენიმე კვირაა, რაც თბილისში არსებულ ინფექციურ საავადმყოფოებთან პაციენტების რიგი არ წყდება. იმდენი ადამიანი აკითხავს საავადმყოფოებს, რომ მათთვის შესაბამისი მომსახურების განევა ჭირს. მსგავსი სიტუაციაა როგორც ბავშვთა, ასევე ცენტრალურ ინფექციურ საავადმყოფოში, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია, მიიღოს 14 წელს ზემოთ ადამიანები. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, კლინიკებში ადგილი არ არის და პაციენტებს სხვადასხვა კლინიკებში ანაწილებენ.

იმის გასარკვევად, რამ გამოიწვია პაციენტთა რიცხვის გაზრდა და გვაქვს თუ არა საქმე გარკვეული სახის ეპიდემიასთან, დავუკავშირდით დაავადებათა კონტროლის ცენტრს და გავესაუბრეთ გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსს ხათუნა ზახაშვილს, რომელმაც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:

„ის, რაც ხდება, არ არის ეპიდემია. ეს არის ნაწლავური ინფექციების სეზონური მატება. სწორედ ამ პერიოდში მატულობს ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციები. მიიღა აღნიშნო, რომ ნაწლავთა ბაქტერიული ინფექციების ნაწილი სეზონური მატების პროცესშია. პაციენტთა მატება ამ სეზონზე მოსალოდნელიც იყო. მეორე მხრივ, ვირუსული ინფექციები დაკავშირებულია მასიურ თავშეყრასთან ბალებსა და სკოლებში, სადაც ძალიან ადვილად არის შესაძლებელი დაუბანელი ხელებით საკვების მიღება, რაც თავისთავად იწვევს ნაწლავურ ინფექციას დაავადებებს, კერძოდ, ნოროვირუსულ დაავადებებს“.

არსებული მდგომარეობის გადასამოწმებლად ჩვენ მივედით ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში, თუმცა, როგორც მორიგე ექიმმა გვითხრა, კომენტარის ჩასანერად ადმინისტრაციის ნებართვა გჭირდებათ. ადმინისტრაციაში კი პასუხისმგებელი პირი არავინ დაგვხვდა.



თქვამს უზუბაშვილი: „ჯერჯერობით ვუბეჭდებით პაციენტთა რიცხვს... ადგილების არქონის შემთხვევაში სსსრაფოს მიერ სდება სხვა საავადმყოფოებში პაციენტების გადასწრაფვა, მაგრამ ეს იზვიადებული შემთხვევაა“

უარი გვითხრეს პაციენტებთან გასაუბრებლად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ რამდენიმე პაციენტის ჩანერა. როგორც მათთან საუბრისას გაირკვა, იმ ბავშვების ასაკი, რომლებიც საავადმყოფოში არიან, 4 თვიდან 15 წლამდე მერყეობს. ბავშვების უმეტესობა კი ერთიდან სამ წლამდეა. მათ ძირითადად ერთი და იგივე სიმპტომები – მაღალი სიცხე, ღებინება, ფალარათი, სისუსტე აღნიშნებათ და დიაგნოზიც შესაბამისად ერთია – ენტეროვირუსი. როგორც პაციენტების ახლობლები ამბობენ, ამ ვირუსის გამომწვევი მიზეზი უცნობია, ზუსტად ვერაფერს ვერაფერს ამბობს და მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით იცინა, რომ ეს შეიძლება წყალს გამოიწვიოს.

შორენა ლუხიშვილი:
„ჩემი ბავშვი არის წლისა და 2 თვის. ჩვენ სადაც ვართ, ეს არის ინტენსიური თერაპიის განყოფილება. გადახედეთ, ნახავთ, რომ ბევრი ბავშვია შემოსული. დიაგნოზი ძირითადად არის ენტეროვირუსი. უმეტესობა ამ დიაგნოზითაა შემოსული. პაციენტებს აღენიშნებათ მაღალი სიცხე და ფალარათი. ამ საავადმყოფოში არიან ჩვილი ბავშვები, მაგრამ 10-12 წლისებიც მოჰყავთ ხოლმე, რადგან ყაზბეგზე მდებარე ინფექციურ საავადმყოფოში ადგილები არ არის“.

ანა აფრემიძე:
„ჩემი შვილი, ნიკოლოზი, ერთი წლისა და 2 თვისაა. ბავშვს თითქმის ერთი თვის განმავლობაში ანუხებდა ფალარათი. ვერაფრით ვერ ვუშველეთ და მერე გამოვიძახე სასწრაფო და გადმოვიყვანეთ აქ. დიაგნოზი არის ვირუსული ინფექცია. რა არის ამის მიზეზი, ვერ გეტყვით. ძალიან ბევრი ბავშვია. გუშინ იყო 4 ადგილი და დღეს 1 ადგილიც კი არ არის თავისუფალი“.

ეთერ კუხაშვილი:
„ჩვენ სამი ბავშვი მოვიყვანეთ – ნანიკო 2 წლის, მარიამი 7 წლის, ყველაზე პატარა კი ერთი წლისა და სამი თვისაა. ჩვენ ვართ სიღნაღის რაიონიდან, სოფელ ტიბანთან. ბავშვებს მაღალი სიცხე და დიარეა ჰქონდათ. აქ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი გაუკეთეს. ამჟამად სამივე მათგანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბავშვებს დაუსვეს დიზენტერიის დიაგნოზი. გამომწვევ მიზეზად ასახელებენ წყალს და ზოგადად, ჭუჭყიანი ხელებით საკვების მიღებას, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ წყლის ბრალი უფროა, რადგან ჩვენი სოფლიდან, ჩვენ გარდა, სამი-ოთხი ბავშვი წევს კიდევ. ჩვენი წყლები იმდენად დაბინძურებული ინფექცია. რა არის ამის მიზეზი, ვერ გეტყვით. ძალიან ბევრი ბავშვია. გუშინ იყო 4 ადგილი და დღეს 1 ადგილიც კი არ არის თავისუფალი“.

ქეთევან ჩიქოვანი: „ბოლო ერთი თვის განმავლობაში პაციენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა აღინიშნება. ერთ მორიგაობაზე სადაც 20-25 კაცი მოდის... როცა გვირია პაციენტი და არ არის ადგილები... ასეთ შემთხვევაში პაციენტს მივლით ვაყოვნებთ, სანამ გადასხმას დავამთავრებთ, რომელიც ადრე მოსულ პაციენტს უტარდება“

ურებულია, რომ უკვე თავკომბალებიც კი მოჰყვება. ამიტომ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს წყლისგან არის გამოწვეული. ჩვენი სოფლიდან ზოგი სიღნაღის საავადმყოფოებშია გადაყვანილი. ზოგი კი, ვინც მძიმე მდგომარეობაში იყო, აქ ნამოიყვანეს“.

ქეთევან ილურიძე:
„როგორც მითხრეს, ეს არის აერ-ნეფთოვანი გზით გადამდები ვირუსი. ბავშვი ბორჯომში გვყავდა და გოგირდის აბანოში ჩავსვით. შესაძლოა, იქ წყალი გადაყვანა და ამას გამოეწვია ეს ყველაფერი. ბავშვს აღენიშნებოდა ღებინება, ფალარათი, ძალიან ცუდად გვყავდა. დიაგნოზი დიზენტერიაა. აქ ვინც არის, ყველა ამ სიმპტომს უჩივის. ძირითადად არიან 15 წლამდე ასაკის ბავშვები. არ გვაქვს შეხება სკოლასა და ბაღთან, რომ სკოლაში ან ბაღში სიარულს დაეაბრალო. მიზეზად გვითხრეს, რომ შეიძლება ბავშვმა რამე ჭამა და ამას გამოეწვია“.

„ჩემი ბავშვი არის ორი წლის და აქვს ენტეროვირუსი. ბავშვს ანუხებდა ღებინება, ფალარათი და მაღალი სიცხე. პირველად რომ მოვედი, იმ დღესვე გამიშვეს, თუმცა ბავშვის მდგომარეობა გართულდა. ახლა მეორედ მოვედით. ზღვაზე ვისვენებდით და მაგასაც აბრალებენ. როგორც გვითხრეს, ძალიან ხშირია, ზღვიდან გადაგედოს ეს ვირუსი“.

სალომე კაჭალაშვილი:
„ჩემს ბავშვს ჰქონდა მაღალი სიცხე, უმადობა, ძალიან არ ჰქონდა და ფალარათი ანუხებდა. ახლა დაუდგინდა, რომ აქვს „ჩხირები“, რომელიც იწვევს ამ აშლილობას. შეიძლება კიდევ გაუმეორდეს, თუ ბოლომდე არ მივიყვანთ მკურნალობას. როგორც მითხრეს, შეიძლება რამე ჭამა და ამან გამოიწვია. სისხლის ანალიზიც ცუდი ჰქონდა. რა არის ამის ძირითადი მიზეზი, ნამდვილად არ ვიცი. ძალიან ბევრი ბავშვია შემოსული. მე სოფელში ვიყავი. ვფიქრობდი, რომ შესაძლოა, წყლის გამო ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ არის გამოწვეული წყლისგან, რადგან სხვა დროსაც ვყოფილვარ და არაფერი მსგავსი არ მომხდარა. როგორც გვითხრეს, ეს არ არის ვირუსული დაავადება, ეს უფრო ბაქტერიულია და არის გადამდები. ყველას აქვს ერთი და იგივე სიმპტომი. აქ არიან ოთხი თვიდან 15 წლამდე ბავშვები. როგორც ვიცი, 2 ბავშვი იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში. მითხრეს, რომ ამ ვირუს-



ლისგან, რადგან სხვა დროსაც ვყოფილვარ და არაფერი მსგავსი არ მომხდარა. როგორც გვითხრეს, ეს არ არის ვირუსული დაავადება, ეს უფრო ბაქტერიულია და არის გადამდები. ყველას აქვს ერთი და იგივე სიმპტომი. აქ არიან ოთხი თვიდან 15 წლამდე ბავშვები. როგორც ვიცი, 2 ბავშვი იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში. მითხრეს, რომ ამ ვირუს-




თბილისის ინფექციური საავადმყოფოები პაციენტებს ვერ იტევენ

სის დროს სისხლში ყველაფერი იმატებს. ამიტომ სისხლის ანალიზი ძალიან ცუდი გვექონდა. როგორც უკვე გითხარით, ზოგიერთი მშობელი წყალს აბრალებს,

EXCLUSIVE

ბამდე – აღწევს მაქსიმუმს შემთხვევათა რაოდენობა”. ინფექციურ საავადმყოფოში ვეცადეთ, პაციენტებს გავსაუბრობოდი, თუმცა ბევრმა მათგანმა უარი გვითხრა კომენტარის გაკეთებაზე. მხოლოდ ერთი პაციენტის ჩანერა მოვახერხეთ.
ნათია აფხაზავა, 20



ნათია აფხაზავა, პაციენტი: „ჩვენი წყლები იმდენად დაბინძურებულია, რომ უკვე თავკომალი მოწყვება. ამიტომ ეჭვიც არ გვყარება, რომ ეს წყლისგან არის გამოწვეული“

თუმცა მგონია, რომ ეს უფრო პაერის ბრალია, რადგან ჩვენ სადაც ვიყავით, იქ სუფთა წყალია და მას ვერ დავაბრალებ. აქ გვეუბნებიან, რომ ეს არის ნაწლავთა ინფექცია და არა ვირუსი ან მსგავსი რამ”.
ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში პაციენტებთან გასაუბრების შემდეგ, დავინტერესდით, რა ხდება ცენტრალურ ინფექციურ საავადმყოფოში, რომელიც ყაზბეგის გამზირზე მდებარეობს. ჩვენი ინფორმაციით, აქაც საკმაოდ ბევრი პაციენტია, იმდენიც კი, რომ ყველას ვერ ემსახურებიან და სხვა კლინიკაში აგზავნიან. ჩვენ გავესაუბრეთ ინფექციონისტი ქეთევან ჩიქოვანს, რომელმაც აღნიშნა, რომ პაციენტების ნაკლებობას არასდროს უჩიოდნენ, განსაკუთრებით კი ზაფხულის ცხელი დღეების შემდეგ.
ქეთევან ჩიქოვანი, ინფექციონისტი, მიმღების ექიმი:
„საერთოდ ამ პერიოდში ჩვენ არ გვიკვირს ნაწლავური ინფექციების მომატება. წელს შედარებით მეტია. აქ არ არის ლაპარაკი მართო ენტეროვირუსზე,

არის სხვადასხვა სახის ინფექცია. ზაფხულის პერიოდში ნაწლავური ინფექციები იმატებს იმის გამო, რომ მატულობს ტემპერატურა. მაღალ ტემპერატურაზე უფრო მალე ფუჭდება საკვები პროდუქტი, ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ეს არის ძირითადი მიზეზი. ძალიან ბევრი ჩამოდის ზღვიდან ენტეროვირუსის ნიშნებით. მოგეხსენებათ, რომ სექტემბერში სწავლა იწყება და ბევრი ბრუნდება ზღვის კურორტებიდან, ამიტომ ამ პერიოდში უფრო მატულობს პაციენტთა რაოდენობა. ენტეროვირუსი ხშირია ბავშვებში. ამ მხრივ, უფრო დატვირთულია ბავშვთა კლინიკები. ახლა ბოლო 1 თვის განმავლობაში პაციენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა აღინიშნება. ერთ მორიგეობაზე მოდის სადაც 20-25 კაცი. ნაწილი ჰოსპიტალიზებულია, ნაწილს კი დანიშნულება ეძლევა და სახლში მიდის.
ხანდახან არის შემთხვევები, როცა ბევრი პაციენ-


ტი და არ არის ადგილები, თუმცა ეს იშვიათად ხდება. ასეთ შემთხვევაში პაციენტს მიმღებში ვაყოვნებთ, სანამ გადასხმას დავამთავრებთ, რომელიც ადრე მოსულ პაციენტს უტარდება. ბოლო დროს, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, „ლანცეტი“ და ინგოროყვას კლინიკაც კი იღებს ნაწლავური ინფექციის მქონე პაციენტებს, თუ არ არის მიიმე ავადმყოფი.
ენტეროვირუსული ინფექციების შემთხვევები გვექონდა ზღვიდან ჩამოსული ადამიანების შემთხვევაში. არის ჩვეულებრივი ტოქსიკონფექცია, რაც გაფუჭებული საკვების მიღებითაა გამოწვეული და ა.შ. არ არის აუცილებელი, საკვებს გემო შეინდოს შეცვლილი. თუ ბაქტერია ძალიან არ მრავლდება, პროდუქტი გემოს არ იცვლის, თუმცა მასში მაინც არის ბაქტერიითაა გარკვეული რაოდენობა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ადამიანი მოინამლოს”.
მოგვიანებით გავესაუბრეთ მორიგე ექიმს, ინფექციონისტი თამარ ყუშიტაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნაკადი საკმაოდ დიდი იყო და საავადმყოფომ ვერ შეძლო მათი მიღება, პაციენტი სხვა კლინიკებში გადააყვავთ:
თამარ ყუშიტაშვილი, ექიმი ინფექციონისტი, მორიგე ექიმი: „ჯერჯერობით ვუმკლავდებით პაციენტთა რიცხვს. გვაქვს საშუალება და საკმარისი მე-

დიკამენტებიც, მედპერსონალიც საკმარისია. ასე რომ, პრობლემა არ იქმნება. მოსულ პაციენტებს ემსახურება ერთი განყოფილება, რომელიც 27 პაციენტზეა გათვალისწინებული. ადგილების არქონის შემთხვევაში სასწრაფოს მიერ ხდება სხვა საავადმყოფოებში პაციენტების გადანაწილება, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა. ძირითადად ყველა თავსდება.
რამე განსაკუთრებული არ ხდება. ამის ძირითადი გამოწვევი მიზეზი არის მაღალი ტემპერატურა, პროდუქტების მალე გაფუჭება, განსაკუთრებით კი რძის პროდუქტებისა და ხორციეულის. ბათუმიდან და ქობულეთიდან ძალიან ბევრი პაციენტი ჩამოდოდა ნაწლავური ინფექციით.
ამ პერიოდში, ნაწლავური ინფექციების გარდა, არ ფიქსირდება სხვა ინფექციური დაავადებები. არის ე.წ. შიგელოზი, ანუ დიზენტერია და სალმონელოზი. ეს ორივე ნაწლავური დაავადებაა. ნაწლავური ბაქტერიები ძირითად რძესა და მალფუჭებად პროდუქტებში მრავლდებიან.
წინა წლებშიც მსგავსი მდგომარეობა იყო. განსაკუთრებული მატება პაციენტთა მხრივ არ არის. როგორც შარშან, ასევე წელს, ზაფხულის პერიოდში – ივლისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

„როგორც მითხრეს, ეს არის ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები ვირუსი“



ისტორიული გამარჯვება 17-10





ამბულატორიული ცენტრი

სამედიცინო კორპორაცია ევექსი



„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ახალი
ამბულატორიული ცენტრი გლდანში!

28, 29 და 30 სექტემბერს

ისარგებლეთ შემდეგი სპეციალისტების მომსახურებებითა და კვლევებით

სრულიად უფასოდ

- ✦ პირადი ექიმი;
- ✦ გინეკოლოგი;
- ✦ ენდოკრინოლოგი;
- ✦ ოფთალმოლოგი;
- ✦ ბავშვთა ნევროლოგი;
- ✦ კარდიოლოგი;
- ✦ ზოგადი ქირურგი;
- ✦ დერმატოლოგი;
- ✦ ალერგოლოგი;
- ✦ ონკოლოგი;
- ✦ რევმატოლოგი;
- ✦ ნევროლოგი;
- ✦ სისხლის საერთო ანალიზი;
- ✦ ელექტროკარდიოგრამის გადაღება.



წარმოებს წინასწარი ჩანერა: ☎ 2 55 05 05 🏠 გლდანის | მ/რ

საფინანსო ზედამხედველობაზე გავლენებისთვის ბრძოლა კვლავაც ბრძელდება

მარიამ ნადირაძე

ბოლოს და ბოლოს, საფინანსო ზედამხედველობა ეროვნულ ბანკს გამოეყო და სააგენტოდ ჩამოყალიბდა... ეს ხმაურიანი საკანონმდებლო ცვლილება საბოლოოდ ქმედებაში განხორციელდა და იმ ადამიანების ჯგუფიც გამოიკვეთა, რომელთაგან ერთ-ერთი მომავალი წლის თებერვალში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეცვლის ექსპერტი, რომელთანაც ინტერვიუს „პრაიმტიმში“ შემოგთავაზებთ, შექმნილი საფრთხეებისა და რისკების თაობაზე მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ჩვენს მკითხველსაც უზიარებთ:

რომან გოცირიძე, ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე:

– პირველ რიგში, ზედამხედველობის ეროვნული ბანკიდან ჩამოცილების ფორმა და მოტივები იყო დამაფიქრებელი. მთელმა ამ პროცესმა სერიოზულად შეარყია ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა. ხელისუფლების მმართველი გუნდი მოიქცა უპასუხისმგებლოდ – მოახდინა ეროვნული ბანკის დისკრედიტაცია და მისი ინსტიტუციონალური დაუსუსტება. დღეს აუცილებელია, თავიდან იქნას აცილებული ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავება და მთლიანად ამ სისტემის დეგრადაცია. პრაგმატულ და ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს გადააყოლებს ლარის სტაბილურობა. რომ არა ეს მოვლენები, დღეს ლარის კურსი არ იქნებოდა ამ ზომით გაუფასურებული და მოსახლეობაში არსებული ფულადი დანაზოგების დოლარში გადატანის პროცესიც ნაკლებ ინტენსიური იქნებოდა. მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა დაკარგა ნდობა, რაც ლარის გაუფასურების მოლოდინში გარდაისახა.

– ახალი ზედამხედველობის სამსახური შექმნეს ამ ნდობის აღდგენას?

– ნდობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია, ამ უწყებაში დანიშნული ახალი ხელმძღვანელი კადრები როგორ კურსს აირჩევენ, რამდენად იქნებიან დამოუკიდებელი და შეძლებენ თუ არა პოლიტიკური ზეწოლისა და პოლიტიკური შეკვეთების თავიდან აცილებას.

– როგორ შეაფასებთ პარლამენტის მიერ დანიშნულ ზედამხედველობის საბჭოს წევრებს? ვინ იქნება მუშაზე წვერი – უცხოება, რატომ არ მოხდა მისი წარდგენა სხვებთან ერთად?

– სიმართლე გითხრათ, ველოდი უარესს. საბჭოში რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტი. კარგია, რომ საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე გახდა. რაც შეეხება დანსებულების აღმასრულებელი სტრუქტურის პირველ პირს, ის უცხოება პროფესიული საზოგადოებისთვის და სასურველი იყო, უფრო გამოცდილი და უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პიროვნება ყოფილიყო. უნდა დაეკვირვებინა მის მუშაობას, წინასწარ რაიმე განწყობის შექმნა არ იქნება სწორი. მოხდა ცუდი რამ ამ სამსახურის გამოყოფის სახით, მაგრამ ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ყველამ ხელი შევუწყოს ამ სტრუქტურის გამართულად მუშაობას. თუნდაც დავიცვით გარე გავლენებისგან. საბჭოს წევრები და აღმასრულებელი პირი პარლამენტის მიერ არიან შვიდი წლით დანიშნულები, რაც ნიშნავს მათ საკმაოდ დატოვობას და არ იქნება ადვილი პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან მათზე ზემოქმედება. ბუნებრივია, რაიმე სხვა ფარული ვალდებულებები თუ არ აქვთ. პირადი ნუსიერების მომენტში, რეპუტაციის ფაქტორიც მნიშვნელოვანია. მოკლედ, დავაკვირდეთ. თუ არ გაამართლა, როგორც დანიშნეს, ისე შეუერთდება. რამდენჯერ გვინახავს ე.წ. „სტრუქტურული რეორგანიზაციები“. თავისთავად, ცუდი მეთოდია! მოკლედ, მუდმივი არაფერია, მათ შორის არც დღევანდელი ხელისუფლება.

– თქვენი აზრით, რატომ არ წარადგინეს საბჭოს მესხი წევრი?

– სხვადასხვა ქორი დადის. უნდოდათ ერთი ოდიოზური პიროვნების წარდგენა და ვერ გარისკეს. საერთო ჯამში დაამაზინებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებშიც მტრულად მიიღებდა ახალ დანიშნულს. ამ სფეროში მაღალი დონის ბევრი კვალიფიცი-



„მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა დაკარგა ნდობა, რაც ლარის გაუფასურების მოლოდინში გარდაისახა“

„თუ არ გაამართლა, როგორც გამოაერთეს, ისა შეუერთდება, როგორც დანიშნეს, ისა შეიცვლება“

EXCLUSIVE

რას გადაწყვიტს საკონსტიტუციო სასამართლო?

ორი კადრი გვეყავს, ამიტომ საჭიროა, გამოირიცხო ის მოექსპერტო სუბიექტების დანიშვნა, რომლებიც უსინდისოდ და უპასუხისმგებლოდ დაბადდნენ მთელი წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკთან ურთიერთობას, აკეთებდნენ არაკომპეტენტურ, შეკვეთულ შეფასებებს და ამკარად იყვნენ ხელისუფლების გარკვეული ძალების მიერ მართულები. ასეთი ტიპის ადამიანების მიმართ ნდობა ისეთივე დაბალია საბანკო თუ პროფესიულ სფეროში, როგორც მათი კვალიფიკაცია. ასევე, უნდა გამოირიცხოს ამ ტიპის ადამიანების შეღწევა აღმასრულებელი სამსახურის სტრუქტურაში. თუ ასეთი რამ მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ განხედებიან შეკვეთების შემსრულებლები და ენის მიმტან-მომტანები, რასაც ცუდი რეაქცია მოჰყვება, როგორც საფინანსო სექტორიდან, ასევე, მთლიანად საზოგადოებიდან.

– უნდა მოხდეს თუ არა რაიმე ცვლილებები ამ უწყების აღმასრულებელ ნაწილში? შეცვლილი თუ არა იქ მომუშავე კადრებს?

– ეს დაუშვებელია. ეს სამსახური ოცი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში. მიუხედავად საფინანსო კრიზისებისა და თვით საომარი მოქმედებებისა, არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ საბანკო სისტემის მდგრადობის საკითხი. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამასი დიდი როლი მიუძღვის ფინანსური მონიტორინგის სამსახურსაც, რომელიც ასევე ჩამოაცილებს მარბან ეროვნულ ბანკს. დაუშვებელია რაიმე საკადრო ცვლილებები ამ ორ უწყებაში. როგორი სერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მოიყვანეს ადგილობრივ მმართველობებში, მეორესა თუ სამთავრობო დანსებულებებში, კარგად ვხედავთ. ავსეს ნაცნობ-მეგობრებით და სამინისტროს გარეშე ბიუჯეტის და რაოდენობაც. მოკლ-

ედ, მრავალტრენინგამოყოლილ და გამოცდილ კადრებს გაფრთხილება უნდა. მათი დაცვის ფუნქცია უნდა ითავოს ამ შედეგაციანა საბჭოში, რომელშიც რამდენიმე გამოცდილი ადამიანია.

– საერთაშორისო ორგანიზაციები როგორ აღიქვამენ ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკიდან გამოყოფას? შეეგუნენ თუ არა მომხდარ ფაქტს?

– ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც არის ამ უწყების გამო-

ყოფასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომელიც დღემდე არ მოხსნილა, კიდევ უფრო საფრთხილო ხდის მისი ხელმძღვანელობის პირველ ნაბიჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება აღმოჩნდეთ საერთაშორისო საფინანსო თუ სხვა სახის დახმარების გარეშე. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საქმე მალე საკონსტიტუციო სასამართლოში გადავა და როგორ დამთავრდება, არავინ იცის. საფუძველი, რომ კვ-

ლაე უკან დაბრუნდეს, საკმაოდ დიდია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკვე რამდენიმე თვეა, პრინციპულად არ ანერს ხელს საქართველოსთვის გამოყოფილი ე.წ. „სტენდბაის“ კრედიტით გათვალისწინებულ ე.წ. „რევიუს“ – მიმოხილვას. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ სისტემის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით საჭიროა ცხრათვიანი გარდამავალი პერიოდის დანსება, რათა, როგორც სწავივია ამ ხელისუფლებას, არ მიადგნენ და არ გარეკონ მრავალი წლის განმავლობაში ნაზარდი კადრები. მეორეც, ისინი ითხოვენ ამ უწყების ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დატოვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალუტო ფონდი არ დამთავრებს მიმოხილვას, რის გამოც საქართველო ვერ მიიღებს სესხის დარჩენილ ტრანშს, რასაც მოჰყვება ევროკავშირის გრანტის გადმოორცილების შეჩერება. ეს გავლენას იქონიებს მომავალი წლის ბიუჯეტში დაგეგმილი გრანტებისა და კრედიტების გამოყოფაზე.

– გამოდის, ვერ არაფერი დამთავრებულა და ეს თქმა კვლავ იქნება განხეთქილების საბაბი?

– ასეა. უცნაური ვითარებაა შექმნილი. ერთი მხრივ, პრეზიდენტმა მოახერხა ხელი ამ კანონს და ის აუცილებლად უნდა აღსრულდეს, მეორე მხრივ, სახეზეა საგარეო რისკები. კომპრომისული გამოსავალი შეიძლება ის იყოს, რომ მოხდეს ცვლილებები ამ ახალ კანონში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი მეტი დამოუკიდებლობა და გარკვეული ფორმით ნაზგაბმული იქნება ეროვნული ბანკის როლიც, ანუ დაბრუნდეს მის დაქვემდებარებაში. მოკლედ, დაველოდოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუ გავითვალისწინებთ მისი ავტორიტეტის მკვეთრ ზრდას, ბოლო პერიოდში მიღებული განწყვეტილებების დამოუკიდებლობის საკმაოდ ხარისხს, არაფერია მოულოდნელი.



„როგორი წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მოიყვანეს ადგილობრივ მმართველობებში, მეორესა თუ სამთავრობო დანსებულებებში, კარგად ვხედავთ. ავსეს ნაცნობ-მეგობრებით და სამინისტროს გარეშე ბიუჯეტის და რაოდენობაც. მოკლ-

რა ხერხს მიმართავენ, როცა პატიმარი უკვდება?

მარიამ ნადირაძე

პოპულარულ ენაზე მას „აქტიროვკის კომისიად“ იცნობენ. მისი ფუნქციაა, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებულთა სასჯელისგან გაათავისუფლოს. ორი ათეული წლის წინათ აქტიროვკის შესახებ კანონით არსებობდა ავადმყოფობების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც განთავისუფლება კანონიერად მხოლოდ ისეთ პატიმრებს შეეხებოდათ, ვინც პრაქტიკულად ცოცხალ-მკვდარი იყო რეალურად. შესაბამისად, აქტიროვკა თუ ვინმეს შეეხებოდა, იქვე იგულისხმებოდა, რომ მას ე.წ. გატანილი წლების გარკვეული საფასური ჰქონდა გადახდილი. ეს ფაქტი ყველასთვის ცნობილი იყო და ხსენებული კომისიაც კორუფციის ერთ-ერთ სერიოზულ ბუდეს წარმოადგენდა...

საკაპშვილის ხელისუფლების პირობებში კორუფცია მოიხსოვრებოდა, თუმცა კომისიამ რეალურად უნარი დაკარგა, მიეღო რამე გადაწყვეტილება. ის არსებობდა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი არსებობა კანონით იყო განყრდილი...

რა ხდება ამჟამად?

ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის 18 დეკემბერს ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების მინისტრების ერთობლივი ბრძანებით კომისიის ახალი დებულება მიიღეს. დაწესდა ახალი რეგულაციებიც... ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გაიწერა იმ ავადმყოფობების სია, რომლის არსებობის შემთხვევაში პატიმარი სასჯელისგან თავისუფლდება... თუმცა ამ ყველაფერს თავისი პროცედურები ახლავს: კომისიას განცხადებით მიმართავს მსჯავრდებული, მისი ადვოკატი, ან კანონიერი წარმომადგენელი, ან დაწესებულების ექიმი, ან დაწესებულების ხელმძღვანელი. კომისია სამი დღის ვადაში ნყევტს განცხადების დასაშვებობის საკითხს. შემდეგ 14 დღეში განიხილავს ნარდგენილ მასალებს (შეუძლია, გაზარდოს, ან შეამციროს განხილვის ვადა, თუმცა გაზარდის შემთხვევაში დასაბუთებული არგუმენტები უნდა ეტყობოს მხარეს. - მ.ნ.). დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოდის სამ დღეში, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი - 7 დღეში...

ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ჩვეულებრივი ადმინისტრაციული წარმოება და ამ სახის წარმოების შესაბამისად მხარეს შეუძლია ისარგებლოს ყველა იმ საშუალებით, რასაც ადმინისტრაციული პროცესი აძლევს...

თითქოს ყველაფერი დალაგდა და მოლოდინიც არსებობდა, რომ კომისია სახესა და ფუნქციას დაიბრუნებდა, თუმცა, როგორც „პრაიმტიმმა“ შეიტყო, ბევრია ფაქტი, როცა მსჯავრდებული უარს იღებს კომისიისგან და მალევე კვდება. იმისთვის, რომ გარდაცვლილი პატიმარი ციხეს არ „შეეტუნოს“, სიცოცხლის უკანასკნელ საათებში ის სხვადასხვა კლინიკებში გადაჰყავთ...

ჩვენს დღევანდელ რესპონდენტსაც პრეტენზიები აქვს ხსენებულ კომისიასთან. ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი იცავს პირს, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ ვასახელებ...



უფუნესიო კომისია და დარღვეული სისოცხლის უფლება

ბოლო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს, ვინაიდან სიცოცხლის უფლება კონსტიტუციით დაცულია ნებისმიერი სოციალური ფენის თუ პოლიტიკური და აპოლიტიკური მონაწილის მქონე პირისთვის...

მას ასე, მერაბ ჩიქოვანი გვატყობინებს, რომ კომისიას განცხადებით 3 სექტემბერს მიმართა:

– თუ კომისიის მუშაობას გადავხედავთ, საჯარო მოხელეებისგან, თანამდებობის პირებისგან ღირებულებებზე, დემოკრატიაზე, ევროპისკენ სწრაფვაზე საუბარი არის დიდი სიყალბე, რომლითაც კვებავენ და ატყუებენ საზოგადოებას. კომისია, რომელიც გარანტი უნდა იყოს ამ ღირებულებების დაცვის, საკუთარ ფუნქციებს არ ასრულებს.

– ეს რაში გამოიხატება?

– განცხადება კომისიაში 3 სექტემბერს შევიტანეთ, რომელსაც დაფორთხეული ყველა ის სამედიცინო დოკუმენტაცია, რასაც ითხოვდა ღრმად პატივსაცემი კომისია და მოვითხოვეთ კონკრეტული პირის სასჯელის მოხდისგან განთავისუფლება. რამდენიმე დღეში ჩვენ მოვთხოვეთ კომისიას, რომ ეცნობებინა ჩვენთვის მისი გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ. ის ამ დროს ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს. მისი გადაწყვეტილება არის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი – შესაბამისად, მას ასაჩივრებ, ითხოვ ბათილობას და ა.შ. ვინაიდან კომისია იწყებს

ადმინისტრაციულ წარმოებას, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და მოთხოვნის შემთხვევაში აცნობოს მხარეს. მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი მოთხოვნისა, რომ მოეცათ გადაწყვეტილება იმისთვის, რომ ინფორმირებული ვყოფილიყავით, ამასთანავე, დავსწრებით განხილვას (ამის მოთხოვნის უფლება გვაქვს), დაგვხვდა ყრუ კედელი. ამ მოთხოვნით განცხადებები გავაგზავნეთ 8 და 14 სექტემბერს. ჰქონდათ ნული რეაგირება. იმდენი დროა გასული, რომ ამ დროისთვის ჩვენ საბოლოო პასუხიც კი უნდა მიგვეღო უკვე, მით უმეტეს, რომ დაწესებულების ექიმი ითხოვდა საკითხის შემჭიდროებულ ვადებში განხილვას, ვინაიდან ოჯახი დგას მწარე რეალობის წინაშე: ამ ადამიანს ყოველი წუთი, წამი, დღე, უბრალოდ, აახლოებს სიკვდილთან. მას ონკოლოგიის ქართული ცენტრებში მეთვითყურად სტადიის სიმსივნე დაუდგინეს. დანაშაული აქვს გაუსაძლისი ტკივილები. ამ დროს კი კომისიის მხრიდან არის ასეთი ყრუ დამოკიდებულება. ელემენტარული ინფორმაციაც არ გვაქვს, მაგალითისთვის იმ 14-დღიან ვადას საკმარისად მიიჩნევს, ამცირებს თუ ზრდის. ერთადერთი წერილი მივიღეთ 16 სექტემბერს, რომელსაც ხელს აწერს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფროშაძე. გვატყობინებს, რომ მიღებული სამედიცინო დოკუმენტაცია დაშვებულია ერთობლივ კომისიაზე განსახილველად. ამასთანავე, პაციენტის მდგომარეობის ზოგადი მდგომარეობის ზუსტად შეფასებისთვის ერთობლივი კომისიის 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, გთხოვთ, წარმოადგინოთ კისრისა და მუცლის ღრუს კვლევის შედეგები...

– ანუ ივლისშიც გქონდათ შეტანილი განცხადება?

– იყო შეტანილი განცხადება და ჩვენმა დაცვის ქვეშ მყოფმა მაშინ უარი მიიღო განთავისუფლებაზე. თუმცა მაშინ იმ გადაწყვეტილებით დასრულდა ის ადმინისტრაციული წარმოება. ახლა დაინსო ახალი და მინისტრის მოადგილის ამ წერილში მოყვანილი ძველი განცხადების თარიღი აბსოლუტურად უადგილოა. თანაც მაშინ უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ თურმე 2014 წლის შემდეგ არც ერთი გამოკვლევის პასუხი არ წარუდგენიათ, რაც მტკნარი

სიცრუეა და ამაზე არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია. ბოლოს და ბოლოს, არსებობს ალტერნატიული ექსპერტის დასკვნა, რომელიც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებს უმძიმესად... რა



მათ ხელში ამ ღირებულებების განხორციელება, ამაზე საუბარიც ავიწყდებათ, არათუ ქმედება... ეს საქმე ამ კომისიის სიცრუისა და სიყალბის ნათელი მაგალითია. დღეს ვიღებთ ყრუ კედელს, კომისიისგან ჩამიწევი არ ისმის და ვხვდებით, რომ კომისიას ისეთივე ფორმალური ხასიათი აქვს, როგორც ეს იყო სააკაშვილის დროს...

„ხვდებით, რომ კომისიას ისეთივე ფორმალური ხასიათი აქვს, როგორც ეს იყო სააკაშვილის დროს...“

არის ეს, თუ არა დისკრიმინაცია, თუ არა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვა, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლის უფლების შელახვა. რეალურად ამ ადამიანს აქვს აუტანელი ტკივილები. თურმე ადვილია კარგად ორგანიზებული ბრიფინგებზე რაღაც ღირებულებებზე საუბარი, თუმცა როდესაც რეალურად ხვდებიან შესაბამის თანამდებობებზე და უკვე

– თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე: ფული უნდათ, როგორც ეს შევარდნაში დროს იყო? უუნარონი არიან, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს, თუ პოლიტიკურ სკანდალს ერობინდობა, რაც ხშირია ამ ხელისუფლების პირობებში (პირი, რომელსაც მერაბ ჩიქოვანი იცავს, კანონიერი ქურდობისთვის მსჯავრდებული პირია. - მ.ნ.)?

– თუ გადავხედავთ დაცვის მხარისა და კომისიის დღემდე ურთიერთობას, არ არის გამორიცხებული, რომ საქმე გვქონდეს მესამე შემთხვევასთან... თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ არაფერი შეცვლილა კომისიის მუშაობაში.

– ამბობენ, რომ პირები, რომლებიც კომისიამ სასჯელისგან არ გაათავისუფლა, მოუკვდათ. იმისთვის, რომ ციხეს არ „შეეტუნოდა“, სასწრაფოდ გადაჰყავდათ კლინიკებში...

– ამაზე ვერაფერს გეტყვით... არაფერი გამორიცხებული არ არის. ფაქტია, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ კომისია ძალიან უსამართლოდ იქცევა...



კომპანია „სმარტმა“ სასწავლო წლის დაწყება ღონისძიების 7 შვილიანი ოჯახის გაბედნიერებით აღნიშნა

გიორგი ურუშაძე

სუპერმარკეტების ქსელმა „სმარტმა“ სასწავლო წლის დაწყება ორიგინალურად აღნიშნა. მართლაც, „სმარტის“ ციყვი ჯერ სკოლის მოსწავლე არ გამხდარა, თუმცა ეს მოვლენა არ გამოჰპარვია. ღონისძიების მრავალშვილიანი ოჯახის 4 წვერი სკოლაში, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ მიაცილა. თუმცა, მოვლენის მთავარი გმირი პატარა ნუცა ღონისძიება, რომელმაც „სმარტის“ სასკოლო ჩანთა წელს პირველად მოიკიდა.

გარდა სასკოლო ინვენტარისა, „სმარტი“ ვაზისუბნის #157 სკოლის პირველკლასელებს ჯანსაღი სადილითაც გაუმასპინძლდა. „სმარტის“ ციყვმა კი ბავშვების ბედნიერ განწყობაზე იზრუნა.

„დღეს გვაქვს ძალიან თბილი და ემოციური დღე. ჩვენს გმირს, ნუცას, ჰყავს 6 დედამამიშვილი. მინდოდა, რომ ნუცა მიმეყვანა სკოლაში. ძალიან დიდი მადლობა მის მშობლებს ასეთი შანსის მოცემისთვის. ბავშვებს მოვუტანეთ სხვადასხვა საჩუქრები და ყველას, ჟურნალისტებთან ერთად, მოვუწოდებ, რომ სასიკეთო საქმეები ვაკეთოთ. ბავშვები არიან ჩვენი მომავალი. ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტი ჩვენგია და რესურსები უნდა ჩავდეთ, რომ ძალიან კარგი, ლალი და სალი თაობა



გვყავდეს“, - აღნიშნა სოსო ფხაკაძემ.

სასკოლო ინვენტართან ერთად კომპანია „სმარტი“ ღონისძიების მრავალშვილიანი ოჯახს ფინანსურადაც დაეხმარა. ოჯახის დიასახლისი ხათუნა ჭაავა სოციალური კამპანიით კმაყოფილია და საკუთარი შვილების ბედნიე-

რების შემხედვარე, თავადაც ბედნიერია.

„მოგეხსენებათ 7 შვილი მყავს და ძალიან ძნელია ყველაფერს გაუმკლავდე. ჩემი ინიციატივით მივწერე და გამოემხმარუნენ კომპანიიდან. გამიხარდა ბატონი სოსოს კეთილი ნების გამოვლინება და ასეთი დახმარება. ჩემი შვილ-

ები დღეს სრულფასოვნად წარსდგნენ სკოლაში. მოუტანეს სასკოლო ნივთები და ჩანთები. ძალიან ბედნიერი ვარ“, - აღნიშნა ხათუნა ჭაავამ.

აღსანიშნავია, რომ სწავლის დაწყების პირველ დღეებში „სმარტის“ ერთგული მომხმარებლის შვილებს საჩუქრად გადაეცემათ გაკვეთ-

ილების ცხრილი - სასწავლო კვირის უკეთ დაგეგმვისთვის. საბურთალოზე, ვაკეში, რუსთაველსა და ვაზისუბანში მდებარე „სმარტის“ ყველაზე დიდ სუპერმარკეტებში კი მოსწავლეებს „სმარტის“ კორპორაციულ გმირთან - ციყვთან სამახსოვრო ფოტოების გადაღების შესაძლებლობაც ექნებათ.

„დანკინ დონატსის“ რიგით მე-13 რესტორანი ვაზისუბანში და ახალი გრანდიოზული გეგმები

გიორგი ურუშაძე

„დანკინ დონატსის“ რიგით მე-13 რესტორანი თბილისში, ვაზისუბნის მე-2 მიკრორაიონში მდებარე „სმარტის“ სავაჭრო ცენტრში გაიხსნა. თანამედროვე დიზაინი, უგემრიელესი სენდვიჩები, ყავა და რაც მთავარია, ყველასათვის საყვარელი დონატსები უკვე ვაზისუბნის მაცხოვრებლებისთვისაც ხელმისაწვდომია.

ახალი რესტორნის ლენტი „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტ სოსო ფხაკაძესთან ერთად, ამერიკიდან სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა, „დანკინ დონატსის“ საერთაშორისო ბიზნესის განვითარების მენეჯერმა ჯონ როლმა გაჭრა.

სოსო ფხაკაძე: „ჩვენ მომხმარებელს და, ზოგადად, საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ „დანკინ დონატსის“ საქართველოში აქვს უნიკალური პოზიცია. ეს კომპანია ჩამოყალიბდა, როგორც სრულფასოვანი ფორმატის რესტორანი. ჩვენ მომხმარებელი გვყავს, როგორც დილასა და შუადღეს, ისე საღამოს. ჩვენ მივალნიეთ იმას, რომ გვაქვს სენდვიჩების დიდი ასორტიმენტი. სენდვიჩებმა გადა-



ასწრო, როგორც დონატსების, ისე ყავის პროდუქტების გაყიდვებს. სენდვიჩისა და ბურგერის პროდუქტები ყოველდღიურად დანკინს მიეწოდება „სმარტისგან“. ეს არის ჯანმრთელი პროდუქტები და უნიკალური ამერიკული რეცეპტები. ჩვენ მადლობას ვუხდით იმ მომხმარებლებს, რომლებმაც ასე შეიყვარეს „დანკინ დონატსი“. ეს არის რიგით მე-

13 რესტორანი. ჩვენ დღეს 22 ადამიანი დავასაქმეთ ამ რეგიონში და წლის ბოლომდე 20 რესტორანი გვექნება“.

ამასთან ერთად, პირველად სოსო ფხაკაძემ გაგვიმხილა, რომ სულ მალე „დანკინ დონატსი“, გორის რეგიონალური ფილიალის მერე ქუთაისსა და რუსთაველიც გაიხსნება.

„გორში უკვე ვართ. მომავალი წლის დასაწყისში ვიქნებით ქუთაისსა და რუსთაველში“, - დასძინა სოსო ფხაკაძემ.

ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში მდებარე „სმარტის“ სავაჭრო ცენტრი, რომელიც 2011 წლის აგვისტოში გაიხსნა, 2000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და სუპერმარკეტი

„სმარტის“ გარდა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებს მოიცავს. 20 000-მდე დასახელების უმაღლესი ხარისხის პროდუქტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების მართო არჩევანი „სმარტში“, „სმარტ კაფე“, აფთიაქი, ბანკის ფილიალი და სხვადასხვა ტიპის მაღაზიები მომხმარებელს სრულ კომფორტს უქმნის. „დანკინ დონატსის“ რესტორნის გახსნა კი სავაჭრო ცენტრს სტუმრობისათვის კიდევ უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს.

„დანკინ დონატსი“ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ლეგენდარული ბრენდია, რომელიც უკვე თითქმის 65 წელია წარმატების ისტორიას ქმნის მთელს მსოფლიოში. „დანკინ დონატსი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. „დანკინ დონატსის“ რესტორნებში მომხმარებელს საშუალება აქვს დააგემოვნოს უგემრიელესი სენდვიჩების დიდი ასორტიმენტი, ფუნთუშეული, ცივი და ცხელი სასმელები, უმაღლესი ხარისხის ესპრესო, კაპუჩინო, ლატი, ჩაი და Coolatta®-ს პროდუქტები, მაფინები და კრუასანების გამოყენებით შექმნილი სხვადასხვა კერძები და მრავალფეროვანი დონატები.

Fly With us!
იფრინეთ ჩვენთან ერთად!

ახალი მიმართულებები
ავიაკომპანია
ჯორჯიან ეარვეისისგან:

- პეტიტურები** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 145 ევროდან
- სამარა** – ყოველ კვირა დღეს – 135 ევროდან
- ოღესა** – 1 ივლისიდან – ყოველ
ოთხშაბათს 120 ევროდან
- ერევანი** – ყოველდღე – 55 ევროდან
- როსტოვი** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 124 ევროდან



Georgian Airways
ჯორჯიან ეარვეისი

მარგველაშვილი სააკაშვილს „ამხელს“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მოსამართლეთა კორპუსს მიმართავს. მიმართვაში, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს, ქვეყნის პირველი პირი აცხადებს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესების პოლიტიზების მცდელობას, ასევე, მხარდაჭერას უცხადებს მთელ სასამართლო კორპუსს.

„მიუკერძოებელი, პოლიტიკურად ნეიტრალური, მხოლოდ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სასამართლოს ფორმირება ქართველი ხალხის ურყევი ნებაა. ამ პროცესს დაცვა, გაფრთხილება და განმტკიცება სჭირდება.“

რას ვუცხადებ მთელ სასამართლო კორპუსს და მომავალშიც ვადასტურებ ჩემი და საზოგადოების თანადგომას დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ამ რთულ გზაზე“, – ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში.



ბოლო დღეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესების პოლიტიზების მცდელობას, როგორც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სპექტრის, ასევე, უცხო ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლის – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან.

ასეთი პოლიტიკური ვნებათაღელვის ფონზე მხარდაჭე-



„ეს ძალიან მყიფე ნაბიჯებია“



სუფლების მიმართულებით, როცა, შეიძლება ასე ითქვას, სისხლის სამართლებრივ მართლმსაჯულებას პრაქტიკულად პროკურატურა ახორციელებდა საქართველოში, თუ ამას მართლმსაჯულებას საერთოდ ვუწოდებთ, დღეს, სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ნაბიჯები წინ გადადგმულია, თუმცა ეს, ბუნებრივია, არ არის საკმარისი. ეს ძალიან მყიფე ნაბიჯებია და სწორედ ამიტომ საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს როგორც პოლიტიკოსების, ასევე ხელისუფლების სტრუქტურების მხრიდან“, – განაცხადა დავით პატარაიამ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით პატარაიამ მოსამართლეთა კორპუსისადმი გიორგი მარგველაშვილის მიმართვაზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს მთელ სასამართლო კორპუსს.

სუფლება აშკარად უფრო წინ არის წასული პოზიტივის თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ნაბიჯები გადადგმულია. თუ გავიხსენებთ რამდენიმე წლის წინათ რა რეალობასთან გვექონდა საქმე სასამართლო ხელი-



სააკაშვილი არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად გეგმავს

ოდესის გუბერნატორი ხალხს „პატიოსანი და გამჭვირვალე“ არჩევნების ჩატარებას დაჰპირდა. ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინული ტელეარხის პირდაპირ ეთერში განაცხადა.

„ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვეულებრივი მოსყიდვები არ იყოს“, – აღნიშნა ოდესის გუბერნატორმა.

მისი თქმით, ის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

„ჩემ მიერ მოყვანილ ზოგიერთ ადამიანს, კერძოდ, რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ღია კონკურსი გაიარეს, სიაში შევიყვანე, რომ პოლიტიკური ელიტის განახლება მოხდეს.“

კითხვაზე, რატომ არ გაუძღვება მმართველი პარტიის სიის სათავეს, სააკაშვილი პასუხობს: „პარტიამ თავად უნდა იბრძოლოს“.

უკრაინაში ადგილობრივი არჩევნები 25 ოქტომბერს გაიმართება.



ქვეპი შა

მირიან ბოქლოშვილი

1990-იან წლები ბანდიტიზმის, ყაჩაღებისა და სხვა სასტიკი დანაშაულების არაერთ ისტორიას ინახავს. ეს საქმეც სათავეს სწორედ იმ შავნული პერიოდიდან იღებს, როდესაც მოქალაქეებს ჩაბნელებულ ქუჩებში ყაჩაღურად ესმოდნენ თავს, შეიარაღებულები უვადობდნენ სახლებსა თუ სამსახურებში... 90-იანების კრიმინალური დაჯგუფებებიდან ზოგი ამჟამადაც იხდის სასჯელს, ზოგმა მონაწილეს გზა აირჩია, უფრო მეტიც, ნაწილმა თავშესაფარი ეკლესიაშიც კი იპოვა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც ფსიქიკამ უმტყუნათ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს, მათ შორის გახლავთ 90-იანი წლების არაერთ გახმაურებულ ყაჩაღობასა და ბანდიტიზმში მხილებული გელა შანშიაშვილი. მრავალწლიანი კრიმინალური „მოღვაწეობის“ შემდეგ ის 2004 წელს საკუთარ სახლში თოკზე ჩამოკიდებული იპოვეს.

16-წლიანი განაჩენის მიუხედავად, კახა შანშიაშვილი ციხეში სულ 3 წელი დაჰყო, რადგან 2003 წელს მან რუსთავის #2 დანესტრულბაში გვირაბი გათხარა და გაიქცა. ის ამჟამადაც ოფიციალურად იძებნება, თუმცა, თუ რუსთავის სასამართლომ მისი ოჯახის ადვოკატების პოზიცია გაიზიარა, შესაძლოა, კახა შანშიაშვილს ბრალდება საერთოდ მოუხსნან.

შანშიაშვილების ოჯახმა გადმოგვცა კახა შანშიაშვილის უდანაშაულობის დამადასტურებელი მთავარი მტკიცებულება – გელა შანშიაშვილის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ყაჩაღურ თავდასხმებს რეალურად თავად სჩადიოდა და არა მისი ძმა კახა შანშიაშვილი. როგორც ჩანს, თავის დროზე სამართალდამცავები შეცდომაში ორმა გარემოებამ შეიყვანა: პირველი – ძმები ტყულებით ჰგავდნენ ერთმანეთს და მეორე – კახა შანშიაშვილმა საკუთარი ძმა არ დაასმინა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე მისული მილიციას კრიმინალური დაჯგუფების მთავარ ფიგურანტად გაეცნო და არჩადენილი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო.

ალბათ, გაგინდებთ კითხვა, რატომ დავინტერესდით წლების წინათ მომხდარი სერიული ბანდიტიზმისა და თვითმკვლელობის ამბით. საქმე ის გახლავთ, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო სწორედ ახლა

მოკლედ, რეალური დამნაშავეს ნაცვლად, მილიციამ მისი ძმა დააპატიმრა და მისგან სასურველი აღიარებებიც მიიღო, რასაც, როგორც შანშიაშვილების ადვოკატი ამბობს, ახლდა დაკავებული ნამება და არაადამიანური მოპყრობა. როგორც უკვე გითხარით, მას

– მოძრაობის შეფარდებითი განლაგება ასოს ელემენტების ურთიერთის მიმართ „ც“-ს მეორე ელემენტი პირველი ელემენტიდან მარჯვენა პორიზონტალურად;
– მოძრაობის საწყისი წერტილის განლაგება ასო „ზ“-ს პირველი ელემენტის შესრულებისას ელემენტების შემავრთველი შტრიხიდან რამდენიმედ დაშორებული.
აღნიშნული თანადამთხვევები ხელის საერთო და კერძო ნიშნების მიხედვით, აღებული ერთობლივად, მყარია, არსებითია და კმნიან ინდივიდუალურ ერთობლიობას, საკმარისს კატეგორიული დასკვნისათვის იმის შესახებ, რომ გამოსაკვლევი წერილი შესრულებულია გ. შანშიაშვილის მიერ.

დასკვნა

წერილი, რომელიც იწყება და მთავრდება შესაბამისად სიტყვებით: „სინდისმა შემაწუხა...“ სიკვდილის ღირსი ვარ. გელა შანშიაშვილი“ 09.08.04 წლის თარიღით, შესრულებულია გ. შანშიაშვილის მიერ.



მ. მავალიშვილი

განიხილავს გელა შანშიაშვილის მიერ თვითმკვლელობამდე დატოვებულ წერილს, რომელსაც შანშიაშვილების ოჯახი, ექსკლუზიურად „პრაიმტიაიმის“ მეშვეობით, 11 წლის შემდეგ ასაჯაროებს. ეს წერილი პრაქტიკულად თავდაყირა აყენებს გამოძიების აქამდე არსებულ ოფიციალურ ვერსიას და სასამართლოს განაჩენს, სადაც ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთ ხელმძღვანელად გელა შანშიაშვილის ძმა, კახა შანშიაშვილი სახელდება.

16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ციხეს თავი გაქცევით დააღწია, მანამდე კი თავი მოიკლა გელა შანშიაშვილმა, რომელიც წერილში წერს, რომ კახა მილიციამ მის მაგივრად დააკავა, ძმები ერთმანეთს ვგავდით, რამაც შეცდომაში შეიყვანა დაზარალებულები (ცო. იქვე გელა შანშიაშვილი წერს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ვერ გაგებდა სიმართლის თქმა, რადგან ციხეში წასვლა არ უნდოდა).

2000 წლის 9 აგვისტოს განაჩენით კახაბერ შანშიაშვილი, თანამზრახველებთან ერთად, დამნაშავედ ცნეს და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას გამოძიება თბილისში მცხოვრებ ათეულობით ოჯახზე შეიარაღებულ თავდასხმას ედავებოდა.

„პრაიმტიაიმი“ ექსკლუზიურად გთავაზობთ ამონარიდს თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილიდან, რომლის ავთენტურობას ექსპერტის ოფიციალური დასკვნაც ადასტურებს (წერილის სტილი დაეულოა. – ავტ.):


„კახაბერ შანშიაშვილს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიღინა თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან ჯგუფური გაქცევა“

„სინდისმა ძალიან შემაწუხა. როდემდე და სადამდე შეიძლება ამდენის

ნუიანუვილუბის სანუი



კახა პანაშვილი



გელა პანაშვილი

„ჩემს ძმას, კახა პანაშვილს მთელი ცხოვრება ავურიე, იმის ვაჟკაცობა არ მყო, რომ სიმატლე მელარაბინა, მებრამ ციხეში ვერ ჩავჯდებოდი. ციხეს სიკვდილი მირჩევნია“

მომთენა. მინდა ბოლო-ბოლო სი-მართლემ გაიგოს ყველამ, მოსა-მართლემ, პროკურორმა, მშობ-ლებმა, თუ ხალხმა. ძალიან დიდი ცოდვა ჩავიდინე. თითქმის ოთხი წელი ჩემი ძმა ციხეში გავტანჯე და ჩავაგდე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. რომელი ყაჩაღობაც მე ჩავიდინე ჩემს ძმას დაბრალდა. თანაც მე თუ ერთი ჩავიდინე, მას თხუთმეტი თუ მეტი ყაჩაღობა ჩა-უდენია ვითომ. არადა სრულიად უდანაშაულოა. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. კახამ იცოდა ჩემი სახლი (სადაც გელა შანში-იაშვილი პოლიციას ემალებოდა. - ავტ.), ჩემთან მოვიდა, რა დროსაც გასული ვიყავი და დაუნყია ჩემი ლოდინი. ამასობაში მოვიდა პოლიცია და აიყვანა უდანაშაუ-ლო ადამიანი. რა თქმა უნდა, მათ ყაჩაღი ეგონათ... მოკლეს ჩემი ძმა წამებაში, მაინც არ გა-მცა. თურმე როგორი ცუდი ყოფილა ციხე, ვერ გავძლე-ბდი, მოვეკვებოდი, მაგრამ სინდისი მაინც მექვნიდა. გადავწყვიტე ჩემს ძმას-თან სასამართლოებზე ხშირად მევლო. ველოდე-ბოდი რომელი ადამიანიც მე დამეტაკა (პოლიციელი ასათიანი) მოსულიყო და ვეცნე, მერე ყველაფერს ვაღიარებდი და ჩემს ძმასაც ასე არ გავტანჯავდი, მაგრამ მოხდა სასწაული: მოვიდა ას-ათიანი, მე დარბაზში ვზივარ და ჩემს ძმაზე თქვა ამან დამარტყაო. კინალამ გავგიჟდი. ჩემი ძმა რის დამრტყმელი იყო, სინამდვილე-ში მე გავარტყი და ამხელა კაცი წაიქცა. ჩემს ძმას, კახა შანში-იაშვილს მთელი ცხოვრება ავურიე, იმის ვაჟკაცობა არ მყო, რომ სი-მართლემ მელარაბინა, მაგრამ მე ციხეში ვერ ჩავჯდებოდი. ციხეს სიკვდილი მირჩევნია. ჩემო მშ-ობლებო, შვილი გავიუბედურეთ, სიკვდილის ღირსი ვარ. პროკურ-ორებო, მოსამართლეებო, გამო-

მძიებლებო, გთხოვთ გაითვალის-სნინოთ. ღმერთს გეფიცებით, ამ ყველაფერს მართლს გიყვებით“, - წერდა გელა შანშიაშვილი, რის შემდეგაც მან სიცოცხლე თვით-მკვლელობით დაასრულა.

სწორედ ეს წერილია მთავარი მტკიცებულება, რის საფუძველ-ზეც ციხიდან გაქცეული და ამჟა-მადაც ძებნაში მყოფი კახა შანში-იაშვილის ადვოკატი მის უდანაშ-აულოდ ცნობას მოითხოვს.

თამარ აბესაძე, ადვოკატი:
„იმედი გვაქვს, რომ სასამართ-ლო გაიზიარებს ჩვენს პოზიციას. საქმეში არსებობს მნიშვნელოვ-

„სინდისა შეაწუხა... ჩემო მშობლებო, შვილი გაგიუბედურათ, სიკვდილის ღირსი ვარ. პროკურორებო, მოსამართლეებო, გამომძიებლებო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ. ღმერთს გეფიცებით, ამ ყველაფერს მართლს გიყვებით“

ანი მტკიცებულება, რაც პრაქტი-კულად გამოორიცხავს კახა შანში-იაშვილის კავშირს რაიმე ტიპის დანაშაულთან. ის, რომ თავის დრო-ზე საკუთარ თავზე აიღო არჩა-დენილი დანაშაული, მეტყველებს

თვითმკვლელობაზე დატოვებული წერილი სერიულ დანაშაულს თავდაყირა აყენებს



თამარ აბესაძე

იმ გამომძიებლების სისუსტეზე, რომლებიც ამ საქმეს იძიებდნენ. მათ, უბრალოდ, შეცდომა და-უშვეს და ერთი ძმის ნაცვლად ციხეში მეორე გამოკეტეს, სრ-ულიად უდანაშაულო ადამიანი. გარდა ამისა, ის ციხეში გახდა წამებისა და არაადამიანური მო-პყრობის მსხვერპლი. მინდა მჯ-ეროდეს, რომ წლების შემდეგ მაინც, რუსთავის სასამართლო ერთხელ და სამუდამოდ მოჰფ-ენს ნათელს ამ საქმეს“.

ძმები შანშიაშვილების მამა, გურამ შანშიაშვილი „პრაიმტ-აიმთან“ საუბრისას იმედს გა-მოთქვამს, რომ კახას დაკავე-ბიდან 15 წლის შემდეგ მაინც გაირკვევა სიმართლე.

„ეს წერილი ყველაფერს ჰფენს ნათელს. ძმებს ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომაც ვერ განი-რა კახამ გელა. თავად გელამ კი როგორც დაასრულა სიცოცხლე, უკვე მოგვხსენებთ. შინაგანად ვერ ისვენებდა, მის ნაცვლად კა-ხა რომ დაიჭირეს. სხვა მიზეზი მის თვითმკვლელობას არ აქვს. გარდაცვალებამდე იმდენი ფუ-ლიც კი დაგვიტოვა, რომ კარგა ხანს გვეყოფოდა, ხელიც რომ არ გაგვეტოვებინა. ამით თითქოს საკუთარი დანაშაულის გამოსყ-იდვას ცდილობდა“.

ამჟამად კახაბერ შანშიაშვი-ლი ქართველი სამართალდა-მცავების მიერ ზემოხსენებ-ული ყაჩაღური თავდასხმებისა და ციხიდან გაქცევის ბრალდე-ბით იძებნება. მის მიმართ გა-მოტანილ ბოლო საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ:

„კახაბერ შანშიაშვილს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა თავისუფლების აღკვეთის მოხდ-ის ადგილიდან ჯგუფური გაქცე-ვა“.

საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს 2000 წლის 9 აგვისტო-ს განაჩენით ის ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართ-ლის კოდექსის 78-ე მუხლით გა-თვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვე-თა მკაცრი რეჟიმის სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მიუხედავად ამისა, კახაბერ შანშიაშვილი არ დაადგა გამო-სწორების გზას და გადაწყვი-ტა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ჯგუფურად გაქცევა. განზრახვის სისრულე-ში მოყვანის მიზნით კახაბერ შანშიაშვილმა და სხვა შვიდმა მსჯავრდადებულმა 2003 წლის 8 ივნისს, დაახლოებით 03:30 სა-ათზე, შეძლეს, გამოსულიყვნენ თავიანთი საცხოვრებელი კორპ-უსიდან და მისულიყვნენ მსჯა-ვრდადებულთა საცხოვრებელ ზონაში არსებულ სტადიონთან, რომლის მარცხენა კიდეში, გამო-ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გათხრილი გვირაბ-ის საშუალებით, რომლის სიგრ-ძეა 14 მეტრი, შეძლეს ძირითადი დამცავი კედლის წინ გარე აკრძ-ალული ზონის ტერიტორიაზე, #3 და #4 საფეხულებს შორის ამოსვლა, იქვე არსებული მართ-ულბადის გადაჭრა და ბოლო აკ-რძალულ კედელში ჩატანებული რკინის კარის გაღება, საიდანაც მოახდინეს ჯგუფური გაქცევა, რის შემდეგაც მიიმაღლენ“.

მას შემდეგ კახა შანშიაშვილი აღარავის უნახავს. ქართველი სამართალდამცავები მას 2003 წლიდან ეძებენ, თუმცა არ არ-ის გამოორიცხული, მასზე ძებნა შეწყდეს და ბრალიც მოეხსნას. ეს კი იმაზე დამოკიდებულია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუ-სთავის საქალაქო სასამართლო და გაიზიარებს თუ არა ის ძმები შანშიაშვილების საქმეში არსე-ბულ მნიშვნელოვან მტკიცებუ-ლებას.

ნუცა შანშიაშვილის ცხოვრება



„ბანეიცილია ბრძოლა ცოლიანი მამაკაცის მიმართ და მილოცია, რომ ბოროტება არ გაეკეთებინა სხვისთვის. საბედნიეროდ, უფალი ყოველთვის მიცავდა ამ ცოდვისგან“

„პრინციპი ჩვენი დაპირების მიზეზი ღალატი არ ყოფილა. კაცს შეუძლია კალიან ბევრ ქალთან იყოს და ერთი უყვარდეს“

„ქმარს არ უნდა უღალატო, რქიანი კაცი რად ბინდა?!“

my View
ნიმუ მკვლევარი

ხელოვნების ოჯახში გაიზარდა. ხედავდა როგორ იკეთებდა გრიმს მსახიობი დედა, როგორ თამაშობდა სცენაზე, როგორ აკეთებდა ნამუშევრებს მოქანდაკე მამა. მის სახლში თავს იყრიდნენ ღვანდლისი მსახიობები. მიუხედავად იმისა, რომ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა, მსახიობობაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. კარიერაში პირველი ნაბიჯები მოსკოვში ერთ-ერთ ჯაზკლუბში გადადგა. ახლა ნიუ-იორკში მოღვაწეობს. ჰყავს ქმარი და ორი წლის ბიჭი. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, ამის მიზეზი „ვიოსია“. ნუცა შანშიაშვილი მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური პროექტის ქართული ანალოგის

ერთ-ერთი მწვრთნელია. დღეს მუსიკოსი „პრაიმტიმის“ გულახდილი სტუმარია.

ხელოვანი მშობლები
- ხელოვანი ხალხის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. დედა, მზია მალაქელიძე ცნობილი მსახიობი გახლავთ, დოქტორი. მამა, ჯემალ შანშიაშვილი უნიკალური მოქანდაკე იყო, მის სახლ-მუზეუმს ვაშენებ ახლა საქართველოში. ბებიებმა, რომლებმაც სანკტ-პეტერბურგში მიიღეს განათლება, არაერთი უცხო ენა იცოდნენ. მათგან ბევრი რამ ვინსწავლე. ერთი ბაბუა, ბებუის ძმა, აბრეკ ფხალაძე მსახიობი იყო. „შერეკილებში“ ექიმს რომ თამაშობს, ის. მეორე ბაბუა, დედის მამა, ძაბული მალაქელიძე, გახლდათ მომღერალი, ექიმი და პირველი მულტიპლიკაციის შემქმნელი საქართველოში, დამარსებელი უნიკალური ნამლისა

„კამელინი“. აი, ასეთ ოჯახში გავიზარდე. ხელოვნება და ნიჭი გენებით გამოწყავა.

მასსოვს, დედა რომ მოდიოდა რუსთაველის თეატრიდან, მოჰყვებოდნენ რობიკო სტურუა, რამაზ ჩხიკვაძე, იზა გიგომელი, მარინა თბილელი, გია ფერაძე, ნანული სარაჯიშვილი. ესენი იყვნენ განძი საქართველოსი. ისე მინდოდა მათთან ერთად ყოფნა, ძილის დრო რომ მოდიოდა, კარს ავეკვრებოდი და იქიდან ვუსმენდი.

- ნუცა, მშობლებიდან ვის ჰგავხართ ხასიათით?

- მამას უფრო. მასსავით მიზანდასახული ვარ, სწრაფი აზროვნების უნარი მაქვს, არანორმალური ინტუიცია, წიგნის სიყვარული. დედისგან მსახიობის ნიჭი და პლასტიკა გამომყვა.

- განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ მშობლების მხრიდან? რას გიკრძალავდნენ?

- იყო მომენტი, როცა დეიდაჩემი, ნანა ფორტუპიანოზე დაკვრას მასწავლიდა. არ მიყვარდა ნოტების დამახსოვრება, სმენით ვსწავლობდი, ვიმახსოვრებდი ამა თუ იმ მელოდიას, ოღონდ კი ნოტებში არ ჩამეხედა. ამაზე იყო გაუთავებელი კამათი. ტულაღეტში ვიკეტებოდი, ვიტყუებოდი, რომ ცუდად ვარ და რაც შემეძლო დროს ვწვლავდი. სერიოზულ კონცერტებზე ვუკრავდი და ნოტები არ ვიცოდი. ამ გაუთავებელმა კამათმა და ძალდატანებამ, საბოლოო ჯამში, შედეგი გამოიღო.

გრიმისა და ხელოვნური ნამწამების ხატობით არჩეული პროფესია

- პროფესია როგორ აირჩიეთ, რამ ან ვინ მოახდინა თქვენზე გავლენა?

„ყოველთვის ღიღარის როლი მერჩივნა. საქართველოში ეს არ მოსულა. თავმდაბალი უნდა იყოს ქალი, კაცს ნადირობის საშუალება უნდა მისცე, მე პირიქით ვიყავი, აქეთ ვნადირობდი“

- დედაჩემის თეატრალურობამ, მისმა თეატრმა, მისმა კულისებმა, გრიმის მოხსნამ და გაკეთებამ. ვოცნებობდი, ოდესმე მეც დავმჯდარიყავი სარკესთან და ის დიდი ნამწამები მომეხსნა და გამეკეთებინა. გამეკეთებინა გრიმი...

- და ჩააბარეთ თეატრალურში?

- არა, სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე და გავხდი მხატვარი. მერე წავიდა რუსეთში და პირდაპირ სცენაზე აღმოვჩნდი. იმდენად მინდოდა მსახიობობა, ჩემად ვუსმენდი დედას, რომელიც ამზადებდა თავის სტუდენტებს. მერე ჩემად რეპეტიციას გავდიოდი. უდიპლომო მსახიობი ვიყავი.

- პირველი ხელფასი, პირველი ჰონორარი...

- არბატზე იყო პატარა თეატრალური ჯაზკლუბი, „მოზრდანდით დავითთან“, ასე ერქვა. დათო გოგიტიძემ ამიყვანა ამ კლუბში. მართალი გითხრა, არ მასსოვს რაში დავხარჯე ჩემი პირველი ჰონორარი. არც ეს შეგრძნება მასსოვს, რომ ეს ჩემი გამომუშავებული ფული იყო. რა მნიშვნელობა აქვს ჩემია თუ სხვისი, ფულის ხარჯვა არ მიჭირს, მფლანგველი ვარ. პირველი ჰონორარი, ალბათ, სასმელში დავხარჯე.

- ალკოჰოლთან მეგობრობთ?

- ახლა ვეღარ. როცა დიდ სცენაზე დგახარ, გასტროლები გინევს... ალკოჰოლი ძალიან კალორიულია, მაქსიმალურად უნდა მოერიდო. ძალიან მიყვარს გაუფილტრავი ლუდი, მაგრამ...



რეპისეული გამოცდილება

„მამის საფლავი მენატრება“
- რამდენი წელია რაც საქართველოდან შორს გინევთ ცხოვრება?

- ოცი.
- თავიდან ეს მტკივნეული იყო?

- არა.
- რა გენატრება ხოლმე იქ ყველაზე მეტად?

- ჩემი სარკმლიდან გადმოხედვა, ის ულამაზესი ხედი, მთელი თბილისი ხელისგულივით მოჩანს. მამის საფლავი მენატრება, ვერაზე ჩემს სკოლასთან სეირნობა მენატრება. მიყვარს სოლოლაკი, სამხატვრო აკადემია, ადგილი, სადაც ვსწავლობდი. რამდენჯერაც ჩამოვდივარ, დავდივარ ამ ნაცნობ ქუჩებში და ისე ვათვალიერებ ყველაფერს, თითქოს პირველად ვხედავ. იგივე მჭირს მოსკოვშიც, ნიუ-იორკშიც, კიევშიც და სანკტ-პეტერბურგშიც. ნაცნობ ადგილებში ხშირად ვინჯობ ექსკურსიებს და ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

- რა გადავლებს ამერიკაში ყოფნას?

- ამერიკა.
- რა სიხშირით ახერხებ საქართველოში ჩამოსვლას?

- ნ წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. ახლა ჩამოვედი პირველად ექვსი წლის მერე.

- მერე დედა?
- დედა მსტუმრობს ხოლმე იქ ხშირად.

ლიდერი სასიყვარულო ურთიერთობებში

- მგონი დედის მუცლიდან შეყვარებული ვიყავი. ვიგონებდი რაღაცებს, ვქმნიდი ტრაგედიებს. თან ყოველთვის ლიდერის როლი მერჩინა. საქართველოში ეს არ მოსულა. თავმდაბალი უნდა იყოს ქალი, კაცს ნადირობის საშუალება უნდა მისცე, მე პირიქით ვიყავი, აქეთ ვნადირობდი.

- მერე, გიმართლებდათ?

- არა. ვისაც მე ვუყვარდი და მოვწონდი, არ მიწოდდა. ავირჩევდი ვილაც მიუწვდომელს და იმაზე ვინყებდი ვენების გადახლართვას.

- ბევრი სისულელე ჩაგიდენიათ სიყვარულისთვის?

- საკმაოდ, მაგრამ, რაც მთავარია, არავისი ოჯახი არ დამინგრევიდა. ეს პრიორიტეტული იყო ჩემთვის. ბავშვობიდან მორწმუნე ადამიანი ვარ. ვიცი, რომ არსებობს ბუნების კანონი, რასაც დასტურებს იმას მოიმიკი. ამას ნყალი არ გაუვა. ვცდილობდი არავის გულში არ დამეთესა ტკივილი. ვმდგარვარ საფრთხის წინ, განმიცდია გრძნობა დაკავებული, ცოლიანი მამაკაცის მიმართ და მილოცია, რომ ბოროტება

„ვოცნებობდი, ოდესმე მეც დავმჯდარიყავი სარკისთან და ის დიდი ნაშნაგები მომეხსნა და გამეკეთებინა“

EXCLUSIVE

არ გამეკეთებინა სხვისთვის. საბედნიეროდ, უფალი ყოველთვის მიცავდა ამ ცოდვისგან.

- შენთვის უღალატიათ?

- კი, კაცო!

- ისე თქვი, თითქოს მიეჩვიე ამას...

- ასეა. გულგატეხილი დავდიოდი მთელი ცხოვრება, სანამ ჩემს მეორე ქმარს არ შევხვდი.

- პირველ ქორწინებაზე მიაშობო...

- 23 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემი პირველი ქმარი „პენტ ჰაუსის“ რედაქტორი, გია ცინცაძე გახლდათ. ეს ჟურნალი „ფლეი ბოის“ რუსული ვარიანტია.

- გიაც თქვენ მოინადირეთ?

- არა. ის ძალიან დამეხმარა კარიერის გაკეთებაში. საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია გია. მომხიბლა მისმა ნიჭიერებამ, შემეყვარდა.

- რატომ დაშორდით ერთმანეთს?

- ჩვენი შეხედულებები გაიყო, მე ჩემს გასტროლებზე გადავერთე, ის - თავისი ჟურნალის გადაღებებზე, ფოტოსესიებზე.

- ღალატი არ ყოფილა?

- ღალატი იყო პერმანენტულად. როცა ასეთი გამოცემის რედაქტორი კაცია და 24 საათის განმავლობაში ძალიან მაგარ ქალებთან აქვს ურთიერთობა, შეუძლებელია, არ გიღალატოს. იდიოტი უნდა იყო დაიჯერო, რომ ასეთი კაცი მხოლოდ მენ გიყურებს.

- და ოთხი წლის განმავლობაში იტანდით ამას?

- ალბათ, თავს ვიტყუებდი. პრინციპში ჩვენი დაშორების მიზეზი ღალატი არ ყოფილა. კაცს შეუძლია ძალიან ბევრ ქალთან იყოს და ერთი უყვარდეს.

- ქალს?

„გულგატეხილი დავდიოდი მთელი ცხოვრება, სანამ ჩემს მეორე ქმარს არ შევხვდი“

- ქალმა თუ ოჯახი შექმნა, აღარ უნდა უღალატოს. რად გინდა ქმარი, რომელსაც რქები დაადგი?! თუ არ გინდა, გამოირდი და იარე ერთთან კი არა, ასთან.

- ქალი რქებს იტანს?

- ამ შემთხვევაში იტანს...

- მაინც ქართველი ხართ...

- ალბათ.

რა კომპლექსი მოუხსნა მეორე ქმარმა

- ამ წლების განმავლობაში ყველაზე ცეცხლოვანი, ვნებიანი რომელი რომანი გახსენდებათ?

- ოდესმე დავწერ ნიგნს ჩემს რომანებზე. ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან გვერდით მყავს მამაკაცი, თემურ ტაგიევი, რომელიც ჩემი კაცია, ჩემი ცხოვრებაა, არ მინდა გული ეტკინოს.

- როგორ გაიცანით, რომელმა ინადირეთ?

- მან. შევიცვალე ამასობაში (იცინის). იმდენჯერ გამიტყუეს გული...

ვუთხარი კიდეც თემურს, ეკლიანი ზღარბივით ვიყავი, არავის აღარ ვიკარებდი, შენ ეს ეკლები მომაშორე და ბედნიერი ქალი გამხადე-მეთქი. მან მომაშორა კომპლექსი, რომ კაცს არ შეიძლება უთხრა მიყვარხარ. ეს თუ უთხარი, კარგად მეყოლე. ამერიკაში სხვანაირად ცხოვრობენ, რაც უფრო გაამხელ, გამოაჩენ სიყვარულს, უფრო ბედნიერია შენი პარტნიორი. მეც ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, ოღონდ მომეცი საშუალება, რომ გამოვხატო სითბო და სიყვარული. ამიტომ ვკარგავდი ყველას და ვრჩებოდი მარტო ამ ჩემს სიყვარულთან ერთად. მერე ინყებოდა ტრაგედიები. ამ კაცმა გამათავისუფლა კომპლექსებისგან... არ ვიცი რა მოხდება ხვალ, მაგრამ ღმერთს ვთხოვ, რომ ბედნიერი ოჯახი გვქონდეს სიყვარულით დატენილი წლების განმავლობაში.

- ნუცა, რისი დამოშობა მოგიწია, როცა „ვოისის“ მწვრთნელობას დათანხმდი?

- ანა მანიანის პროექტის რეპეტიციები გადავწიე.

- ისეთი დაგხვდა თბილისი როგორსაც ელოდი?

- დიდი ხანია არ ვყოფილვარ, სევდიანი მომეჩვენა.

- სევდიანია მთანმინდა?

- ჰო, ასეთი მეჩვენა, არ ვიცი რატომ.

- მოგწონს პროექტი, რომლისთვისაც ჩამოხვედი საქართველოში?

- გიჟურია, ისეთი, როგორიც შეგვეფერება.

- ეს პროექტი ახლა არ დაწყებულია საქართველოში. რას ეტყვი მამყურებელს, რატომ უნდა უყუროს „ვოისის“ ამ სეზონს?

- იმიტომ რომ, მე ვარ (იცინის).

- რას ველოდით თქვენგან?

- ემოციას, სწორ კომენტარებს, მუსიკას, სიმართლეს, ნიჭს.

- ვინ არის თქვენი მთავარი კონკურენტი მწვრთნელებს შორის?

- ყველა. აბსოლუტურად ყველა. დაპირისპირებებსაც ნახავს მამყურებელი ჩვენ შორის.

- დასასრულ, შეცდომებზე გკითხავთ, რას ნანობთ ხშირად?

- უხეში ვიყავი ზოგჯერ. ადამიანებს ვანყენინე. ახლა მათგან ზოგი აღარ არის, გული მწყდება, რომ ველარაფერს შევცვლი.



**„სამსუნგის“
მოხილური
ტელეფონების
კორპორაციულ
ბენეფიტს
საქართველოში
რომანი აქვს,
ფახმედიკა
და თავის
ამერიკულ
მეუღლეს
შოკში
აგდებს!**

ეს ამერიკელი მამაკაცი, სახელად ჩარლზი, სვეტლანა პანს („სამსუნგის“ კორპორაციული მენეჯერი თბილისში) პირველად კორეაში შეხვდა, სადაც მათი ურთიერთობა დაიწყო. სვეტლანა მას ისე უყვარდა, რომ მასთან შესახვედრად საქართველოში ოთხჯერ იმოგზაურა და 4 წლის წინათ ისინი თბილისში მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაქორწინდნენ.

დაქორწინების შემდეგ ჩარლზი ამერიკაში დაბრუნდა კარგი სამსახურის მოსაძებნად და სვეტლანასთვის „გრინ ქარდის“ მიღებაში დასახმარებლად. ამერიკის „გრინ ქარდის“ მიღების შემდეგ სვეტლანამ ორჯერ მოინახულა ჩარლზი ამერიკაში და დაჰპირდა, რომ ამერიკაში ჩავიდოდა და მასთან ერთად იცხოვრებდა. თუმცა ჩარლზმა გაიგო, რომ ის მას ატყუებდა და საქართველოში ვიღაც მამაკაცთან რომანი ჰქონდა. სვეტლანამ ყველაფერი უარყო და თქვა, რომ ეს მამაკაცი, უბრალოდ, მისი მეგობარი იყო. ამგვარად, ჩარლზმა გადანყვიტა, ამერიკაში სამსახურისთვის თავი დაენებებინა, საქართველოში ჩამოსულიყო და ქორწინების გადარჩენაზე ეზრუნა.

თუმცა, წარმოიდგინეთ ამერიკელი მამაკაცის შოკი და მწუხარება, როდესაც გაიგო, რომ სვეტლანა სხვა მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა ახალ ბინაში, რომელიც ჩარლზმა და სვეტლანამ თავიანთი მომავლისთვის შეიძინეს. ამ დიდი ცოდვის გამოამკვარავების შემდეგ,

სვეტლანამ თავი დაცვა და თქვა, რომ ის მართლმადიდებელი მორწმუნეა და ცუდი არაფერი გაუკეთებია. ყველა ცოდვა ჩარლზს გადააბრალა, რომ ეს ყველაფერი მისი ბრალი იყო და ისიც თქვა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს მის საქციელს.

თითქოს ეს არ იყო საკმარისი, ჩარლზი შოკში ჩავარდა და ზიზღი იგრძნო, როდესაც გაიგო, რომ სვეტლანა სხვა მამაკაცისგან ორსულად იყო! ამ დროს კი ისევ იმეორებდა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია, რადგან, მისი თქმით, საქართველოში ქმრის ღალატი ჩვეულებრივი ამბავია.

ჩარლზი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სვეტლანა მსგავს საქციელს ჩაიდენდა, რადგან ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ იდეალური მართლმადიდებელი ქალიშვილი იყო. სვეტლანამ მას ყველაზე საშინელი ღამის კომპარი მოუწყო და ცხოვრება დაუნგრია, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ საკუთარი საქციელის გამო სინდისიც არ ქენჯნის.

თუმცა მნიშვნელოვანი საკითხია ის, როგორ შეიძლება ასეთი ქალბატონი მსოფლიო კომპანია „სამსუნგის“ სახე იყოს საქართველოში (მისამართი: ვაჟაფშაველას გამზირი #71)? ლახავს თუ არა ამ ქალბატონის საშინლად ამორალური ქმედებები „სამსუნგის“ რეპუტაციას საქართველოში? მხარს დაუჭერს თუ დაგმობს „სამსუნგი“ და ქართული ტრადიციები მის ქმედებებს?

მოტყუეპუ

მირიან ბოქლოშივილი

თამარ სანიკიძისთვის ეს არც პირველი სკანდალია და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი იქნება, რადგან განათლების მინისტრი თავისი ხისტი და არაპოპულარული გადაწყვეტილებებით ხშირად ხდება საზოგადოების მწვავე კრიტიკის სამიზნე. ერთმა ექსპერტმა იხუმრა კიდევც, – მთავრობაში გენდერული ბალანსი დიდად არ დარღვევა, თუ მინისტრთა კაბინეტს თამარ სანიკიძეს ჩამოაშორებენო. პრინციპში, მართლაც რჩება შთაბეჭდილება, რომ განათლების მინისტრი მთავრობაში მხოლოდ გენდერულ თანასწორობას ამყარებს, ახალგაზრდებს კი, რომლებიც, წესით, ამ უწყების მთავარი საზრუნავია, მინისტრი ტელეკამერებით ურჩევს, რომ „სტუდენტობა მათი თვითმიზანი არ უნდა იყოს“.

როგორც წესი, ყველა კრიტიკულ სიტუაციაში მინისტრი უარს ამბობს სტუდენტებთან შეხვედრაზე და მოლოდინი იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვა კაბინეტიდან, ცხადია, არც ჩვენს რესპონდენტს არ აქვს. ამიტომაც ჩვენი საშუალებით გადანყვიტა განათლების სამინისტროს „ერუ კედლის“ დაძლევა და სანიკიძისთვის ხმის მიწვდენა. იმედია, ქალბატონი მინისტრი ამ შემთხვევაში მაინც აუხსნის საზოგადოებას, ვინ და რატომ მოატყუა აბიტურიენტები...

მოკლედ, საქმე მულტილინგვურ განათლებას ეხება... ამ სპეციალობაზე სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღება წელს პირველად გამოცხადდა. ვინაიდან საუბარია ეროვნული უმცირესობებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგების მომზადებაზე, სახელმწიფოს ამ სპეციალობაზე მოხვედრილი სტუდენტების დაფინანსება მთლიანად თავის თავზე უნდა აეღო. ეს პროგრამა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, რადგან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ სათანადო ცოდნა, რათა საშუალო სკოლებში უმცირესობათა ენებისა და სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი გააუმჯობესონ. ამ პროგრამისა და, შესაბამისად, სპეციალობის შექმნის მიზანი, ერთი მხრივ, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური ინდენტობის დაცვა და მეორე მხრივ, ქართველ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციაა. შესაბამისად, ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა, რომ იმ სტუდენტებს, რომლებიც მულტილინგვური განათლების სპეციალობაზე მოხვედებოდნენ, თავადვე დაფინანსებდა. ასეთი ინფორმაცია ჰქონდათ თავად აბიტურიენტებს, თუმცა უნივერსიტეტში სრულიად სხვა რეალობის წინ აღმოჩნდნენ.

ლია დამენია ერთ-ერთი ის პირველკურსელია, ვინც მულტილინგვური განათლების სპეციალობა აირჩია, თუმცა სწავლის დაწყების დღეს უთხრეს, რომ არანაირი სახელმწიფო დაფინანსება არ არსებობს და ყოველწლიურად 2700 ლარი გექნება გადასახდელი. მისი ნაამბობით, გამოდის, რომ სტუდენტები ახლად შექმნილ სპეციალობაზე მიიტყუეს და შემდეგ ფაქტის წინაშე დააყენეს. ლიას მშობლები პირადად ესაუბრნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებსაც და უნივერსიტეტში ამ პროგრამის ხელმძღვანელსაც. სამინისტროში უთხრეს, რომ არასწორად გაიგეს ინფორმაცია. პროგრამის ხელმძღვანელმა, კახა გაბუნია კი განუმარტათ, რომ სახელმწიფო დაფინანსება ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

რატომ არ მულტილი ბანათლებ თამარ სან პრიორიტე



ლია დამენია

**„წინა კვირას ბავშვი საბნების
ასარჩევად იყო მისული და
უთხრეს, ვერანაირ საბანს
ვერ აირჩევ, რადგან
გადასახადი გაქვს
შემოსატანო. ბავშვი შოკში
ჩავარდა. აბა, როგორია, რომ
გმონია, უფასოზე მოხვდი და
უცებ გიცხადებენ, რომ თურქი
გადასახადი უნდა მიიტანო“**

ლი სტუდენტები

მოსვლა ნგპური EXCLUSIVE იპიის ტაბუი?

„სია მიწოდებული
იქნა მას შემდეგ,
რაც განათლების
სამინისტროს
უკვე
დამტკიცებული
ქმონდა
დაფინანსების
კოტეჯი“



„პრაიმტაიმი“ ლიას მამას, გოჩა დამენიას ესაუბრა, რომელსაც იმედი აქვს, რომ განათლების მინისტრი ამ საკითხით დაინტერესდება და მომავალი სემესტრიდან მაინც, მულტილინგვური განათლების სპეციალობას სახელმწიფო დააფინანსებს.

გოჩა დამენია, სტუდენტის მამა:

– ნათქვამი იყო, რომ ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მულტილინგვური განათლების სპეციალობა იქნებოდა უფასო. ეს არის ახალი ფაკულტეტი, რომელიც არაქართულენოვანი სკოლებისთვის ამზადებს პედაგოგებს. ჩემმა ქალიშვილმაც აირჩია ეს სპეციალობა, მოხვდა ჩვეულებრივ, მივედით უნივერსიტეტში, დავდეთ ხელშეკრულება და დამიდებულნი წამოვედით რაიონში. წინა კვირას ბავშვი საგნების ასარჩევად იყო მისული და უთხრეს, ვერანაირ საგანს ვერ აირჩევ, რადგან გადასახადი გაქვს შემოსატანიო. ბავშვი როკში ჩავარდა. აბა, როგორია, რომ გგონია, უფასოზე მოხვდა და უცებ გიცხადებენ, რომ თურმე გადასახადი უნდა მიიტანო.

– რა გითხრეს? რატომ შეიცვალა გადაწყვეტილება?

– ამის გასარკვევად მივედი უნივერსიტეტში, მითხრეს, რომ უნდა დაველაპარაკო ვინმე გაბუნიას, რომელიც ზოგადად ამ სასწავლო პროგრამას ხელმძღვანელობს. გვითხრა, კი, უფასო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო სახელმწიფომ უარი თქვა და დაფინანსება არ მოხერხდა. აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე, რომ ფული ყოფილა გადასახდელი.

– უშუალოდ განათლების სამინისტროში ვის ესაუბრეთ?

– განათლების სამინისტროს გამოცდებისა და შეფასების ცენტრის ცხელ ხაზზე დავრეკე. გვითხრეს, რომ იქ სხვა რაღაც იყო მითითებული და თურმე ფრჩხილებ-

ში ეწერა, რომ კონკრეტულად ეს სპეციალობა ფასიანიაო. შავზე თეთრს მიმტკიცებდნენ და მეუბნებოდნენ, თქვენ შეცდითო. კარგი, ჩვენ თუ შევცდით, თავად გაბუნიაც ცდება, რომელიც გვიდასტურებს, რომ კი, უნდა დაფინანსებულიყო, მაგრამ ტექნიკური პრობლემის გამო არ დაფინანსდაო?

– კონკრეტულად ვინ გითხრათ, რომ სახელმწიფო დაფინანსებდა?

– ეს ინფორმაცია იდო მათ ვებგვერდზე, ახლა რა და როგორ შეცვალეს, ჩემთვის უცნობია. თვითონ უნივერსიტეტის კანცელარიაშიც გაუკვირდათ, როგორ, ეს სპეციალობა ხომ უნდა დაეფინანსებინათ და რა თანხაზეა საუბარიო. იძულებული გავხდი, წინასწარი შესატანი 562 ლარი შემეტანო, ბავშვს უსწავლელს ხომ არ დავტოვებდი, ძალიან ინერვიულა. მომავალში როგორ გადავიხდი, არ ვიცი. რომ გვეცოდნოდა, ეს სპეციალობა ფასიანი იყო, ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით სხვა სასწავლებელში, ფილოლოგიურზე ისედაც ხვდებოდა უფასოზე და მაშინ იმ სასწავლებელს აირჩევდა. გამოდის, რომ მოგვატყუეს, ვებგვერდზე დაწერეს, დაფინანსდებოდა და რეალობა სრულიად სხვა აღმოჩნდა. ვესაუბრე სხვა მშობლებსაც, ისინიც იგივეს ამბობენ. სიმართლე გითხრათ, აქ თანხაზეც არ არის საუბარი. კი, ბატონო, გავიჭირებ და ბავშვს უსწავლელს არ დავტოვებ, მაგრამ აქ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე გვაქვს საუბარი. განათლების სამინისტრომ პრაქტიკულად მოგვატყუა და ეს ძალიან შეურაცხყოფელია.

„პრაიმტაიმი“ თსუ-ს პროფესორს,

პროგრამის ხელმძღვანელს, კახა გაბუნიას და უკავშირდა და შეეცადა, გაერკვია, და პ ი რ ე ბ ის

მიუხედავად, რატომ ვერ მოხვდა ეს პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებაში.

კახა გაბუნია, თსუ-ს პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი:

– ამ პროგრამის აკრედიტაცია მოხდა გასული წლის ნოემბერში. რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო დაფინანსებული, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა ისე, რომ განათლების სამინისტროში უფასო პროგრამების სია უკვე გადაგზავნილი გახლდათ. შესაბამისად, ამ

სპეციალობისთვის განკუთვნილი 25 ადგილი ვერ მოხვდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულთა სიაში. ძალიან მოვიწოდებ, გავაგზავნეთ თხოვნა, რომ ეს პროგრამაც დაფინანსებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა.

– რატომ იყო სტუდენტებისთვის ცნობილი, რომ სწავლა ამ სპეციალობაზე უფასო იქნებოდა?

– არა, ეს ეხებოდა მხოლოდ არაქართულენოვან აბიტურიენტებს, რომლებმაც წინასწარ სწავლების ერთი კურსი გაიარეს. დანარჩენი გავაფრთხილეთ, რომ, სამწუხაროდ, წელს ვერ მოესწრო სახელმწიფო დაფინანსება, რადგან პროგრამა აკრედიტაციას გადიოდა და, შესაბამისად, სია მიწოდებული იქნა მას შემდეგ, რაც განათლების სამინისტროს უკვე დამტკიცებული ჰქონდა დაფინანსების კოტეჯი. ზოგადად, მათ იცოდნენ, რომ შედეგად იქნება მიმართულა იყო უფასო და ჩათვალეს, რომ კონკრეტულად ეს პროგრამაც უფასო იქნებოდა. გეთანხმებით, რომ ეს სპეციალობა ნამდვილად უნდა იყოს უფასო, ვცდილობთ, მეორე სემესტრიდან მაინც მოვახერხოთ სახელმწიფო დაფინანსების მიღება.

– და ამ ეტაპზე რატომ თქვა უარი სახელმწიფომ პროგრამის დაფინანსებაზე?

– უარი არ უთქვამს. აქ საუბ-

არია იმაზე, რომ როდესაც დგება მომდევნო წლის ბიუჯეტი, იქ ვერ მოესწრო ამ საკითხის გათვალისწინება. გიმეორებთ, რომ ამ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა ნოემბერში, მაშინ, როცა სიები უკვე გაგზავნილი იყო სამინისტროში. ახლა ვმუშაობთ სამინისტროსთან, რომ მოხდეს ამ საკითხის გათვალისწინება და მეორე სემესტრიდან მაინც შევძლოთ სახელმწიფო დაფინანსება. უსამართლობაა, რომ ზუსტად იმავე კვალიფიკაციის პროგრამა ფინანსდებოდეს და ეს იყოს ფასიანი. ამაზე არავინ არ დაობს. მე გისხნით იმ მიზეზს, რის გამოც ეს გაუგებრობა შეიქმნა. ამაში სამინისტროს დადანაშაულება არასწორია. პროცედურების გამო, მოხდა ისე, რომ სახელმწიფო დაფინანსება პირველ წელს ჩაგვივარდა.

– და მომავალ წელს დაფინანსდება ეს პროგრამა?

– ჩვენ გავაგრძელებთ მოთხოვნას დაფინანსებაზე. მომავალ სემესტრში ეს როგორ მოხერხდება იურიდიულად, ვერ გეტყვით, მაგრამ მომავალ წელს, როდესაც ახალი მიღება გამოცხადდება, ეს იქნება ჩვეულებრივ დაფინანსებული პროგრამა, ამაზე დავა არ არის.

– მომავალ წელს სახელმწიფო დაფინანსება წელს ჩარიცხულ სტუდენტებსაც შეეხებათ?

– აი, ეს უკვე იურიდიული საკითხია და ვერ გეტყვით, როგორ გადაწყდება.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, განმარტებდა თავად განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს განაცხად მოესმინა და გაერკვია, რეალურად როგორ აღმოჩნდნენ სტუდენტები მოტყუებულნი, ან თუნდაც შეცდომადი შეყვანილნი. უწყებაში მცირე კომენტარით შემოიფარგნენ და გვითხრეს, რომ აღნიშნული სპეციალობა არ ყოფილა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, შესაბამისად, აბიტურიენტებს ვერავინ ეტყოდათ, რომ მათ თანხის გადახდა არ მოუწევდათ. როგორც ჩანს, ან უკვე პირველი კურსის სტუდენტ ლია დამენიასა და მასთან ერთად მულტილინგვური განათლების სპეციალობაზე მოხვედრილ სხვა ახალგაზრდებს საკმაოდ საინტერესო და ქვეყნისთვის საჭირო პროფესიის დაუფლება საკუთარი ხარჯებით მოუწევთ.

პროგრამის ხელმძღვანელი: „უსამართლობაა, რომ ზუსტად იმავე კვალიფიკაციის პროგრამა ფინანსდებოდეს და ეს იყოს ფასიანი. ამაზე არავინ დაობს. მე გისხნით იმ მიზეზს, რის გამოც ეს გაუგებრობა შეიქმნა“



კახა გაბუნია

გოჩა დამენია:
„ტექნიკური მიზეზების გამო სახელმწიფომ უარი თქვა და დაფინანსება არ მოხერხდაო. აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე, რომ ფული ყოფილა გადასახდელი“



სოფო ნიჟარაძე



მაგდა
კლდიაშვილი

SPORT



დარჩებიან თუ არა „ჩემი ლელა“ მეზობლები

„ფაქტი თავისთავად სასიამოვნო გადასვლა არ არის კარგი „რუსთავი 2“-სთვის“

მსახიობმა ლელა მეზობლები ახალი სეზონიდან ტელეწამყვანის როლი მოირგო. „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი „იმედის“ შუადღის წამყვანი გახდა. ამავე გადაცემაში კვირაში ერთი დღე მაყურებელს მიესალმება „ჩემი ცოლის დაქალების“ კიდევ ერთი მსახიობი, ეკა ამირეჯიბიძე. მსახიობი, პარალელურად, „ეოლისის“ წამყვანიც იქნება. ის დღეა სხირტლაძესთან ერთად გაუძღვება მუსიკალურ პროექტს. საქართველოში ყველაზე პოპულარული სერიალის გამრეხების კონკურენტ არსებულ გადასვლამ კითხვები გააჩინა. ჩვენ, სერიალის პროდიუსერს, მიშა მშვილდაძეს და კატოს როლის შემსრულებელს, მსახიობ ლელა მეზობლებს დავუკავშირდით.

მიშა მშვილდაძე:
- მიშა, „პრაიმტიმინიდან“



ზვიად სიჭინავა სკანდალში გაეხვე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა სერიოზულ სკანდალში გაეხვე.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ სიჭინავა სტუმრად იმყოფება აფხაზეთში, ერთ-ერთ ოჯახში და სადღეგრძელოს წარმოთქვამს. სფფ-ს ყოფილი პირველი პირი, აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სოხუმს კი მის დედაქალაქად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ მას აფხაზეთში უფრო მეტი მეგობარი ჰყავს, ვიდრე ქართველი.

„სოხუმში ძალიან მიყვარს. აფხაზეთი სოხუმის გარეშე არ არსებობს ჩემთვის. ეს მნიშვნელოვანი ადგილია ჩემთვის. ეს არის ქალაქი, სადაც ვცხოვრობდი, სადაც ყბაში მიმიღია, სადაც მიჩნებოდა... მე ამაყი ვარ, რომ ეს ქალაქი ამ ქვეყნის დედაქალაქია. მინდა დავლიო სადღეგრძელო ქვეყნის, რომელიც ცხოვრობს ისე, როგორც ცხოვრობს, აქვს დანიშნულება, სურვილი და მიზანი, რომლისკენაც მიდი“, - ამბობს სიჭინავა.



დიმიტრი ტატანაშვილი

ბოლნისის „სიონის“ 31 წლის თავდამსხმელი, დიმიტრი ტატანაშვილი შვილს ელოდება. მისი მეუღლე, ნინო აბაიშვილი გოგონას ნოემბრის დასაწყისში გააჩენს. წყვილმა ბავშვის სახელი უკვე შეარჩია და მას მამოს დაარქმევს. დიმიტრი ტატანაშვილი და ნინო აბაიშვილი უკვე ერთი წელია ცოლ-ქმარი არიან. მამო მათი პირველი შვილი იქნება.



ნინო გოგოლაშვილი

**„გი ცოლის დაქალებში“
და ეკა ამირეჯიბი**

**არ არის. კონკურენტ არსზე
„2“-ის თანამშრომლებისთვის**



განუხებთ. ლელა მებური-შვილზე და ეკა ამირეჯიბზე მინდა გკითხოთ.

- გისმენთ.
- როგორც იცით, ახალი სეზონიდან გოგონები „იმედის“ წამყვანები გახდნენ. ეს ხელს ხომ არ შეუშლის მათ მონაწილეობას თქვენს სერიალში?
- ფაქტი თავისთავად სასიამოვნო არ არის. კონკურენტ არსზე გადასვლა არ არის კარგი „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებისთვის.
- შესაძლოა, რომ ისინი ვეღარ ნახოს მაცურებელმა სერიალში?
- ვერ გეტყვით, ეს საკითხი ჯერ განხილვის პროცესშია.

ლელა მებურიშვილი:
- ლელა, ხელს ხომ არ შეგიშლის „შუადღის“ წამყვანობა „რუსთავი 2“-თან თანამშრომლობაში.
- არა, რატომ?
- ანუ სერიალში რჩები?
- კი, ვრჩები.

**ლელა მებურიშვილი:
„სერიალში
ვრჩები“**



**ლუკა რაზმაძე
გოგონას მამაც
გახდება**



31 წლის ქართველი ნახევარმცველი, ლუკა რაზმაძე, რომელიც ახლა ბოლნისის „სიონის“ ღირსებას იცავს, მალე ქალიშვილის მამაც გახდება. ლუკა რაზმაძესა და მარიამ სრეელს, ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, უკვე ჰყავთ 4 წლის ალექსანდრე, ახლა კი, დედებზე, ქალიშვილს ელოდებიან, რომელსაც ანასტასიას დაარქმევენ.

ლი ბავშვს ელოდება



paparazzi
★ ფოტო: თინა თუთიასანი



ნათუნა გოგოლაშვილი



ნიკა მელია



სვლენა შხარველიძე

მაია მიმინოშვილი საკუთარ ვაჟს ერთ თვეში გიუჯეტიდან 2700 ლარი გადაუხადა

მირიან ბოქოლიშვილი

გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში ნეპოტიზმი რომ ყვავის, ამის შესახებ „პრაიმტიმში“ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ წერდა, როდესაც გავარკვიეთ, რომ ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი დაქვლებთან ერთად ბიუჯეტის ხარჯზე ხშირად სტუმრობდა სხვადასხვა გასართობ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს. ასე მაგალითად, მიმინოშვილი და ცენტრის რამდენიმე თანამშრომელი გახდნენ ვაკის საცურაო აუზისა და ფიტნესკლუბის წევრები, ამისთვის კი ცენტრის ბიუჯეტიდან 15 ათას ლარზე მეტი გადაიხადეს, ასევე, 2006 წელს 1400 ლარამდე გადაუხადეს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიას.

ეს მასალები თავის დროზე კორნელოვს პალატის დასკვნაშიც აისახა, თუმცა, როგორც ჩანს, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში ნეპოტიზმი ამით არ დასრულდა. ამჯერად საქმე მის ვაჟს ეხება, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა... პირველად 2009 წელს, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელისგან ანგარიში ტელეკამერების წინ ჩაიბარა და იმის ნიშნად, რომ გამოცდები სრულიად არაკორუმპირებული სისტემით ტარდება, საქვეყნოდ გაამხილა, რომ მაია მიმინოშვილის ვაჟი სამაგისტრო გამოცდებზე ჩაიჭრა.

„ისეთი სისტემა უნდა შევქმნათ, მე რომ გამოვიცვლები, თქვენ რომ გამოვიცვლები, – თქვენ ბევრად დიდხანს იქნებით, მაგრამ, როცა გამოვიცვლები, – ვერავინ ვერ ჩამოანგრიოს. ხალხი იმდენად შეეჩვია, რომ პრეტენზია აღარ არის, სინყნარეა, ეჭვი აღარავის ეპარება. და მეტი რა მტკიცება გინდა, საკუთარი შვილი რომ ჩაგივარდება საკუთარ გამოცდებზე, როცა, ცალი თვალთა რომ შეგეხებათ, ჩააბარებდა. ეს ნიშნავს რაღაცას, ხომ?!“ – განაცხადა მაშინ მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც ჩანს, მის მიერ მაშინ გამოთქმული პროგნოზი იმის შესახებ, რომ მაია მიმინოშვილი უფრო დიდხანს დარჩებოდა დაკავებულ თანამდებობაზე, ვიდრე თავად, გამართლდა, თუმცა 2012 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სააკაშვილის ხელისუფლებამ მიმინოშვილი გაათავისუფლა. ოფიციალურ მიზეზად განათლების მინისტრ დიმიტრი მამუკინთან პიროვნული



კოორდინატორის პოზიციიდან ალექსანდრე ყანჩაველმა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე გადაინაცვლა და დღეს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საქმეში, პირველი არა, მაგრამ მეორე პატია



სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უკავია თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი
მაია მიმინოშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი	109967.48 GEL
ალექსანდრე ყანჩაველი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე	9143.00 GEL
ალექსანდრე ყანჩაველი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ბათუმის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორი	2700.00 GEL

შეუთავსებლობა დასახელდა, არაოფიციალურად კი ითქვა, რომ მიმინოშვილი „ქართული ოცნების“ აქციებში მისი ვაჟის მონაწილეობას შეეწინააღმდეგებდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ კი მიმინოშვილი კვლავ ალაღვივდა თანამდებობაზე და ამჟამად, ყველაფერი ისეა, როგორც სააკაშვილმა იწინასწარმეტყველა.

თუმცა ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის გახდა ცნობილი და რასაც თავად მაია მიმინოშვილის დეკლარაციაზე ადასტურებს, შესაძლოა, გამოცდებისა და შეფასების ცენტრში მიმინოშვილის მრავალწლიანი ეპოქის დასასრულის საფუძველი გახდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ქალბატონმა მაიამ თავის უწყებამდე დაასაქმა და საკმაოდ სოლიდური გასამრჯელოც გამოუწერა საკუთარ ვაჟს, ალექსანდრე ყანჩაველს. თავად მიმინოშვილის 2015 წლის ფინანსურ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ალექსანდრე ყანჩაველი გახლდათ ბათუმის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორი, სადაც მას შრომის ანაზღაურების სახით 2700 ლარი აქვს აღებული. ეს თანხა საკმაოდ მიზიარებულია, თავად მიმინოშვილის ხელფასთან შედარებით. წლის განმავლობაში გამოცდებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელის ანაზღაურება 110 ათას ლარს აღწევს, თუმცა საწინააღმდეგო არც ალექსანდრე ყანჩაველს უნდა ჰქონდეს, რადგან იმავე დეკლარაციით ირკვევა, რომ ის ამჟამად უკვე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილეა, სადაც ხელფასის სახით 9143 ლარი აქვს აღებული. ასე რომ,

ბათუმის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორის პოზიციიდან ალექსანდრე ყანჩაველმა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე გადაინაცვლა და ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საქმეში, პირველი არა, მაგრამ მეორე პატია.

დარღვია თუ არა მაია მიმინოშვილმა კანონი, როდესაც საკუთარ უწყებაში თავისივე ვაჟი დაასაქმა? ექსპერტები ამბობენ, რომ „გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მიუხედავად იმისა, რომ ის განათლების სამინისტროს ექვემდებარება, საკანონმდებლო ნაკლოვანების გამო, მასზე არ ვრცელდება საჯარო მოხელეთათვის დაწესებული შეზღუდვები, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის მხრივ“, თუმცა ექსპერტები იქვე განმარტავენ, რომ არსებობს სამსახურ-ებრივი ეთიკის ნორმები, რაც ქალბატონ მიმინოშვილს, წესით, უნდა უკრძალავდეს საკუთარი ოჯახის წევრების დასაქმებას.

სწორედ საკანონმდებლო ნორმის იმედიდან გამომდინარე და შეფასების ეროვნულ ცენტრში, სადაც გვითხრეს, რომ ცენტრის თანამშრომლები საჯარო მოხელეები არ არიან, შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტზე საუბარი ზედმეტია.

„ალექსანდრე ყანჩაველი არ არის ჩვენი თანამშრომელი, მას ჰქონდა გაფორმებული დროებითი, ერთთვიანი ხელშეკრულება საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. ის იყო ბათუმის ცენტრის კოორდინატორი, ანუ ცენტრის ადმინისტრატორის დამხმარე.

მოგეხსენებათ, რომ საგამოცდო პერიოდის განმავლობაში 19 საგამოცდო ცენტრია გახსნილი. პროცესში ჩართულია 4 ათასზე მეტი მეთვალყურე, რეგისტრატორი, კოორდინატორი, გამსწორებელი და ა.შ. ისინი სწორედ დროებითი ხელშეკრულებით ასრულებენ დაკისრებულ სამუშაოს. რაც შეეხება

სებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები არ არიან საჯარო მოხელეები. თუმცა კიდევ ერთხელ გვსურს, დავაზუსტოთ, რომ ამ შემთხვევაში თანამშრომლობა მხოლოდ დროებით, ერთთვიან ხელშეკრულებას გულისხმობდა, – განუცხადეს „პრაიმტიმს“ გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში.

მოკლედ, ცენტრში ამბობენ, რომ ყანჩაველი გახლდათ ტექნიკური პერსონალი, კერძოდ, ადმინისტრატორის დამხმარე მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. მით უფრო საკვირველია, ისეთი რა დახმარება გაუწია ბათუმის საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორს, რომ მას ერთი თვეში 2700 ლარი გამოუწერეს.

ჩვენთვის, ასევე, საინტერესოა, როგორ გახდა ბათუმის საგამოცდო ცენტრის „ტექნიკური პერსონალი“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.

ამის გასარკვევად, ტურიზმის ადმინისტრაციას დავუკავშირდით, სადაც განგვიმარტეს, რომ ალექსანდრე ყანჩაველი, ადმინისტრაციის ნაწილში წამყვან პოზიციაზე ნამდვილად მუშაობს, თუმცა არა უწყების ხელმძღვანელის პირველ მოადგილედ. ამჟამად ის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზეა. როგორც ჩანს, მაია მიმინოშვილმა საკუთარ დეკლარაციაში შეიძლება „დაანინაურა“ კიდევ და მისი თანამდებობა არასწორად მიუთითა.

როგორ გახდა ბათუმის საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორის დამხმარე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი?

თავად ალექსანდრე ყანჩაველს, ის რამდენიმე წლის წინათ ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პერიოდში ჩაერთო ამ პროცესში როგორც რიგითი, ტექნიკური პერსონალი.

ინტერესთა კონფლიქტზე აქ საუბარიც ზედმეტია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფა-

არაკორექტული კითხვები ჯონდი ბალათურის გადართულებას

მირიან ბოქლოძე

ნინო ბურჯანაძის კვლადკვლად რუსეთში მისი პოლიტიკური პარტნიორი ჯონდი ბალათურია ჩავიდა, იქიდან დაბრუნებული კი ოკუპანტ ქვეყანასთან სამოკავშირეო ურთიერთობებზე საუბრობს. ცხადია, საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების მწვავე კრიტიკამაც არ დააყოვნა, თუმცა ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ქართული დასის“ ლიდერს პრორუსობაში სდებენ ბრალს.

ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს ბალათურია არაერთხელ იქცა იმდროინდელი მმართველი გუნდის კრიტიკის ობიექტად.

„ჯონდი ბალათურია ცდილობს, დოლარების მომლოდინეთა გრძელ რიგში დაიკავოს ადგილი და იდაყვებით სხვები ჩააჩოროს“, – ასეთ შეფასებებს ის ნაციონალურებისგან ხშირად ისმენდა, თუმცა მაშინ რუსეთთან მოკავშირეობაზე ლიად მინც არ საუბრობდა. ამჯერად ბალათურია საკუთარ განცხადებებში გაცილებით თამამია.

„პრაიმტიმის“ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული დასის“ მოსკოვიდან დაბრუნებულ ლიდერთან, რომელსაც ჩვენი შეკითხვების ნაწილი არაკორექტულად მოეჩვენა.

– ბატონო ჯონდი, რატომ გადაწყვიტეთ მოსკოვში ჩასვლა? ხომ არ უკავშირდება ეს ვიზიტი თქვენს საარჩევნო გეგმებს?

– ჩვენი მიზანია, აღვადგინოთ რუსეთსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ურთიერთობა. რუსი ერი საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე და ქართველებმა ასეთი დიდი სახელმწიფოს მოკავშირეობა უნდა გამოეყენებინათ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს მთლიანი და ვითარდებოდეს როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად თვალსაზრისით. ვითარება, რომელიც დღეს არის შექმნილი რუსეთსა და საქართველოს შორის, ეს არის ანომალია. ამიტომ ვცდილობთ, ეს ურთიერთობები დავარგულოთ. ჩვენ შეხვედრებზე ვისაუბრეთ საკმაოდ რთულ საკითხებზე, რამაც წარმოშვა ეს ანომალიური ურთიერთობა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენს სამოკავშირეო ურთიერთობებზე აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა.

– რატომ მაინცდამაინც ახლა? – იმიტომ, რომ დღეს ამის რეალური შანსი არსებობს. ჯერ ერთი, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში შეიმჩნევა რუსეთისკენ შემობრუნება, ამიტომაც უფრო პროდუქტიულად ვმუშაობთ ჩვენს რუს კოლეგებთან. არჩევნებთან ამას ვერ დავაკავშირებ. რუსეთში წასვლას რომ ვგეგმავდით, სულ არ გამსხენებია, რომ მომავალ წელს არჩევნებშია.

– მაინტერესებს თქვენ, არცთუ ისე მაღალრეიტინგული ოპოზიციური პარტიის ლიდერმა, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოთ ქვეყანას რუსეთში ვიზიტით? რა მანდატით საუბრობთ რუს კოლეგებთან?

– საკმაოდ არაობიექტური და არაკორექტული ხარტ.

– რატომ? – იმიტომ, რომ „ქართული დასი“ არის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და პოპულარული პარტია საქართველოში. შესაბამისად, თქვენი ეს შეფასება სუბიექტურია.

– უკაცრავად, რა არის სუბიექტური? თქვენს პარტიას მაღალი რეიტინგი აქვს?

– დიახ, „ქართული დასი“ არის ერთ-ერთი პოპულარული პარტია.

– რაზე დაყრ-



„სრულიად ვითანხმები რუსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში ნათესავის, ან აზრსსარაკეტო დანადგარების გათავსება არის ზირდაპირ მოსკოვსა და პეტერბურგზე დამინებული რაკეტები“

ჯონდი ბალათურია: „საკმაოდ არაკორექტური და არაკორექტული ხარტ“

დნობით ამბობთ ამას? მოდი, დავაზუსტოთ, რომ შემდგომ საუბარში რაიმე ბუნდოვანება არ იყოს?

– ჩვენ რაზე ვსაუბრობთ ახლა – რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, თუ „ქართული დასის“ რეიტინგზე?

– ჩვენ ვსაუბრობთ „ქართული დასის“ ლიდერის მოსკოვში ვიზიტზე...

– თქვენ ინტერვიუში თემად შემოიტანეთ ჩვენი პარტიის რეიტინგი და აფასებთ მას სუბიექტურად.

– სუბიექტური არ არის, შეგახსენებთ, რომ პერიოდულად ქვეყნდება კვლევები და რეიტინგები, სადაც თქვენი პარტია არსად ფიგურირებს... არგოტი, თუ არ გსურთ ამ საკითხის დაზუსტება, მაშინ ძირითად თემას დავუბრუნდეთ...

– რა მანდატით საუბრობთ რუსებთან?

– ისე ვაშინგტონში თუ დადიან ოპოზიციონერები, ამ შეკითხვას რატომ არ უსვამთ?!

– იმიტომ, რომ ვაშინგტონს არა აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული...

– ეგ არაფერ მუაშია. თქვენ მეკითხებით მანდატზე, მანდატი კი არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც პოლიტიკოსები მართავენ ამა თუ იმ მოლაპარაკებას. რაც შეეხება ვიზიტებს, თუნდაც ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ვიზიტს, რომელიც ჩემამდე იმყოფებოდა რუსეთში, ეს იყო საკმაოდ ნარმატიული ვიზიტი. გაჩნდა შეთანხმების პერსპექტივა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ვერ თავისუფლდება დასავლური მიშებისგან, ამიტომ ისინი პრაქტიკულად პარალიზებული არიან. თუ თქვენ მიერ დასმული შეკითხვა, მანდატთან დაკავშირებით, იმას გულისხმობს, რომ რეალურად ამას ხელისუფლება უნდა აკეთებდეს, კი ბატონო, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ, როცა ვხედავთ, რომ შნლის განმავლობაში დაპირების მიუხედავად, ხელისუფლება, კიტრისა და პამიდვრის გაყიდვის გარდა, არაფ-

ერზე ელაპარაკება რუსეთს, იძულებული ვართ, ეს კომუნიკაცია დავინსოთ ჩვენ. ქვეყანას ხელისუფლების შიშებს ვერ გადავწყობთ. რუსი დეპუტატები იყვნენ საკმაოდ კონსტრუქციულები. უკვე დაინიშნა მომდევნო შეხვედრა, სადაც იქნება საჯარო დისკუსია. ვფიქრობთ, შევქმნათ რუსულ-ქართული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო შეთანხმებას მოამზადებს. ამ შეთანხმებაში იქნება ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. ხელისუფლებას შეუძლია, ოფიციალური ნარმომადგენელი ჩასვას ამ ჯგუფში, რაც გამართლებებს შედეგის მიღწევას. თუ ისინი კვლავ ვერ განთავისუფლდნენ დასავლური შიშებისგან, შეუძლიათ კონფიდენციალურად, ირიბად ჩაერთონ სამუშაო ჯგუფში. ასევე, შეუძლიათ, საერთოდ, გაემიჯნონ ამ პროცესს და დარჩნენ სირაქლემას პოზაში.

– არჩევნები ახლოვდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთთან სამოკავშირეო შეთანხმება თქვენი საარჩევნო პროგრამის

ნაწილი იქნება?

– როცა საარჩევნო პროგრამას დავნერტ, ამაზე უფრო დეტალურად მოგახსენებთ, მაგრამ ცხადია, ვეცდებით, ეს აზრი და პოზიცია ხალხამდე მივიტანოთ. დღეს ჩემი მანდატი არის ოპოზიციური პარტიის მანდატი, მაგრამ ვეცდებით, ხალხისგან მივიღოთ მანდატი, მას შემდეგ, რაც კონკრეტულ პროდუქტს შევქმნით რუს კოლეგებთან ერთად. ცალსახაა, რომ დღეს რუსეთში ეძებენ გზებს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ნორმალურ ვითარებას დაუბრუნდეს.

– ევრაზიულ კავშირზე რას ფიქრობთ?

– ამ გა-

ერთიანებაზე ნაკლები ინფორმაცია მაქვს, განსხვავებით სხვა კავშირებისგან, რომელიც რუსეთის ინიციატივით არის შექმნილი. მაგალითად, მანხაის ქვეყნების ორგანიზაცია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გართიანება, რომელთან თანამშრომლობაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით. თუ დამიჯერებთ, ორი დღის განმავლობაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემა არც კი მიხსენებია. პირველად, მათი მხრიდან დაისვა კითხვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით. აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე მოკავშირეობაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება, მაგრამ დრო გადის და პოზიციები იცვლება. ამიტომ არის საჭირო პრაგმატული პოლიტიკის

წარმოება. მე ჩვენს რუს კოლეგებში დადებითი ემოციები ამოვიკითხე, მათ სურთ მოკავშირეობა, რადგან ამით უსაფრთხოების უფრო მეტ გარანტიას მიიღებენ, ვიდრე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საკუთარი კონტინგენტის ყოფნით. სრულიად ვეთანხმები რუსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში ნატოს ბაზის, ან აშშ-ს სარაკეტო დანადგარების განთავსება, არის პირდაპირ მოსკოვსა და პეტერბურგზე დამინებული რაკეტები.

– ვინ გეგულებათ თქვენს მოკავშირედ ქართულ პოლიტიკაში?

– ჯგერჯერობით, რაც დეკლარირებულია ცნობილია, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ არის სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ გზაზე დგას. ჩვენი პოლიტიკური კოალიციის შექმნის ერთ-ერთი საფუძველიც სწორედ ეს იყო.

– რაც შეეხება ფინანსებს... გეჩენებთ თუ არა რუსული დაფინანსება? გქონდათ თუ არა ამ თემაზე საუბარი რუსეთში?

– ჩვენ გვქონდა შეხვედრები ბიზნესის წარმომადგენლებთანაც, თუმცა საუბარი შეეხებოდა მხოლოდ ინვესტიციებსა და იმ პრობლემებს, რაც ამ ინვესტიციების განხორციელებას აბრკოლებს. რაც შეეხება პოლიტიკური აქტივობის დაფინანსებას, უცნობიდან დაფინანსება საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია და მე სრულიად ვეთანხმები ამ ნორმას. შესაბამისად, არანაირ დაფინანსებაზე საუბარი არ ყოფილა. არ შეიძლება პოლიტიკური პარტია უცხო ქვეყნიდან ფინანსდებოდეს, თუმცა არიან ისეთებიც ქართულ პოლიტიკაში, რომლებიც ამას კადრულობენ.

– რატომ მაინცდამაინც ახლა? – იმიტომ, რომ დღეს ამის რეალური შანსი არსებობს. ჯერ ერთი, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში შეიმჩნევა რუსეთისკენ შემობრუნება, ამიტომაც უფრო პროდუქტიულად ვმუშაობთ ჩვენს რუს კოლეგებთან. არჩევნებთან ამას ვერ დავაკავშირებ. რუსეთში წასვლას რომ ვგეგმავდით, სულ არ გამსხენებია, რომ მომავალ წელს არჩევნებშია.

– მაინტერესებს თქვენ, არცთუ ისე მაღალრეიტინგული ოპოზიციური პარტიის ლიდერმა, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოთ ქვეყანას რუსეთში ვიზიტით? რა მანდატით საუბრობთ რუს კოლეგებთან?

– საკმაოდ არაობიექტური და არაკორექტული ხარტ.

– რატომ? – იმიტომ, რომ „ქართული დასი“ არის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და პოპულარული პარტია საქართველოში. შესაბამისად, თქვენი ეს შეფასება სუბიექტურია.

– უკაცრავად, რა არის სუბიექტური? თქვენს პარტიას მაღალი რეიტინგი აქვს?

– დიახ, „ქართული დასი“ არის ერთ-ერთი პოპულარული პარტია.

– რაზე დაყრ-



„ქართული დასის“ მოსკოვიდან დაბრუნებული ლიდერი რუსეთთან მოკავშირეობაზე საუბრობს

EXCLUSIIVE

მარიტა როსვაძე



„ვიღაცებმა ისიც კი დანერეს, დუტა ცოლს გაუმორდა და მარიტა როსვაძე მოჰყავს ცოლადო“

„ჯეოსტარის“ დროს წერდნენ, რამხელაა ეს გოგო, ჩამოსხენით სცენიდანო“

„ერეკლე დეისაძესთანაც დაგაწყვილეს“

my View ნიმე მჭადლიშვილი

ახალი სეზონიდან მომღერალმა მარიტა როსვაძემ ახალი ამბულა მოირგო. „მარაოს“ ეთერში, სექსუალური მარიტა, ნიკა გრიგოლიასთან ერთად გადაცემა „კოქტეილს“ გაუძღვება. ნინა სეზონზე ამ გადაცემის წამყვანი ნუკი კომპლემენტები გახლდათ. მოგეხსენებათ ნუკი გათხოვდა და ნიუ-იორკში თავის რჩეულთან, ბენისთან წავიდა. სოციალური ქსელით წყვილი ერთობლივ ფოტოებსაც აქვეყნებს.

ნუკის შემცველი გადაცემის პროდიუსერმა მარიტაში დაინახა და სწორედ მას დაუკავშირდა. როგორ მოირგო მომღერალმა ტელენამყვანის როლი და რა სირთულეებს აწყდება გადაღებების დროს, ჩემი რესპონდენტი თავად გაამბობთ. მასთან ინტერვიუ ზაფხულის არდადეგებით დავინწყეთ.

- მარიტა, როგორ გაატარე წლებიანი ზაფხული?

- ნაყოფიერად, მოვახერხე დასვენებაც, მუშაობაც, ჩემი ბინაც დავასრულე, რომელიც 2012 წელს მაჩუქეს, როგორც „ჯეოსტარის“ გამარჯვებულს. ბინა მშენებარე იყო, 14 წელს გადმომცეს. მაშინ ფინანსების არქონის გამო ვერ გავარემონტე. ახლა „ერთი ერთში“ მოგებული თანხით გავაკეთე ბინაში რემონტი.

- რამდენი მოიგე ამ პროექტში?

- ათი ათასი მოვიგე, მაგრამ რვა ათასი ჩამერიცხა.
- როგორ მოაწყვე შენი სამფლობელო ბათუმში?
- როცა ბინა მაჩუქეს, ვათვალთვინებდი ერთობაზიანი ბინის დი-

ზაინებს. ერთი ძალიან მომეწონა და ზუსტად ისე მოვანყვე. მე ძალიან მომწონს. კიდევ მაქვს სამზარეულო და მუსიკალური სტუდია. მაგრამ ბათუმში ფიზიკურად ვერ ვიცხოვრებ, ჩემი საქმე თბ-



ილისს უკავშირდება. იქ მხოლოდ ზაფხულობით ვიქნები, როგორც წელს. ფაქტობრივად, ჩემს სახლში მარტომ დავისვენებ. ცოტა ხნით სტუმრად მყავდა მშობლები. იმდენად კომფორტულია ჩემი პატარა სახლი, გამოსვლა არ მოგიწდება, არც ზღვა მოგიწდება, არც კლუბი და გართობა. 22-ე სართულზე ვარ. ერთი მხრიდან ზღვის ხედი აქვს, მეორე მხრიდან ძველი ბათუმი ჩანს.

- თბილისში ბინა არ გაქვს?

- არა, მე ქუთაისიდან ვარ. თბილისში ქირით ვცხოვრობ... კახეთშიც ვიყავი „ამბასადორში“, „როიალ ბატონში“ რამდენიმე დღით, კორპორატიულ საღამოზე მიმიწვიეს.

- დუტასთან ის ფოტო სად გადაიღე, საიტებმა რომ აიტაცეს?

- ამაზე უკვე მეცინება. ბათუმშია ეს ფოტო გადაღებული. ყველა ერთად ვიყავით, ჩემი მეგობრები, დუტას ცოლიც იქ იყო. ფოტო გადაგვიღო ჩემმა პროდიუსერმა და დავდე „ფეისბუქზე“. ვიღაცებმა ისიც კი დანერეს, დუტა ცოლს გაუმორდა და მარიტა როსვაძე მოჰყავს ცოლადო. არ ვიცი ეს საიდან მოიტანეს (იცინის). მაშინ ძალიან

გავბრაზდი.

- თვითონ დუტა გაბრაზდა?

- არა, მერე უკვე ვღადაობდით ამ თემაზე.

- კიდევ ვისთან დაგაწყვილეს და ზოგადად როგორ იღებ ხოლმე ასეთ ყორებს?

- ერეკლე დეისაძესთანაც დამაწყვილეს... თავიდან ძალიან ვღიზიანდებოდი. კომენტარებზეც კი ვბრაზდებოდი. „ჯეოსტარის“ დროს წერდნენ, რამხელაა ეს გოგო, ჩამოსხენით სცენიდანო. საზოგადოებამ გამიცნო როგორც ვოკალისტი და არავინ მაკრიტიკებდა ამ კუთხით. ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ჩემს წონას. მერე მოვიწვილე და გავხდი. ახლა ჩაცმულობის გამო მაკრიტიკებენ. აქაოდა გახდა, ნახე როგორ გამომწვევდა იცვამსო. ველარ გავიგე რა გავაკეთო. ნეგატივითაა სავსე სოციალური ქსელი, ინტერნეტსივრცე. ადამიანებს არაფერი აღარ ახარებთ მგონი, გაბოროტებულები არიან. მაგრამ, როცა ხალხს შენი აღარაფერი აინტერესებს, არც წონა, არც პირადი ცხოვრება და არც შენი პარტნიორი მამაკაცი, ეს უარესია.

- ვინ არის შენი პარტნიორი მამაკაცი?

- ამ ეტაპზე პარტნიორი მამაკაცი არ მყავს.

- ეს არ განუხებს?

- არა. ახლა ჩემი საქმით ვარ დაკავებული და ეს მაკმაყოფილებს.

- შენ მთავარ საქმიანობას ახალი ამბულა, ტელენამყვანობა დაემატა. როგორ გრძნობ თავს ტელენამყვანის ამბულაში?

- ჩემთვის საოცნებო ამბულა მოვირგე, ჟურნალ-

„ამ გადაცემაში აქცენტი ჩემს ჩაცმულობაზე არ გააქვს. იმიჯს რადიკალურად არ შევიცვლი“

ისტობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სექტემბერი ჩემი ოცნებების ახდენით დაიწყო. „რუსთავი 2“-დან დამირეკეს და შემოთავაზება გვაქვსო, მითხრეს. შევხვდი „მარაოს“ პროდიუსერს, ნიკა ხაჩიძეს. მისგან გავიგე, რომ „მარაოს“ ერთ-ერთი გადაცემის, „კოქტეილის“ წამყვანი, ნუკი კომპლემენტი გათხოვდა, ამერიკაში წავიდა. სწორედ მისი ადგილი შემოთავაზა ნიკამ. არც მიფიქრია, ეს ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის და თან საკმაოდ საინტერესო.

- მანამდე ამ გადაცემის მაცურებელი იყავი?
- მაცურებელიც ვიყავი და რესპონდენტიც. ნიკა გრიგოლია მომადგა ერთხელ მიკროფონით, ერეკლე დეისაძესთან დაკავშირებული ჭორის გადამონმება უნდოდა. ვისაუბრეთ პროექტზეც „ერთი ერთში“ და ძველ შეყვარებულზეც, რომელსაც დავშორდი.

„მარიტა იქნება მარიტა. სულ არ მევალება ნუკის მივემსგავსო“

სახალ ამკლუა

- როგორ გგონია, გაამართლებ პროდიუსერის იმედებს?

- იმდენად მიყვარს კამერები, ადამიანებთან ურთიერთობა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამომივა. რამდენიმე ჩანერა უკვე მქონდა, მგონი კარგად გავართვი თავი. ჩვენი გადაცემა მზადდება პრესაში დაბეჭდილი, საიტებზე გავრცელებული ამბების მიხედვით. ძირითადად ყვეთელი ამბები გვექნება. გარდა ამისა ჩვენი ინფორმატორებიც გვყავს. საქმეს მიაღვილებს ისიც, რომ ძალიან ბევრ სელებრითს ვიცნობ, ბევრთან ვმეგობრობ კიდევ.

- მარიტა, შენ ძალიან საყვარელი, მხიარული და ენაწყლიანი გოგო, ნუკი კოშკელიშვილი ჩაანაცვლე ამ გადაცემაში. როგორი იქნები თავად?

- მარიტა იქნება მარიტა. სულ არ მევალება ნუკის მივემსგავსო. ისეთივე ვიქნები ჩემს რესპონდენტებთან, როგორც ზოგადად ვარ. მთავარია, არ გააბრაზო რესპონდენტი, არ მოიმდურო, რომ ხვალ კვლავ წამოვიდეს შენთან ინტერვიუზე. თუმცა სადაც გასატანი იქნება, იქ ჩემსას აუცილებლად გავიტან.

- შენი ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ შენს ახალ ამკლუას?

- ჯერ არ იციან, სიურპრიზს ვუმზადებ. სამშაბათს გავა ჩვენი პირველი გადაცემა „მარაოს“ ეთერში.

- ჩვენ დაგასწრებთ, ორშაბათს „პრაიმტიმის“ გაიგებენ შენი ახალი სამსახურის შესახებ შენი ოჯახის წევრები... ნუკი კოშკელიშვილი დაკავებული იყო აგრეთვე „ქალთა სახეებშიც“. ხომ არ ჩაანაცვლებ მას ამ სეგმენტშიც?

- ჯერჯერობით შემოთავაზება არ ყოფილა, მაგრამ თუ იქნება, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. ვგიჟდები კამერებზე, გადაღებებზე. ტელევიზია ჩემი სფეროა. თუმცა არ მივატოვებ ჩემს მთავარ პროფესიას, სიმღერას. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია.

- ახლა სად მღერი?

- ძირითადად კორპორატიულ საღამოებზე და ყოველ შაბათს ერთ-ერთ ბარში ვმღერი ჩემს ბენდთან ერთად. დღეიდან ჩემს კონცერტებზეც მიკროფონით სიარული მომიწევს (იცინის). ვინ იცის რომელი რესპონდენტი მოვა ჩემს კონცერტზე.

- ე.ი. შენს ხელჩანთას ახალი ატრიბუტი, მიკროფონი დაემატება?

- ასე გამოდის, ხომ უნდა მივეჭრა სელებრითებს და ხომ უნდა გადავამონმო ჭორები. არც ერთი მომენტი არ უნდა „გავმზაო“.

- ხშირად გაკრიტიკებენ ჩაცმის სტილის გამო. ამბობენ, ძალიან თამამად იცვამს მას მერე რაც წონაში დაიკლო. როგორი იქნება შენი სატელევიზიო სტილი?

- რადიკალური ცვლილებები დაგემილი არ არის, ვიქნები ისეთი, როგორც რეალურ ცხოვრებაში ვარ. სპეციალურად ამ ამპლუისთვის სტილს არ ვიცვლი. ამ გადაცემაში აქცენტი ჩემს ჩაცმულობაზე არ გაკეთდება. იმიჯს რადიკალურად არ შევიცვლი. ასე ძალიან მომწონს საკუთარი თავი.



EXCLUSIVE



„ერთი ერთში“ მოგებული თანხით გავაკეთე ბინაში რემონტი“

„იმდენად კომფორტულია ჩემი პატარა სახლი ბათუმში, გამოსვლა არ მოგიწდება, არც ზღვა გინდა, არც კლუბი და გართობა“

„ტელენამყვანობა ჩემი ოცნება იყო“

„ახლა რაცმულობის გამო მაპრიტიკებენ. აქაოდა გახდა, ნახე როგორ გამომწვევად იცვამსო“



არასწორად დამონტაჟებული

სალომე ჩადუნელი

ზოგიერთი ექსპერტი უკვე წლებია თბილისის ქუჩების არასწორ ორგანიზაციასა და შეცდომით დამონტაჟებულ საგზაო ნიშნებზე საუბრობს. ხშირად ისინი აუიოტაჟს პოლიტიკური ინტერესის ან უბრალოდ საკუთარი პერსონის გაპიარებისთვის აკეთებენ ხოლმე. მეტი შთაბეჭდილებისთვის ვითარებას რაც შეუძლიათ ამძიებენ. თუმცა, ისეთებიც შეგვხვდებათ, ვინც საკითხს პროფესიულად უდგება.

ავტოექსპერტი რობერტ იანტბელიძე ამტკიცებს, რომ დედაქალაქში არსებული 800-მდე საგზაო ნიშანი შეცდომითაა დამონტაჟებული და საფრთხეს უქმნის გადაადგილებას. მერია მის ცალკეულ კრიტიკას არ იზიარებს.

იანტბელიძემ 800 არასწორი საგზაო ნიშნის დასახელებისთვის ვერ მოიკლა, ექსპერტმა რეზო ველიჯანაშვილმა კი მხოლოდ ხუთი გვაჩვენა.

დიდუბის მეტროს ზემო მხარე, ერისთავის ქუჩაზე გამავალი მოედანი

რეზო ველიჯანაშვილი:

„დიდუბის მეტროს თავზე მდებარე მოედანზე შუქნიშნის გამო მოძრაობის რიგითობა, გავლა არის შეფერხებული და არასწორად განაწილებული. ამის მიზეზი არის ის, რომ შუქნიშანი არ ეხმარება მარჯვნივ არსებული მოედნიდან გამავალ ტრანსპორტს თავისუფლად გასვლაში, რადგან შუქნიშანი მოედნიდან გამომავალი გზის ქვემოთ არის დაყენებული. როდესაც წითელი ინთება, შუქნიშანი კეტავს მოძრაობას ქვემოთ მომავლისთვის, ზემოდან მომავალი ტრანსპორტი მიდის შუქნიშანამდე. მარჯვნიდან გამომავალი ტრანსპორტისთვის კი გამოსასვლელი გზა ჩახერგილია. ფეხით მოსიარულეების გადასასვლელიც შუქნიშანთანაა, თუმცა ავტობუსის გაჩერება შუქნიშანზე ზევით ერთმანეთის საპირისპირო მხარესაა ამ შემთხვევაში ქვეითთა გადასასვლელიც გაჩერებებთან უნდა იყოს მოწყობილი, რომ შუქნიშანმა გააჩეროს ტრანსპორტი და ფეხით მოსიარულე გადავიდეს. შუქნიშანი ვის ემსახურება გაურკვეველია. ტრანსპორტი ამ შემთხვევაში



არასწორად დამონტაჟებული საგზაო ნიშნები თბილისში - ექსპლუზიური Prime ექსპერიმენტი

მოედნიდან მოძრაობის წესების დარღვევით გადის და უფრო მეტიც, საავარიო სიტუაციას ქმნის, რომელიც საზოგადოებისთვის ფატალური შედეგის მომტანია“.

პრობლემის მოგვარების გზა

„ჩემი აზრით, ეს შუქნიშანი გაჩერებასთან არსებულ განათების ბოძზე უნდა იყოს გადმოტანილი, რომელიც ერისთავის ქუჩაზე მარჯვნიდან გამომავალი გზის ზემოთ მდებარეობს. ქვეითთა გადასასვლელიც აქვე გაკეთდება. როდესაც შუქნიშანზე წითელი აინთება, მოედნიდან გამომავალი ტრანსპორტი გზაზე ადვილად გადმოვა და საავარიო სიტუაციას არ შექმნის. სწორ ადგილზე დაყენებული შუქნიშანი თვითონ დაარეგულირებს მოძრაობას“.



რას პასუხობს მერია ექსპერტებს

ნიშანი - სავალ გზაზე ბავშვები გამოჩნდებიან

მეორე, საჭიროების გარეშე დაყენებული საგზაო ნიშანი ისევე ერისთავის ქუჩაზე, ზემოხსენებული შუქნიშნის ქვემოთ, ნერეთლისკენ მიმავალ გზაზე გვხვდება. ნიშანი - ბავშვები - მძღოლს აფრთხილებს, რომ ახლომანო შესაძლებელია ბავშვები იყვნენ, თუმცა თუ გარემოს დააკვირდებით, აქ, არც სკოლა, არც საცხოვრებელი სახლები და არც პარკი არ არის.

გზის ორივე მხარეს გაზგასამართი სადგური გვხვდება. ქუჩაზე ინტენსიური მოძრაობაა, გადაკვეთისას თვალთახედვის არე დაეინოვებულია და თუ ბავშვებზე ვინმე მართლა ლეღავს ამ ტერიტორიაზე მათი გადასვლა სრულიად უნდა აიკრძალოს.

პრობლემის მოგვარების გზა:

რეზო ველიჯანაშვილი: „თუ აქ ბავშვები გადადიან, მაშინ შუქნიშანი უნდა დააყენონ. ბავშვები იქნებიან სავალ გზაზე 50 მეტრში, ეს ნიშანი ამის ინფორმაციას არ გვაძლევს. უფუქციოა. აფერხებს მძღოლს. ბავშვების დახალხის გადასასვლელი სპეციალური თვალსაზრისით უნდა იყოს მოწყობილი“.

მერიის პასუხი: „ერისთავის ქუჩაზე მ/ს „დიდუბე“-ს ზედა გადასასვლელის მიმდებარედ არსებული შუქნიშანი განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის რეგულირებისთვის და მისი სიგნალები არ მოქმედებს მიმდებარე ტერიტორიიდან გამომავალი, მარცხენა მოხვევით მოძრაობის, სატრანსპორტო საშუალებებზე“.



საგზაო ნიშნები

წერეთლის გამზირი, მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოედანი

რეზო ველიჯანაშვილი:
- მოედანზე ტრანსპორტის გადაადგილებას აფერხებს ფაქტი, რომ ზოლებზე ტრანსპორტის გადაადგილება მოედანზე შემოსვლის დროს შევიწროებულია, ამ მოედნის სიდიდიდან გამომდინარე. მოედანი იმდენად დიდია, რომ მასში შემომავალი და გამავალი ზოლები ერთმანეთთან თანხვედრაში არაა. მოედანზე შედის ოთხი და გადის ორი ზოლი.

პრობლემის მოგვარების გზა:
„მოედანი დიდი რომ არ იყოს მანქანები სიმრუდეზე ადვილად გადაადგილდებოდნენ. კუნძული უნდა გასწორდეს და უნდა იყოს პრაქტიკულად გადანაცვლები ნაგებობა და არა კოსმოსიდან დაწასული ლამაზი გზები. შესხედეთ და ნახავთ, როგორ იგრიბებიან ავტომობილები ზოლებზე შემოსვლისთვის. აქ შემომავალი მძღოლები სწრაფად ჩადგომიან ფიქრობენ, რათა ზოლში ჩაეტყონ და არა უსაფრთხოებაზე. კიდევ ერთი გამოსავალი ამ მოედანზე მოძრაობის შუქნიშნით დარეგულირებაა.“

მერია:
„აკაკი წერეთლის გამზირზე „სამთო ქიმიის“ შენობის მიმდებარე ქვეითა მინისზედა გადასასვლელთან არსებული უსაფრთხოების წრის და კუნძულების გეომეტრიული პარამეტრების კორექტირებაზე გადანიშნულია უკვე მიღებულია. სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდება უახლოეს პერიოდში.“



საბჭოს მოედანი

რეზო ველიჯანაშვილი:
„გზის მოწყობას ხელს უშლის ტრანსპორტი, რომელიც გაჩერებულია ერთ სავალ ზოლზე. პირველ ზოლში უნდა გადმოვიდნენ და ავიდნენ ზემოთ, მაგრამ აქ მანქანები დგანან. ეს არის საფრთხის მატარებელი მონაკვეთი, რადგან მოუწესრიგებელია. ტრანსპორტის ორგანიზება მნიშვნელოვანია, მთავარია საავარიო სიტუაციების აღმოფხვრა.“

პრობლემის მოგვარების გზა:
„ძველ ადგილზე უნდა დამონტაჟდეს ნიშანი „გაჩერება აკრძალულია“. აქ ტრანსპორტის არასწორი გაჩერება ქმნის ქაოსს, ზოგი იქ აჩერებს, სადაც უნდა, რადგან არავინ აკონტროლებს და იქმნება საავარიო სიტუაციები. როგორ გადაადგილდეს ტრანსპორტი, თუკი ზოლებზე ვერ დგება? ვერ შემოდის იმიტომ, რომ გაჩერებული მანქანები აფერხებს მათ შემოსვლას მოედანზე. აქ უნდა იდგეს სპეციალური ნიშნები, ან უნდა იყოს გაჩერების და დგომის აკრძალვის ნიშანი და აქ უნდა იყოს სითი პარკი, იმიტომ რომ, მოედნის გაბარიტული ზომები მოძრაობისთვის ხელისშემშლელია.“

მერია: „ჩიქობავა-ჩიტიან-მანიაშვილი-ტერენტი გრანელის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ



(ყოფილი საბჭოს) მოედანზე საგზაო ნიშნის 3.27 „გაჩერება აკრძალულია“-ს დემონტაჟი უკვე მესამედ ხდება და-

უდგენელი პირების მიერ. აღნიშნული ნიშანი უახლოს პერიოდში, ჩვენ მიერ კიდევ ერთხელ იქნება აღდგენილი“.




დოდაშვილის მოედანზე ჩამომავალ ქუჩაზე არსებული მოთხოვნითი შუქნიშანი

რეზო ველიჯანაშვილი:
„მონიშნები და შუქნიშანი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. დოდაშვილის მოედანზე ჩამომავალ ქუჩაზე არის მოთხოვნითი შუქნიშანი. თუ არ დაიკავა ზემოდან მოძრაობა, მოედანზე შემოსული მანქანები, ფაქტობრივად, იმ შუქნიშანზე არიან დამოკიდებული. თუ შუქნიშანი მოქმედებდა საფრთხის ქმნის“.

პრობლემის მოგვარების გზა:
„შუქნიშანი ფაზებით უნდა იყოს დარეგულირებული და ტრანსპორტის გადაადგილება ფაზებით უნდა ხდებოდეს. როდესაც ინტენსიური მოძრაობა და მოედანზე 4 სხვადასხვა მიმართულება ერთმანეთთან იკვეთება, იქ მოძრაობა შემავალი ქუჩებით უნდა იყოს რეგულირებული. შემავალ ქუჩებზე უნდა ხდებოდეს რეგულირება და არა ზედ მოედანზე. მოთხოვნითი შუქნიშანი გადაადგილებისთვის ხელისშემშლელია. თუ გაკეთდება შუქნიშანი ჩვეულებრივი ფაზით მოედანი დარეგულირდება და არა ისე, რომ ვიღაც ჩართავს და მოედანზე გა-

ივლის, მოთხოვნითი შუქნიშნები ინტენსიური მოძრაობის მონაკვეთზე არ შეიძლება“.

მერია: „ბერი გაბრიელ სალოსის (ყოფილი დოდაშვილის) მოედნის მიმდებარე ჰოლბრუკის (ყოფილი ბალდადის) ქუჩის #13-თან შუქნიშნის, რომელიც დამორებულია მოედნის ცენტრიდან 80 მეტრით, სიგნალებს არავითარი კავშირი არ აქვს მოედანზე მოძრავე საგზაო მოძრაობის მონაწილეებთან. აღნიშნული შუქნიშნის სიგნალების დანიშნულებაა მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის რეგულირება, გამოსაძახებელი მონაცემებით, რადგანაც აღნიშნული ადგილი ხასიათდება სატრანსპორტო ნაკადების მაღალი ინტენსივობით და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ეპიზოდური მაღალი ინტენსივობით ე.წ. პიკის საათების შემდეგ ქვეითად მოსიარულეთა ინტენსივობები მცირდება. ამის გამო აღნიშნული შუქნიშნის მუშაობა ფაზურ რეჟიმში გაუმართლებლად დააყოვნებს ტრანსპორტის მოძრაობას. ბერი გაბრიელ სალოსის (ყოფილი დოდაშვილის) მოედანზე მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა უნდა იხელმძღვანელონ მოედანზე არსებული საგზაო მოძრაობის ტექნიკური საშუალებებით“.



თიბისი ბანკის კიდევ ერთი წარმატებული პროექტის #წერექართულად პრეზენტაცია გაიმართა

17 სექტემბერს, 19:30 საათზე, „არტარეას“ ეზოში თიბისი ბანკის პროექტის #წერექართულად პრეზენტაცია გაიმართა.

#წერექართულად ქართული დამწერლობის პოპულარიზაციას და ენის, როგორც ეროვნული ფასეულობის, დაცვასა და განვითარებას ემსახურება. იგი რამდენიმე წამოწყებას აერთიანებს, კერძოდ: ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ქართული ანბანის პოპულარიზაცია, ახალი ფონტების შექმნა, ლექსიკონების გამდიდრება, ენის გათავისუფლება პარაზიტი სიტყვებისგან და ა.შ.

პირველივე დღეებიდან, პროექტს, #წერექართულად, შეუერთდნენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მწერლები, პედაგოგები და პარტნიორი ორგანიზაციები: Microsoft, Leavinstone, Lemondo, ჯეოლაბი და ა.შ. მათი დახმარებით რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა.

მამუკა ხაზარაძე (თიბისი ბანკის დამფუძნებელი):

„პროექტის მთავარი მიზანია - ვწეროთ ქართულად. ჩვენ ვართ პატარა ერი, რომელსაც აქვს დიდი და საამაყო საუნჯე - ანბანი და ქართული დამწერლობა. ჩვენ აღმოვჩნდით ამ ანბანის გამანადგურებლები ჩვენივე ხელით. ამას ვაკეთებთ ისე, რომ ვერც ვგრძობთ. ხშირ შემთხვევაში, მეც ამის ნაწილი ვიყავი. თუმცა, მივხვდი, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. პირველად ჩემს შვილს მოვუწოდე - წერე ქართულად. მივხვდი, რომ ეს არის სიტყვა და მოქმედება, რომელიც ყველას უნდა უთხრა, ჩვენ ამის ელჩები უნდა გავხდეთ და დავინყოთ პროპაგანდა. ერთია, მოუწოდო ადამიანს და მეორეა, რომ მას არ ჰქონდეს საშუალება თავის ელექტრონულ მატარებელში ვერც დაამხარეო ინფორმაციული უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ, თიბისი ბანკი და თიბისი ჯგუფი უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას. დავაფინანსებთ რედაქტირების პროგრამებს და ზოგადად, ისეთ პროგრამებს, როგორც არის ნებისმიერი დიდი ქვეყნისა და დიდი ენის პროგრამებში. მე ვფიქრობ, რომ ჯერ ამით დავიწყებთ და შემდეგ იქნება სხვა პროექტები, მაგალითად: „იფიქრე ქართულად“, „გიყვარდეს ქართულად“ და ა. შ. ახლა ვფოკუსირდებით მხოლოდ პროექტზე #წერექართულად.

დღევანდელი ღონისძიება ემსახურება იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გავხადოთ კეთილი ნების ელჩი, რადგან უფრო მეტი ადამიანი იყოს ჩვენი ანბანის სადარაჯოზე. ეს უნდა გახდეს ჩვენი ყოველდღიური ნაწილი, ამის გარეშე ცხოვრება აღარ შეიძლება.



იმითომ რომ, პრაქტიკულად, ჩვენ ენაში ვცხოვრობთ და არ შეიძლება სახლში ცხოვრობდე და აბინძურებდე მას. ეს ყველაფერი უნდა გავითავისოთ. ენით შენ თავს გამოხატავ, ენა გეხმარება აბსოლუტურად ყველაფერში, სიყვარულის ახსნაში, დედასთან ურთიერთობაში, მეგობართან ურთიერთობაში და ა.შ. ამ ყველაზე მნიშვნელოვანს კი შენ ებრძვი, ებრძვი საკმაოდ ინტენსიურად.

ეს ენება ბარბარიზმებსაც, ჩვენ ძალიან ცუდად ვიცით სიტყვების ატაცება. ჩვენ, ქართულ ენაში გვაქვს იმდენი სასაუბრო ტერმინი, რომ მისი არ გამოყენება დანაშაულია. იმედია, ასეთი პატარა ინიციატივებით და ძალიან ბევრი მხარდამჭერით მივალწევთ მიზანს“.

პროექტის განმავლობაში, ცნობილი დიზაინერი, ზვიად ციკოლია ქართული ფონტების კონკურსს უხელმძღვანელებს. კონკურსის მიზანი ახალი ქართული ფონტების შექმნაა. დღეისთვის, ქართული ფონტების მხოლოდ ძალიან მცირე არჩევანი არსებობს და არ არის მორგებული სხვადასხვა ფორმატს. ჩამოყალიბდება უცხოელი და ქართველი სპეციალისტებისგან შემდგარი ნი კაციანი ჟიური, რომელიც კონკურსზე შემოსულ ფონტებს შეაფასებს და მათ შორის ათ საუკეთესოს გამოავლენს. კონკურსზე ნამუ-

შევრების წარდგენა მოხდება ვებგვერდზე: წერექართულად.com სამომავლოდ, კონკურსის შედეგად შერჩეული ფონტების გამოყენება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

ზვიად ციკოლია (დიზაინერი):

„ასეთი კონკურსი პირველად ტარდება საქართველოში. ვფიქრობთ, რომ ყოველწლიურად ჩავატარებთ. ეს კონკურსი უშუალოდ შრიფტების შექმნას შეეხება. სხვადასხვა შრიფტი უნდა შეიქმნას, სხვადასხვა კატეგორიაში. შემდგომში კი, ნებისმიერ მომხმარებელს უფასოდ შეეძლება მისი ჩამოტვირთვა. ჩვენ ვცინდით, რომ ფულადი პრიზები გადაეცეს მათ შემქმნელებს. ძალიან ბევრი კატეგორია იქნება, სხვადასხვა სტილის, სხვადასხვა მიმართულების. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო გამოვა. ასევე გვინდა მონაწილეობა მიიღოს უფრო ახალგაზრდა თაობამ, ჩაერთონ სტუდენტები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არა გვაქვს დანესებული ასაკობრივი ზღვარი, რაიმე სახის ლიმიტი, გარკვეული პროფესიონალური მოთხოვნა. ყველას, ვისაც კი სურვილი ექნება, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა.“

კონკურსს რაც შეეხება, ის ჩატარდება ანონიმურად, ჟიურის წევრებს არ ექნებათ საშუალება იცოდნენ კონკრეტულად ვინ მონაწილეობს, არ ეცოდინებათ კონკურსანტების სახელი და გვარი, რადგან კონკურსანტებს მინიჭებული ექნებათ გარკვეული ნომერი - შტრიხკოდი და ამ შტრიხკოდებით მოხდება მათი შეფასება. გამოირიცხული იქნება ყოველგვარი პროტექციონიზმი. ჩვენ გვინდა, რომ ამ პროექტმა მიიღოს საერთაშორისო სახე. ჩვენ მიერ შექმნილი შრიფტები იქნება ჩატვირთული Microsoft-ისა და Google-ის პროგრამაში. მთავარი აზრი ამ კონკურსისა არის ის, რომ დღეს რაც ხდება საქართველოში, ეს არაპროფესიონალური შრიფტები, რომლებიც ხშირად გამოიყენება, გვინდა ჩავანაცვლოთ გრამატიკულად შექმნილი პრო-

ფესიული შრიფტებით. ქართული შრიფტის არქიტექტურა არის უნიკალური და ეს არის ჩვენი საგანძური, ქართველებისთვის ყველაზე დიდი განძი. ეს არის ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი. შეიძლება ჰიპნოზირდეს სხვა ქვეყნის ჰიპნოზირდეს, გერბი, დროშის ფერები ჰგავდეს და ა.შ. ქართ-

სრულყოფილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გაციფრდება, რომელიც იქნება ღია რესურსი ყველასთვის.

პროექტის #წერექართულად მხარდამჭერია ელექტრონული ნიგნების სახლი „საბა“, რომელმაც ქართული ენისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო კვლევები



ული დამწერლობა, რომელიც 14 უნიკალურ დამწერლობაში ერთ-ერთია და უნიკალური არქიტექტურა აქვს, გვინდა, რომ ბოლომდე შევიწარმოოთ და განვაავითაროთ“.

და პუბლიცისტური წერილები ანთოლოგიაში გააერთიანა და უფასოდ სთავაზობს თავის მკითხველს ვებგვერდზე, saba.com.ge

მამუკა ხაზარაძე:

„ჩვენ გვყავს 33 ჯარისკაცი, 33 მეომარი, ყოველთვის იცავდნენ და იცავენ თითოეულ ჩვენგანს. 21-ე საუკუნეში ჩვენ აღმოვჩნდით დიდი შემოტევის, ექსპანსიის მსხვერპლნი, რასაც ჰქვია კომპიუტერიზაცია და ელექტრონული მატარებლები. მათ შეუტყის ჩვენს 33 მეომარს. მე მინდა, რომ ჩვენ დავიცვათ ეს ჩვენი 33 მეომარი, რომლებიც კიდევ მრავალი ათეული წელი იქნებიან ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე. მინდა თითოეულ თქვენგანს მოვუწოდო გახდეს კეთილი ნების ელჩი. ეს ყველა ჩვენგანის ვალია. ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ ჩვენ ენას ყველამ პატივი სცეს, ამისთვის, პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავანახოთ, როგორ ვცემთ პატივს ჩვენს ენას“.





ფოტო: თინა თუთისანი

საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში და

ნაციონალური კაბინეტი - რა

რატომ მიიღო პაპუაშვილმა სწრაფად გადაწყვეტილება და რა გეგმები ქმონდა ყოფილ მერს

**მონიკა დავლიანიძე
სალომე ჯოლია**

გიგი უგულავა ორჯერ დააკავეს და ნაციონალებმა ორჯერვე ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს ფაქტი ტელევიზიებით პირდაპირი ეთერით გადაცემულიყო (კითხვის ნიშნები აქაც გაჩნდა: როგორ მოხვდა ეს პირდაპირ ეთერში - ყველამ იცის, რომ სასამართლოში კამერას, მით უმეტეს, პირდაპირი ეთერის კამერას, ნებართვის გარეშე არავის შეატანინებდნენ). მაშინაც და ახლაც გავრცელდა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები. თუკი ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს დევნის, ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებით აცხადებს, რომ გიგი უგულავას ქვეყნის დატოვების სურვილი ჰქონდა. მაშინ ექსპერტი აუროპორტში დააკავეს, ახლა სასამართლო დარბაზიდან ბადრაგმა ციხეში გადაიყვანა. მაშინ უგულავა ამბობდა, რომ ქვეყნიდან კი გადიოდა, მაგრამ დაბრუნების პერსპექტივით. არსად არ ვაპირებდი დარჩენას, უკან დაბრუნდებოდი, ასეთი კომენტარი გააკეთა მაშინ უგულავამ.

ლა ნავიდავდა. უგულავა უკრაინაში აპირებდა წასვლას და პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას.
ლევან გოგიჩაიშვილი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელი:
 „საკონსტიტუციო სასამართლომ ითამაშა „ნაციონალური მოძრაობის“ თამაში. საკონსტიტუციო სასამართლოც ჩქარობდა და ასევე, ყველაფერს აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“, რომ გუმინდელი განაჩენი რამენაირად გადაეტანათ. აქ ორი ვარიანტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდოდათ დროის მოგება. რაში სჭირდებოდათ დროის მოგება, ეს მეორე საკითხია. ჩემი აზრით, მათ უნდოდათ, მოეხერხებინათ და გიგი უგულავა ქვეყნიდან გაეყვანათ. გაეყვანათ ისევე, როგორც სააკაშვილი, ადგიშვილი, კეზერაშვილი და ქველი ხელისუფლების სხვა დამნაშავეები გავიდნენ. ის შეეცდებოდა, თავი აერიდებინა მართლმსაჯულებისთვის და განაჩენი განაჩენად დარჩებოდა. ალბათ, სწორედ ეს მოტივაცია ამოძრავებდათ. უგულავა თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ მას სასამართლო განაჩენს გამოუტანდა და დააკავებდნენ. მან ზუსტად იცოდა, რის გამო ასამართლებდნენ, რადგან ეს დანაშაული მას ჩადენილი



გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ გამოძიებიდან:
 პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირი განკარგვის წესით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს საცხოვრებელი სახლები გადასცა. მოსამართლეებს ბათუმში, პრესტიჟულ უბნებში მდებარე სახლები სიმბოლურ ფასად, თითოეულს 1000 (ათას) ლარად გადაეცათ. საკონსტიტუციო სასამართლოში სახლების გადაცემას სასამართლოს ბათუმში გადატანით ხსნიან.
 პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს საკუთრებაში, ჯამში, 10 საცხოვრებელი ბინა გადასცა. ბინები ბათუმის ცენტრალურ უბნებშია განთავსებული. მოსამართლეების მიერ ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაციით, სიმბოლურ ფასად, ათას ლარად გადაცემული თითოეული ბინის ღირებულება 20 ათასიდან 250 ათას ლარამდე მერყეობს.
 საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს პრეზიდენტის განკარგულებით გა-

სახელი	მისამართი	ფართობი	ფასი
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი,
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი,
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი,

ახლაც ითქვა, რომ ყოფილ მერს კონკრეტული გეგმა ჰქონდა და საკონსტიტუციო სასამართლომაც გადაწყვეტილების მიღება ამიტომაც იჩქარა ასე.
 ზურა ქადაგიძე, ახლგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი:
 „უტყუარი ინფორმაცია გვექონდა, რომ გიგი უგულავა ქვეყნის დატოვებას აპირებდა. ამიტომ სთხოვეს მისმა ადვოკატებმა მოსამართლეს პროცესის 1 კვირით გადადება. სწორედ ამ ერთი კვირის განმავლობაში აპირებდა ის ქვეყნის დატოვებას.
 არსებობდა და განსაზღვრული იყო რამდენიმე მარშრუტი: პირველი მიმართულება იყო ოსეთიდან გასვლა, მეორე - პანკისი, მესამე - ანაკლია. არჩევანი სიტუაციის მიხედვით გაკეთდებოდა.
 განთავისუფლებიდან 24 საათის განმავლობაში ამათ იმიტომ ვერ გააკეთებდა, რომ ყურადღების ცენტრში იყო, ყველა ურეკავდა, ემბანებოდა, ამიტომ ვერ გაიქცეოდა. ერთი კვირის მანძილზე კი ხელ-ნე-

მოკლე დონია
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუშაობდა სხვადასხვა საპარლამენტო და ნამყვან თანამდებობებზე. მას ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა როგორც ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, ასევე „ენმ“-ის სხვა ლიდერებთანაც.
 2000-2004 წწ - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ კანონის უზენაესობის პროგრამის დირექტორი.
 2004-2005 წწ - საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
 2004-2005 წწ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.
 2005 წლის თებერვლიდან - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.
 2006 წლის 14 ივლისი - საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის მიერ დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.
 2006 წლის 29 სექტემბერი - არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ.
 2007 წლის 1-ლი ოქტომბერი - არჩეული იქნა ვენეციის კომისიის წევრად.
 2012 წლიდან - ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.
 2006 წლის 14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო 2 ოქტომბერს ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.
 2009 წელს დაინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს Ad Hoc მოსამართლედ.
 2007 წლიდან არის ევროპული კორტივის ახლო მეგობარი და მისი თანამოაზრე. იგი მოიაზრება, როგორც ბოკერის კადრი. ასევე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან რამიშვილის მეგობარი.
 მისი მეუღლე ანა ჟვანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელია. ჟვანიას ამჟამადაც ახლო ურთიერთობები აკავშირებს „ენმ“-ის ლიდერებთან. 7-18 სექტემბერს მას ყოფილი მერის გიორგი უგულავას სასამართლო პროცესზე დასწრება სთხოვეს, თუმცა მან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უგულავას მიმართ გამოტანილი განაჩენის (განთავისუფლების შეასხებ) შედეგად, წარმოქმნილი საპროცესო მუხტის გამო, განუცხადა უარი.
 საქართველოს საკონსტიტუციო თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ივანეს ძე თავაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს იუსტიციის ყოფილი მინისტრთან შურაბ ადგიშვილთან (იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ყოფილ გენპროკურორთან, მურთაზ ზოდელავასთან და მის ყოფილ მოადგილესთან გიზო უგულავასთან. ასევე, მჭიდრო ურთიერთობები აქვს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან და „ენმ“-ის მხარდამჭერებთან. თავაძე და მისი ოჯახის წევრები დღემდე აქტიურად უჭერენ მხარს პარტია „ენმ“-ს.
თამაზ ცაბუტაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი:
 2003-2004 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე შედამხედველობის სამმართველოს, შსს

„უტყუარი ინფორმაცია გვექონდა, რომ გიგი უგულავა ქვეყნის დატოვებას აპირებდა“

რთლოს შავადგენლობა, კომპრომატები

კითხვები გაჩნდა?



დაცემული სახლი დეკლარაციაში 250 ათას ლარად აქვს შეფასებული. მის მოადგილეს კონსტანტინე ვარძელაშვილს – 120 ათას ლარად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ოთარ სიჭინავას – 100 ათას ლარად, ქეთევან ერემაძეს – 60 ათას ლარად და ა.შ. ჯამში, პრეზიდენტმა მოსამართლეებს, მინიმუმ, 700 ათას ლარად

ღირებული ბინები 10 ათას ლარად გადასცა. „ნებისმიერი პირი, რომელიც საჩუქრად, სიმბოლურ ფასად, პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძენს ასეთი ღირებულების, ასეთ სოლიდურ უძრავ ქონებას, როგორცაა ბათუმში ბინა და არ არის ეს ერთობიანი ბინა და არ არის ძალიან ისეთი უმნიშვნელო ბინა,

ბუნებრივია, ვერ დარჩება მიუმხრობელი და მიუკერძოებელი პრეზიდენტის მიმართ, მისი აქტების, მისი ქმედების მიმართ“, – განაცხადა იურისტმა ლია მუხაშვილმა. საკონსტიტუციო მოსამართლეების კავშირი სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შემადგენლობის კარიერული წინსვლითაც კარგად ჩანს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ორმაგი სტანდარტი

მირიან ბოქლიძე

გიგი უგულავას სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია... ნაწილი გიორგი პაპუაშვილს გამგებობას უწონებს, ნაწილი კი „ნაციონალური მოძრაობის“ გაფლანგვას საუბრობს, თუმცა ყველა თანხმდება, რომ კანონის ის ნორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, ნამდვილად მანკიერი გახლდათ. ყველა, გარდა რამდენიმე პოლიტიკურად ანგაფირებული ადგილობრივი მოხელისა. მაგალითად, ისეთის, როგორც ბათუმის მერიის ავტორიტარული მონიტორინგის უფროსი გიორგი თუმშალიძე. ის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მეუღლესთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად გიორგი პაპუაშვილის სახლთან აპროტესტებდა. ჟურნალისტის კითხვაზე, როგორც საჯარო მოხელე, აქვს თუ არა მსგავსი შინაარსის აქციის ჩატარების უფლება, გიორგი თუმშალიძე უპასუხდა: „ცხადია, ასეთი გამართვის შემდეგ, ძნელია, მას კანონის ნორმებზე ვედავო.“

– ჩვენს ორგანიზაციას საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი აქვს არაერთი სარჩელი, რომელიც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში წინააღმდეგობას გვთვალავს. რაც მეტად ბოლო გადაწყვეტილებას, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია, მისი განხილვა, არსებულ პრაქტიკასთან შედარებით, ძალიან მცირე დროში მოხდა, თორემ კანონთან მიმართებაში სრულიად რეალურ დროში განხილვის. კარგია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ასე მცირე დროში განიხილა გიგი უგულავას სარჩელი, მაგრამ ვისურვებდი, რომ სხვა საქმეებიც ასეთივე რეალურ დროში განხილულიყო.

– კერძოდ? – მაგალითად, ჩვენ გვაქვს მოქალაქე დევისის საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კოლეგიამ განიხილა და დაახლოებით 17 თვის განმავლობაში სათათბირო ოთახში იყო გასული, რის შემდეგაც საქმე პლენუმს გადასცა. პლენუმმა ცვლილება ეს სარჩელი. სხვათა შორის, უგულავას საქმეზე ერთი დღით ადრე და, ასევე, გავიდა სათათბირო ოთახში. ფაქტობრივად, რომელ საქმეზეც უფრო ადრე დაიწყო სათათბირო, ის გადაწყვეტილება არ გამოცხადდა და სასწრაფო წესით გამოცხადდა უგულავას საქმეზე.

– კონკრეტულად რას ითხოვთ დევისის საქმეზე? – დევისის საქმეზე ვითხოვთ სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული მუხლების არაკონსტიტუციურობის ცნობას. ამჟამად, თაღლითობის შემთხვევაში ხდება ქონების გადაყვანა და სახელმწი-

ორგანიზაციის კორუფციის, ნარკოდანამართლის და ადმინისტრაციულ პოლიციაში მოკვლევის კანონიერებაზე შედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

2004-2011 წლებში – კახეთის საოლქო პროკურორი. არსებული ინფორმაციით, ცაბუტაშვილი, 2011 წლის 4 ივნისს საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, #351-ე ბრძანებულებით მის მიერ წარმოებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცაბუტაშვილი 2004-2011 წლებში, როდესაც კახეთის საოლქო პროკურორი იყო, ასრულებდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დავალებებს, რაც აისახებოდა მის მიერ წარმოებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცაბუტაშვილი 2004-2011 წლებში, როდესაც კახეთის საოლქო პროკურორი იყო, ასრულებდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დავალებებს, რაც აისახებოდა მის მიერ წარმოებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცაბუტაშვილი 2004-2011 წლებში, როდესაც კახეთის საოლქო პროკურორი იყო, ასრულებდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დავალებებს, რაც აისახებოდა მის მიერ წარმოებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

მისი მეუღლე მარკა ჟღენტი არის შსს კონტრაზვერვის დეპარტამენტისა და სპეციალური ლოზისძიების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის – მალვა ჟღენტის და. ცაბუტაშვილის მეჯვარეა საქართველო ოუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადვიშვილის ძმა.

ქეთევან ერემაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და მდივანი:

1998-1999 წწ. საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობდა ნამყვან სპეციალისტად; 1999-2001 წწ. – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მრჩეველი; 2001-2005 წწ. – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამემხარი; 2005-2006 წწ. – საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის უფროსი; 2000-2001 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილ-

ისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, ატარებდა ლექციებს; 2005-2011 წლებში – ამავე უნივერსიტეტის ორიდული ფაკულტეტის ლექტორი;

2011 წელს – „თავისუფალ უნივერსიტეტში“ ლექტორი; 2006 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. 2006 წლის 2 ოქტომბერს არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად.

მაია კოპალეიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი:

2005 წლის 22 სექტემბრის, საქართველოს პრეზიდენტის #773 ბრძანებულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ოქტომბრის #776 განკარგულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ. 2006-2007 წლებში იყო საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ოუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი, სპიკერი მოსამართლე.

2006-2007 წლებში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებით, არჩეულ იქნა საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისკალინო კოლეგიის წევრად. 2006 წლიდან იყო სპიკერი მოსამართლე. 2006 წლიდან იყო ოუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი. საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 24 დეკემბრის 1/282-2007 გადაწყვეტილებით, განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2007 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა საქართველოს ოუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

2009 წელს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილედ. 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. არის 10 სამეცნიერო ნაშრომისა და კვლევის ავტორი. კოპალეიშვილი ყოფილი გენერალური პროკურორისა და ოუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადვიშვილის კადრია. ამჟამინდელ თანამდებობაზე არჩეულია სააკაშვილის კვლით.

ოთარ სიჭინავა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი:

2005-2006 წწ – საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2006 წლიდან – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

არსებული ინფორმაციებით, ოთარ სიჭინავა არის ზურაბ ადვიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი.

ლალი ფაფიაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი:

2004-2007 წლებში იყო პარლამენტის წევრი, პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან“. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ახლო კავშირი აქვს საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან და „ქნმ“-ის ერთ-ერთ ლიდერთან დავით ბაქრაძესთან.

ასე რომ, რა გასაკვირია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მიკერძოებული და ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს. ეს უკვე მოსაზრება კი არა, ფაქტია და „პრაიმტიმის“ ამ ფაქტს უდასტურებენ.



უბრისას იმ საქმეებზე საუბრობს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო წლების განმავლობაში განიხილავს, თუმცა გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ჩქარობს. განსხვავებით გიგი უგულავას საქმისგან, სადაც მოსამართლე ტურავას გადაწყვეტილება ხელმოსწერად პირდაპირ საავადმყოფოში აახლეს. ფაქტია, რომ გიორგი პაპუაშვილს ნამდვილად ეჩქარებოდა, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოში პრაქტიკულად თაროზე შემოდებული საქმეებიც მონიშნავს. არჩილ ჩოფიკაშვილი, იურისტი:

ფო კეთილსინდისიერ მყიდველად აცხადებს ბოლო შემძენს, თაღლითობის მსხვერპლს კი ტოვებს საკუთრების გარეშე. ჩვენ ვითხოვთ სწორედ ამ ნორმის გაუქმებას. ასევე, გვაქვს სარჩელი, რომელიც მართლმწიფე მსხვერპლს და მას შემდეგ არათუ განხილვა დაიწყეს, არამედ დასაშვებობის საკითხიც კი არ გადაუწყვეტილა. ასეთი უამრავი საქმეა, რომელიც წლების განმავლობაში წინააღმდეგობას გვთვალავს. ეს არის ტენდენცია და კარგი იქნება, თუ გიგი უგულავას საქმის შემდეგ მაინც შეიცვლება ეს მანკიერი ტენდენცია.

არჩილ ჩოფიკაშვილი: „გაცილებით ადრე შეტანილ სარჩელზე სასამართლო 17 თვეა, სათათბირო ოთახშია გასული“



ლონდონში მცხოვრები ქართველებისთვის რაგბიში მსოფლიო თასის გათამაშება სიმღერითა და ცეკვით დაიწყო. ლონდონ ბრიჯზე, საუთვარკის ტაძრის წინ საქართველოს დღეები მიმდინარეობს. მაყალზე ამიშინებული მწვადის სუნი, ამოზეული ლობიო, ხაჭაპური, ჩურჩხელა, ქართული ღვინო ტურისტულ უბანში გაშვებულია ყურადღებას იქცევს. იქვე მოწყობილ კარვებში საქართველოს შესახებ წიგნები და საინფორმაციო ბუკლეტები რიგდება. ანსამბლ „შვიდკაცას“ შესრულებით ქართული ხალხური სიმღერები ისმის.

სიმღერას ცეკვა მოსდევს. მოედანზე მოსულ სტუმრებს განსაკუთრებით ცეკვა მთიულური მოსწონთ. ბრიტანელები ცდილობენ, ქართულ ჰანგებს აჰყვენ. ლონდონში მცხოვრები ქართველები მათ ქართული კულტურის შესახებ უამბობენ და

ურჩევენ, ქართული ღვინო დააგემოვნონ. მირზა ნაფეტვარიძე 13 წელია, ბრიტანეთში ცხოვრობს. მოედანზე შეგობრებთან ერთად მივიდა. ამბობს, რომ ქართული სიმღერა და ცეკვა ენატრება.

საქართველოს კულტურის დღეების პროგრამაში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდება, ქართული სამზარეულოს გარდა, ნაციონალური ბალეტ „სუხიშვილი-რამიშვილის“ და ანსამბლ შვიდკაცას გამოსვლები შედის. „შვიდკაცას“ მენეჯერი გიორგი ლომთათიძე ამბობს, რომ ამ ღონისძიებას ორი მიზანი აქვს. ქართველ მორაგბეთა ნაკრების გამხსნევა და ქართული კულტურის გაცნობა ლონდონელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის.

ქართული ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი აცხადებს, რომ დიდი ხანია, ანსამბლი

ბრიტანეთში არ ყოფილა და სპორტსმენების მხარდაჭერის გარდა, ლონდონის მაცხოვრებელს ახალ პროგრამას ურჩევენ.

ლონდონში საქართველოს დღეების ორგანიზატორია ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი გიგი რურუა ამბობს, რომ ასეთი ღონისძიება უკვე მესამედ ტარდება და საქართველოდან მოწვეული ანსამბლების მეშვეობით ორგანიზაცია ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას ეწევა.

19 სექტემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასის გათამაშებაზე პირველი მატჩი ტონგას ნაკრებთან გამართა, მატჩი ბორჯღალოსნების გამარჯვებით დასრულდა. ბრიტანეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი საგულშემატკვროდ სტადიონზე შეიკრიბა, ნაწი-

paparazzi



ზაზა კოლეიშვილი და ლელა წერეთლი



როლანდ ოქროპირიძე

უკრაინული მედიასაშუალებების ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა, სანდრო კობახიძემ ტრავმა მოიპოვა და ის შესაძლოა, გუნდს მომავალ შეხვედრაშიც დაეხმაროს.

ნახევარმცველმა ტრავმა „ოლიმპიკთან“, მეექვსე ტურში მიიღო და ამის გამო, სანაკრებო მატჩი, შოტლანდიის წინააღმდეგ გამოტოვა კი-

დეც, თუმცა სარეაბილიტაციო კურსი მაინც სამშობლოში გაიარა.

უკრაინელი კოლეგების ინფორმაციით, კობახიძე ლუცკში ოთხშაბათს ჩავიდა და ინდივიდუალურად ივარჯიშა. არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის პრემიერ ლიგის მომდევნო ტურში, კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ, მოედანზე ქართველი ფეხბურთელიც გამოჩნდეს.


ლანჩხუთის „გურიას“ მთავარი მწვრთნელი, კახა გოგიჩაიშვილი მალე უმუშევარი დარჩება.

ბოლნისის „სიონთან“ თასზე წაგებული მატჩის შემდეგ, ლანჩხუთის გამგებელმა, ზაზა ურუშაძემ, კლუბის პრესასამსახურს დაავალა, რომ ინფორმაცია გაეცემოდა მხოლოდ გოგიჩა-

იშვილის გათავისუფლების შესახებ.

მოგვიანებით, ურუშაძე შეხვდა გუნდის მთავარ მწვრთნელს და მას კიდევ ერთი პასი მისცა - თუკი ეროვნული ჩემპიონატის მომავალ ტურში, „გურია“ „საბურთალოსთან“ საკუთარ მოედანზე წააგებს, კახი გოგიჩაიშვილი, თავის სტაფთან ერთად გუნდიდან დათხოვნილი იქნება.

მღერა და ქართული კინო ლონდონში



**აკა მორჩილაძე:
„სულ ვნერ,
ფეხბურთზეც კი
ვნერ კვირახში ორჯერ
საქართველოსთვის.
ასე რომ, არ ვთვლი,
რომ ნასული ვარ“**

„... ვერ ვიტყვი, მომავალში რა იქნება და დაგვიჭერენ თუ არა მხარს ნატოში შესვლაზე“

EXCLUSIVE



ლი კი - ისევ საუთვარკის ტაძრის წინ, მოედანზე და თამაშის მიმდინარეობას მონიტორინგის მეშვეობით ადევნებდა თვალს.
რაგბისა და საქართველოს დღეების გარდა, ადგილობრივ ქართველებს ლონდონელებსა და ქალაქის სტუმრებს ქართული ფილმების ნახვის საშუალება ექნებათ. ლონდონში ქართული ფილმების მე-4 ფესტივალის ჩასატარებლად ემზადებიან, 1-ლი ოქტომბრიდან ერთი კვირის განმავლობაში ვესტმინსტერის

ნდონელებსა და ქალაქის სტუმრებს ქართული ფილმების ნახვის საშუალება ექნებათ. ლონდონში ქართული ფილმების მე-4 ფესტივალის ჩასატარებლად ემზადებიან, 1-ლი ოქტომბრიდან ერთი კვირის განმავლობაში ვესტმინსტერის

უნივერსიტეტის ერთ-ერთ ყველაზე ძველ კინოდარბაზში ქართული ფილმების ჩვენება მოეწყობა. ფესტივალის ორგანიზატორი ბრიტანულ-ქართული საზოგადოებაა. საორგანიზაციო საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული ლონდონში მცხოვრები ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე. ბრიტანულ-ქართულმა საზოგადოებამ ფესტივალის დაწყებამდე ვესტმინსტერის უნივერსიტეტში პრესკონფერენცია გამართა. ამ პრესკონფერენციას აკა მორჩილაძეც დაესწრო და მასთან პატარა ინტერვიუც ჩაენერეთ.

„რა გითხრათ, როგორც იცით, ჩემი რამდენიმე მოთხრობის ეკრანიზაცია მოხდა. მთხოვეს, მოდიო და მეც ჩავერთე. საქმე ისაა, რომ წელს ეს ფესტივალი უფრო დიდია, რადგან ქართული კინოს 100 წლისთავია. საერთოდ, უფრო მცირე მასშტაბით იმართება ხოლმე. ეს დარბაზიც უძველესია. მოგეხსენებათ, ეს ცოტა სპეციფიკური ქალაქი და ქვეყანაა და აქ ადგილებს, ბიოგრაფიაში ჩანაწერებს, სად გისწავლია, რა გაგიკეთებია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ძალიან კარგია, რომ ამ უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდება ეს ფესტივალი“.

აკა მორჩილაძეს მის ამჟამინდელ მოღვაწეობაზეც ვკითხე, თუმცა მან დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

„ვმუშაობ, რა. ყოველთვის რაღაცა ვნერ, როგორც ხდება ხოლმე, რა, თავი რაღაცით ხომ უნდა ირჩინო საქართველოშიც და აქაც. სულ ვნერ, ფეხბურთზეც კი ვნერ კვირაში ორჯერ საქართველოსთვის. ასე რომ, არ ვთვლი, რომ ნასული ვარ“.

ბრიტანეთის შიდა პოლიტიკურ ვითარებასა და თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის ლონდონში სტუმრობაზეც ვისაუბრეთ. აკას აზრით, ბრიტანეთის პოლიტიკური მომავალიც ცოტა ბუნდოვანია.

„ეს ცოტა სხვანაირი ქვეყანაა. რეფერენდუმს ატარებენ საერთოდ ევროკავშირიდან გამოყოფაზე. როგორც ამბობენ, ამ რეფერენდუმს



მისი მომწყობი ვერ მოიგებს, მაგრამ ნაწილს გასვლა უნდა. ამათი პოლიტიკის ამბავი ცოტა რთულია. ახლა ლეიბორისტებმა ლიდერად აირჩიეს უკიდურესი მემარცხენე კაცი, რომელიც ამბობს, რომ ნატო უნდა დაიშალოს, პაციფისტიცა. მსოფლიო უნდა განიარაღდესო, ეს კაცი ამბობს, ამიტომ ვერ ვიტყვი, მომავალში რა იქნება და დაგვიჭერენ თუ არა მხარს ნატოში შესვლაზე“.

ეს მცირე ინტერვიუ აკა მორჩილაძესთან პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ჩაენერეთ. ოქტომბრის დასაწყისში, ფესტივალის მიმდინარეობისას, ფილმების ჩვენების

პარალელურად დისკუსიებიც გაიმართება, რომელშიც ქართველი მწერალიც ჩაერთვება.

გოგა აფციაური, რადიო „თავისუფლების“ რეპორტიორი

რეპორტიორის მივიღინება ლონდონში ორგანიზებულია ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მიერ. 2014 წელს გოგა აფციაურს მიენიჭა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზი მშვიდობის უზრუნველსაშუალებების

ფოტოები: ნათია ომაძე



ორი მთავარი პოლიტიკური კალა და საარჩევნო მარათონი

ქეტი ხატიაშვილი

ემპაკები შეიძლება მართლაც ყოველთვის დეტალებშია, თუმცა საქართველოში პოლიტიკა ჯერ არ არის განვითარებული და დეტალებამდეც ჯერ შორს ვართ.

ზოგადად კი, ნაციონალური ხელისუფლებაში საგარეო პოლიტიკაზე უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებულნი, ქოცები კი სოციალურ საკითხებზე არიან ფოკუსირებულნი.

ალბათ, ეს იქნება ის ნიშა, რომელიც ქოცებსა და ნაცებს ერთმანეთისგან განასხვავებს და როგორც ჩანს, ეს ორი ძირითადი მოთამაშე დარჩება პოლიტიკაში.

უკვე ჩანს, რომ ბრძოლა საქმოდ დაძაბული იქნება. წლებია, საქართველოში ცდილობენ მეორე პოლიტიკური ცენტრის შექმნას, თუმცა უშედეგოდ. ერთ-ერთი კანდიდატი (ყვანის სიკვდილის შემდეგ) ნინო ბურჯანაძე გახლდათ, მაგრამ მან ძალიან ადვილად დაახურდავა საკუთარი პოლიტიკური მომავალი წყნეთის მიწის ნაკვეთზე.

საბოლოოდ, მეორე პოლიტიკური ცენტრი ბიძინა ივანიშვილმა შექმნა. ახალი პარტიის ნიშა მაშინვე სოციალური აქტიურობით განისაზღვრა.

საკაპელების ხელისუფლება საგარეო პოლიტიკაში წარმატებული იყო შესაძლებლობების ფარგლებში. დიდი მოლოდინები გაჩინეს ნატოში შესვლაზე, თუმცა ნატო დღემდე ოცნებად რჩება. ცრუ მოლოდინების გამო, მაშინ ელექტორატის გარკვეული ნაწილი ფუსტირებული იყო როგორც სააკაშვილის ხელისუფლებით, ისე თვითონ დასავლეთითაც, რომელიც საუბრით ბევრს საუბრობდა, პრაქტიკულ ნაბიჯებს კი არ დგამდა.

და აქ რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 2008 წლის ომი, რომელიც სწორედ პუტინმა წამოიწყო, ერთადერთი მიზანს ემსახურებოდა – ნატოს გაფართოების პროცესის შეჩერებას აღმოსავლეთით.

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ცივილიზებული პოლიტიკური მიმართულებით შესაძლებლობების ფარგლებშია წარმატებული. წარმატებულია იმდენად, რამდენადაც კრიზისია (სხვადასხვა მიზეზებით) რუსეთში, უკრაინაში, საბერძნეთში... მოლოდინები მათზე საქმოდ დიდი გაჩინეს და ფუსტრაციაც შესაბამისი მასშტაბით მიიღეს.

შიდაპოლიტიკური ფაქტორები ორივე ხელისუფლებაზე თითქმის თანაბრად მოქმედებდა. ოპოზიცია მაშინაც ყვიროდა გადადგენის და ახლაც ყვირის; მაშინაც მოუწოდებდნენ ხალხს ქუჩის აქციებისკენ და ახლაც; მაშინაც მოითხოვდნენ ვადამდელ არჩევნებს და ახლაც მოითხოვენ.

ამ ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სოციალური ფონის მოხსნაა. მით უფრო ახლა, როცა ლარის კურსი ვისთვის პოლიტიკური და ვისთვის აპოლიტიკური მიზეზების გამო ეცემება; ფასები მაღლა იწევს და ცხოვრება ძვირდება.

ექსპერტების შეფასებით, ხელისუფლება ჩინური ინვესტიციების მიმართულებით სწორ ნაბიჯებს დგამს. მათივე შეფასებით, საქართველოში ვალუტასთან დაკავშირებული საკითხები ახლა ძალიან ჰგავს ბერძნულ კრიზისს.

სავალუტო ფონდი არ აძლევს ეროვნულ ბანკს უფლებას, ვალუტის გასამყარებლად დოლარი ბაზარზე გამოიტანოს. ზოგიერთი სერიოზული ექსპერტი მიიჩნევს, რომ სავალუტო ფონდი ამით ცდილობს იმის გარანტია მიიღოს, რომ საქართველო თავად ფონდს გაუსტუმრებს ვალს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მსფ-სთვის მთავარია არა ქართული ვალუტის მდგომარეობა,



„2016 წლის არჩევნები და უშუალოდ ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესი ურთულესი გამოცდა იქნება ხელისუფლებისთვის“

არამედ ის, რომ საქართველომ არ დაკარგოს ის რესურსები, რომლითაც ის ახლა და მომავალში სავალუტო ფონდის ვალუტის იხდის.

ასე რომ, ექსპერტების აზრით, თუკი საქართველო ჩინურ ინვესტიციებს მოიზიდავს, მას შეუძლია ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურადაც კი შეცვალოს.

რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ ვითარებას, ვითარება კიდევ უფრო რთულია. სააკაშვილის მსგავსად, ამ ხელისუფლებას არ ექნება იმის ფუფუნება, რომ მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა დატოვოს მხოლოდ პარლამენტში ან ევროსაბჭოში. ახლა ხელისუფლებას არც იმის ფუფუნება ექნება, რომ ოპოზიცია მოისყიდოს, როგორც ნინო ხელისუფლება აკეთებდა ამას, რადგანაც ნაციონალური პოლიტიკოსები არიან და არც წყნეთის ნაკვეთზე იყიდებიან და არც მილიონებზე.

ასე რომ, თამასა ძალიან ანეულია და „ქართულ ოცნებას“ წყალივით სჭირდება რეფორმა. ამის აუცილებლობას თავადაც ხედავენ. მით უფრო ახლა, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ არის და მათ ამ არჩევნებზე ახალი მესიჯი უნდა შესთავაზონ ამომრჩევლებს. ახალი მესიჯი და ხარისხიანი შემადგენლობა.

თუმცა შემადგენლობის პრობლემა ნაციონალურსაც სერიოზულად

თამას ჰგავდა. ექსპერტის 24-საათიანმა გამოწვევამ თითქოს დამუხტა კიდევ ნაციონალური და ისინი ბრძოლის იმედით აღავსო.

თუმცა, მეორე მხარის სრული მობილიზაციაც მოახდინა. გაჩნდა ნაციონალური რევანშის მიზნი. სხვათა შორის, ნაციონალურებს კარგად ესმით, რომ ეს მიზნი საზოგადოებაში არსებობს, თანაც სერიოზულად ამიტომაც იყო, რომ რამდენიმე თვის წინ მიხილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის მხოლოდ ერთ კაცს დასჯის მხოლოდ. თუმცა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ მისი შეცდომა იყო ოლიგარქებისა და მსგავსი ფიგურების შესაბამისად არდასჯა და ასეთ შეცდომას აღარ გაიმეორებს. ასე რომ, ამ მხრივ, სააკაშვილის მიმართ ნდობა აღარ არსებობს.

ექსპერტები არჩევნებზეც ელოდებიან, რომ მთავარი ფრონტის ხაზი სწორედ ნაცებსა და ქოცებზე გაივლის. სათუნა ლავაზიძის განმარტებით:

– ბოლო ორი დღის მთავარი შედეგი ეს არის: 2016 წლის არჩევნები და უშუალოდ ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესი ურთულესი გამოცდა იქნება ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. სასამართლოების მიერ ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე, ერთი წლის იქით გადავი-

ხედით და არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებებს გამოიტანენ სასამართლოები, არცთუ რთული გამოსაცნობია. საფუძვლიან თუ უსაფუძვლო საჩივრებს რომ არ მოაკლებენ ამ ხელისუფლებას, ამაში ეჭვი სომ არ გეპარებათ?! მით უფრო, ამ ხელისუფლებისთვის უკვე ტრადიციად ქცეული სიბეცეების ფონზე. ჰოდა, არჩევნები გველოდება, დემოკრატიით გაოცება მერე იკითხეთ. არ არის გამორიცხული, 2003 წლის სცენარი ვიხილოთ გარკვეული კორექტივებით: ანუ სასამართლოებში შესული საჩივრების ფონზე ბევრ ოქმში სასამართლოებმა მოითხოვონ განმეორებითი არჩევნების ჩატარება, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა არჩევნების შედეგები – ლეგიტიმურად, არჩევნები კი ჩატარებულად ცნონ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ნაციონალურების გამარჯვებაზე საუბარი არ იქნება, მაგრამ ხელისუფლებას მოუწევს სერიოზულ დათმობებზე წასვლა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერილ ძალებთან. მომავალი არჩევნების ბედს გადაწყვეტს არა მხოლოდ ამომრჩეველი, არამედ სასამართლოები, რომლის იმედიც ოპოზიციას იქნება. ეს ვისთვის – იმედისმოძველები, ვისთვის უიმედო პროგნოზია, თუმცა, საკმაოდ რეალისტური.

„ერთი წლის იქით გადავიხედით და არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებებს გამოიტანენ სასამართლოები, არცთუ რთული გამოსაცნობია. საფუძვლიან თუ უსაფუძვლო საჩივრებს რომ არ მოაკლებენ ამ ხელისუფლებას, ამაში ეჭვი სომ არ გეპარებათ?!“

„ბიძინა ივანიშვილი და ხელისუფლება მედიას გაემიჯნენ“

მონიკა დავლიანიძე

სამი პრეზიდენტი და ოთხი პირდაპირი თუ ირიბი მცდელობა მედიაში გავლენების მოსაპოვებლად. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ყველაზე დემოკრატიული მიდგომა მაინც ახალ ხელისუფლებას აქვს. თუმცა, პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ, მათზე მედია მხოლოდ დადებით და პოზიტიურ ტონში ლაპარაკობდეს.

პრეზიდენტების მედიასთან დამოკიდებულებაზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა:


– შევარდნაძის პერიოდში მედია საკმაოდ ნედლი იყო. იმ პერიოდში პროპაგანდისტული და შავი ტექნოლოგიები ნაკლებად იყო ათვისებული. შესაბამისად, მეტ-ნაკლებად თავისუფალი გარემო გახლდათ. მედია შედარებით სუფთა იყო პოლიტიკური და თუნდაც კორუფციული გავლენებისგან. ის პერიოდი, შეიძლება ითქვას, მედიის თავისუფლების თავლობის პერიოდი იყო და ამასთანავე, მედიის ფორმირების ეტაპი.

საკაშვილის პერიოდი გასაგებია. მან თავიდანვე დაიწყო გავლენის მოპოვება. მას ესმოდა მეოთხე ხელისუფლების ტექნოლოგიების შესაძლებლობები და მუდმივად ჰქონდა მედიის კონტროლის მოთხოვნა. საბოლოო ჯამში, ამას 2007 წლისთვის მიაღწია, როდესაც მასმედიას უკვე მთლიანად აკონტროლებდა. ქვეყანაში კი, ფაქტობრივად, ვირტუალურ სურათს ქმნიდა. მედიის საშუალებით ცდილობდა პოლიტიკური და სხვა მოვლენების მართვას. ძალიან კარგად განვითარდა ამ პერიოდში ე.წ. შავი პიარი, ანუ ცილისწამებისა და პოლიტიკურ ბრძოლაში ბინძური მეთოდების გამოყენების მეთოდები სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან. აქ უფრო კორუფციული ელემენტები შეინიშნებოდა. ზოგიერთ მედიაში კორუფციული გარიგებების საფუძველზე, უბრალოდ, იყიდებოდა ესა თუ ის ინფორმაცია. უფრო სწორად ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელება.

დღევანდელი ხელისუფლების მოსვლის პერიოდში, სტატუს კვო აღდგა, ანუ ბიძინა ივანიშვილი და ხელისუფლება მედიას გამიჯნენ. რეალურად მისი ნება იყო მედიის განთავისუფლება და პირველი, რაც გააკეთა, „იმედი“ თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა. პირველი წლის განმავლობაში ვაკეირდებოდით ამ ხელისუფლების, პოლიტიკისა და მედიის დისტანცირების მცდელობებს. „რუსთავი 2“-იც კი იმ პერიოდში შედარებით ადეკვატური იყო. ამის შემდეგ გარკვეული უკუსვლა და სხვადასხვა ჯგუფების მიერ პოლიტიკური კომპონენტის მედიაში უკან დაბრუნების მცდელობები იწყება. ახლა ეს მცდელობები ცოტა შემცირებულია, მაგრამ ახლა გაზრდილია გარკვეული პოლიტიკური ინტერესები, ანუ სხვადასხვა ჯგუფები ისევ

„სხვადასხვა ჯგუფები ისევ ცდილობენ, რომ საინფორმაციო პროპაგანდაში მიიღონ მეტი წილი“

„საკაშვილმა სპეცრაზმიც კი გამოიყენა ამ პროცესში“



ცდილობენ, რომ საინფორმაციო პროპაგანდაში მიიღონ მეტი წილი. პოლიტიკების პროცესს ვაკეირდებით. და არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ვფიქრობ, ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

– მედიაზე გავლენის მოპოვება როგორ მიმდინარეობდა?

– სააკაშვილმა სპეცრაზმიც კი გამოიყენა ამ პროცესში. შემდგომ ნომინალური მფლობელები მოიძიეს და ასეთი ირიბი კონტროლის ქვეშ აიყვანეს ძირითადი მედიასაშუალებები, რომლებსაც ნაციონალური მართვითობა ჰქონდათ.

– „რუსთავი 2“-თან მიმართებაში რა ხდება? მთავრობის მიერ მართულ პროცესს ხომ არ ჰგავს?

– „რუსთავი 2“-თან მიმართებაში ყველაფერი გარკვეულია. ამ ტელეარხს პოლიტიკური გემოვნება ხომ არ შეუცვლია, ეს გარდამავალი პერიოდი მათზე არ ასახულა. თუმცა ახლა მეტად პოლიტიკური გახდა „რუსთავი 2“, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. ამასაც თავისი ლოგიკა აქვს, არჩევნები ახლოვდება და ასე შემდეგ. ის პროცესი კი, რომელიც ქიბარ ხალვაშის მიერ არის წამოწყებული, რაც არადა-

აჯერებელი პროცესია... პირდაპირ გეტყვით, თვითონ ქიბარ ხალვაში იყო სააკაშვილის პირველი ნომინალური წარმომადგენელი ამ არხზე. ყველა ვიცი, რომ ხალვაშმა კი არ იცოდა არხი, არამედ მასზე სააკაშვილმა თავისი ქონება გააფორმა. ამიტომ დამაჯერებლობას მოკლებულია ხალვაშის ეს დავა. ყველა ვიცი, რომ, თუ ვინმეს წაართვს „რუსთავი 2“, ეს იყო აქტივი და დავალი. შესაბამისად, ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“-თან მიმართებაში, როგორც დაზარალებული, ჩემთვის პირადად არადაამაჯერებელია. ქიბარ ხალვაშმა, ფაქტობრივად, ხელისუფლებას ზიანი მიაყენა. ბუნებრივია, რომ ქიბარ ხალვაშს ხელისუფლებასთან გააიგივებენ და შეეცდებიან, ეს ყველაფერი პოლიტიკურ დევნად მონათლონ. ჩემი აზრით, ქიბარ ხალვაში დღეს მთავრობის ინტერესებს აზიანებს.

– ანუ გამოიცხადეთ, რომ ქიბარ ხალვაში ამ შემთხვევაში მთავრობის პოლიტიკას ატარებს?

– იცით, ვერაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ არ ვარ ხელისუფლებაზე ისეთი დაბალი წარმოდგენის, რომ ასეთ უგუნურობაში თავისი



საწინააღმდეგო რალაც გაკეთოს. რადგან „რუსთავი 2“-ის საქმე, როგორც არ უნდა დამთავრდეს, ხელისუფლებას დააზიანებს. არ შეიძლება, ადამიანი მუდმივად თავისი ინტერესების საზიანო ნაბიჯებს დგამდეს.

– პოლიტიკური თოქშოუების დახურვა რისი ბრალია? აქაც გამოიცხადეთ მთავრობის ჩარევას?

– აქ მგონია, რომ უფრო თვით-ცენზურასთან გვაქვს საქმე. იმიტომ, რომ ვილაცას უნდა, რომ ამ ფორმით ხელისუფლებას ასიაშოვნოს. სხვადასხვა ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ. და აი, ამ უცნაური, ეგზოტიკური ფორმით ცდილობენ, რომ ეს გააკეთონ.

დაახლოებით ასე წარმომიდგენია. რა თქმა უნდა, დაბეჯითებით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მგონია, რომ დაეუშვათ, გრიგოლის მაგალითი რომ ავიღოთ, დაეუშვათ, ვილაცას აქვს ბიზნესინტერესი და ხელისუფლების დახმარება სჭირდებოდა. ხელისუფლების ვილაც წარმომადგენელმა შეიძლება წაიწუნუნა და მეორე მხარემ თავისი, ასე ვთქვათ, კეთილი განწყობა აჩვენა იმ ეგზოტიკური ფორმით. რითაც, ჩემი აზრით, ხელისუფლებას კი არ ასიაშოვნა, არამედ დარტყმა მიაყენა. იმიტომ, რომ საზოგადოებაში ისეთი განცდა დარჩა, რომ ინგას შოუს დახურვის უკან გარკვეული პოლიტიკური ინტერესი იდგა.



„შევარდნაძის დროს მედია პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი იყო, სააკაშვილი მედიას პირტუალური რეალობის შესაქმნელად იყენებდა, დღევანდელი ხელისუფლების მოსვლის პერიოდში, სტატუს კვო აღდგა“



ლაშა ზარანდია

ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად წელს ქართული ფილმი „მოირა“ შეირჩა. გადაწყვეტილება ეროვნული კინოცენტრის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მიიღო, რომელიც კინოპროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული. ასევე, „მოირა“ სან-სებასტიანისა და ვარშავის კინოფესტივალზე მთავარ საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს.

ფილმის პრემიერა ქართულ კინოთეატრებში ჯერ არ შემდგარა. გადაღებები შავი ზღვის სანაპიროზე - ფოთსა და ჩაქვში - თვე-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფილმისთვის სახელმწიფო სუბსიდიის სახით ნახევარი მილიონი ლარი გამოიყო.

ფილმში ასახულია ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახის ყოფა, სირთულეები, პრობლემები და ბედის უკუღმართობა, რომელიც თან სდევს ფილმის პერსონაჟებს. ბედისწერის ქალღმერთის, მოირას სახელი ჰქვია პატარა თევზსაჭერს, რომლითაც საარსებო ფულის შოვნას აპირებენ მეთევზე ძმები, მაგრამ ბედისწერა მოულოდნელი და დაუნდობელია...

ფილმის რეჟისორი ლევან თუთბერიძე, იგი ქართველმა მსყურებელმა გაიცნო ფილმიდან „დიმიტრი თავდადებული“, სადაც მთავარ როლს ასრულებს. მსყურებელი ასევე კარგად იცნობს მის მიერ გადაღებულ ფილმებს: „ცხრა მთას იქით“, „უშენოდ მგონი მოკვდები“, „მოგზაურობა ყარაბახში“, „წარსულის აჩრდილები“...


სულ რამდენიმე სპეციალისტმა ნახა ფილმის სრული ვერსია. გარდა იმისა, რომ იგი საქართველოს მხრიდან ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად შეირჩა, ასევე არის დაინტერესება და მონაწილეობა აზიური აკადემიის „ოსკარზე“. მონაწილეობას ვიღებთ სან-სებასტიანის მთავარი კონკურსი. ეს მხოლოდ დასაწყისია, არის კიდევ რამდენიმე შემთავაზება, რაზეც ჯერ ვფიქრობთ. ენახოთ რა დაინტერესება მოჰყვება ფილმს.

ვეფიქრობ, რომ საერთო ჯამში პროექტი შედგა და ფილმიც საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, რამაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდა მსახიობებს, ესენი არიან: პაატა ინაური, გიორგი ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ზაზა მალალაშვილი, ჯანო იზორია, ანი ბებია, ბაჩი ლეჟავა. ეს არის ძირითადი ბირთვი მსახიობებისა, რომელთა ერთობლიობამ, საბოლოო ჯამში, „მოირას“ სახით საინტერესო პროდუქტი წარმოშვა.

საკმაო ხანი ერთად ვიცხოვრეთ და ძალიან საინტერესო იყო მსახიობებთან მუშაობა. მოლოდინები საკმაოდ დიდა. თუნდაც ის, რომ ფილმი სან-სებასტიანის მთავარ კონკურსზე მიდის, უკვე ბევრს ნიშნავს. რაც შეეხება „ოსკარს“, წარმატების მისაღწევად რთული გზაა გასავლელი, რასაც დიდი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საინტერესო ფილმი გამოსულიყო. იმედია, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდანაც იქნება დაინტერესება და ერთად ვასახელებთ საქართველოს არა ერთ საერთაშორისო კონკურსზე.



„საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ფილმს უკეთებს პრომოუშენს. ეს მოიცავს, ფილმის გაგზავნას ფესტივალებზე, ტიტრების დადებას, ფინანსების მოძიებას. სან-სებასტიანის ფესტივალისთვის, ჩვენ მიერ, ფილმი ესპანურად ითარგმნა. მაქსიმალურად ვცდილობთ, დახმარება გავუწიოთ ძალიან ნიჭიერ რეჟისორს, ლევან თუთბერიძეს“



Prime Time-თან საუბარში ლევან თუთბერიძემ განაცხადა:

- ფილმი არის სოციალური დრამა, მასში ასახულია საპორტო ქალაქში მცხოვრები ოჯახის ყოფა. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გამოდის ციხიდან და ცდილობს ცხოვრება ხელახლა დაიწყოს, უნდა ყველაფერი რადიკალურად შეცვალოს, მას ჰყავს უმცროსი ძმა, უნარშეზღუდული მამა და დედა, რომელიც, საზღვარგარეთაა წასული სამუშაოდ. ფილმი მოიცავს ისტორიას, რომელიც, ჩემი აზრით, მსყურებლისთვის არ იქნება უინტერესო და მას გულგრილს არ დატოვებს. ჯერ ქართულ კინოთეატრებში პრემიერა არ შემდგარა და ამიტომაც თავს შევიკავებ მინარსის კონკრეტული დეტალებისგან, თვითონ მსყურებელმა შეაფასოს ისტორიაც, ფილმიც და მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობაც.

„საერთო ჯამში პროექტი შედგა, ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ფილმში. ახლა მთავარია ღირსეულად წარვდგეთ სან-სებასტიანის ფესტივალზე და წარმატებულად დავბრუნდეთ სამშობლოში“

თველოს კანდიდატი ფილმი „ოსკარზე“

ჩვენ ვესაუბრეთ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს პაატა ინაურს, მან განაცხადა:

- შემოძლია თამამად ვთქვა, ჩანაფიქრი რაც იყო, შედგა. ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, უდიდესი გამოცდილება იყო ამ ფილმში როლის შესრულება. ყოველთვის მინდოდა ლევან თუთბერიძესთან მუშაობა, ძალიან საინტერესო რეჟისორია, ასევე მსახიობებიც, რომლებთანაც მომინა მუშაობა მთელი თვე-ნახევრის მანძილზე. ეს იყო უდიდესი გამოცდილება ჩემთვის. როგორც იცით, პრემიერა ჯერ არ ყოფილა და ფილმის შეფასებას მაყურებლებს მივანდობ, არ მინდა ნინასნარ ვისაუბრო.

შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი, ახალგაზრდა, პერსპექტიული და ძალიან ნიჭიერი მსახიობები. საერთო ჯამში, ამ ფილმმა, როგორც მსახიობები, ძალიან გაგვზარდა, რაშიც უდიდესი წვლილი ბატონ ლევანს მიუძღვის. მე ვფიქრობ, რომ დავალებას თავი გავართვით და მაქსიმუმი გავაკეთეთ ამ ფილმისთვის. მეორე მხარე ისაა, რომ ძალიან დიდი კომფორტია მსგავს რეჟისორთან მუშაობა, როგორც ლევან თუთბერიძეა, იგი ყოველთვის ითვალისწინებს მსახიობის მოსაზრებას, გვისმენდა, ერთად განვიხილავდით მომენტებს და, რა თქმა უნდა, ყველანაირად ვცდილობდით მისი დავალება შეგვესრულებინა. რაც შეეხება ჩემ ძირითად პარტნიორს, ეს იყო გიორგი ხურცილავა, ფილმში ჩემი ძმა და უკვე თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაშიც ჩემი ძმაა, იგი ძალიან კარგი, საინტერესო და ნიჭიერი მსახიობია. მან ძალიან კარგად გაართვა თავი ყველაფერს. მოკლედ რომ გითხრათ, როცა ასეთი კარგი პარტნიორი, რეჟისორი და სამუშაო ჯგუფი გყავს, მუშაობა ბევრად სახალისო და საინტერესოა, შედეგიც არ უნდა იყოს ცუდი.

ნებისმიერი მსახიობის ოცნებაა ფილმში მთავარი როლის შესრულება. ქართული კინემატოგრაფიის რეალობა კი, ცოტა მძიმეა, არ არიან ქართველი მსახიობები განებივრებული მრავალფეროვანი კინოროლებითა და პროექტებით, რომლებშიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას. ახალგაზრდა მსახიობს, გიორგი ხურცილავას, რომელმაც „მოირაში“ მთავარი როლი შეასრულა, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მოუწია ამ დიდი პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე.

გიორგი ხურცილავა:

- ამ ფილმმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს კარიერულ წინსვლაში. პირველივე ფილმი და პირველივე მთავარი როლი, მგონი ამაზე კარგი არაფერია დამწყები მსახიობისთვის. ასევე აღსანიშნავია ბატონ ლევანთან მუშაობა, რამაც ძალიან დიდი ნაბიჯები გადამადგმევინა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. მე თავს შევიკავებ შეფასებისგან, ქართველმა და არამართო ქართველმა მ-

MOIRA

Film by Levan Tutberidze



DIRECTOR Levan Tutberidze;
SCREENPLAY David Pirckhalava, George Qobalia, Levan Tutberidze;
COMPOSER Nukri Abashidze; **DIRECTOR OF PHOTOGRAPHY** Gorka Gómez Andreu
PRODIUCERS Levan Tutberidze, Nikoloz Abramashvili
CAST Paata Inauri, Giorgi Khurcilava, Zaza Magalashvili, Keti Tskhakaia, Jano Izoria, Anni Bebia, David Khurcilava, Lili Khuriti, Irakli Sanaia, Bachi Lejava, Lasha Gurgeniidze, Ramin Kilasonia, Giorgi Surmava



ყურებელმა განსაჯოს, როგორც ფილმი, ასევე მსახიობები. იმედი მაქვს, ბევრი წარმატების მომტანი იქნება ეს ფილმი ქართული კინემატოგრაფიისთვის, წინ კინოფესტივალები გველოდება და ვიმედოვნებთ, რომ წარმატებებით დავბრუნდებით საქართველოში.

ქეთი ცხაკაიას, რომელიც ფილმში მთავარი პერსონაჟების დედას ასახიერებს „მოირას“ შეფასება უჭირს. ის მიიჩნევს, რომ რთულია შეაფასო ფილმი, როცა მასში თვითონ მონაწილეობ.

ქეთი ცხაკაია:

- მე თვითონ რამდენჯერმე უნ-

და ვნახო ფილმი, რომ შევაფასო, როცა მე თვითონ ვარ ჩართული ფილმში, ცოტა არ იყოს რთულია შეფასება, ვფიქრობ, რომ მაყურებელი ბევრად უფრო ობიექტურად შეაფასებს ფილმს. ჯერჯერობით მგონია, რომ ფილმი არ გამოვიდა საერთო ჯამში ცუდი, პირიქით,

ვინც კი ნახა, ყველა ნასიამოვნები დარჩა. იმედია, ასე გაგრძელდება შემდეგ ჩვენებებზეც და ეს ფილმი წარმატებას მოუტანს, როგორც ქართულ კინემატოგრაფიას, ასევე მთლიანად საქართველოს.

Prime Time ესაუბრა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრის ხელმძღვანელს, ნანა ჯანელიძეს, მისი თქმით:

„ჯერ ქართულ კინოთეატრებში პრემიერა არ შემდგარა და ამიტომაც თავს შევიკავებ შინაარსის კონკრეტული დეტალებისგან“

ნული ცენტრის ხელმძღვანელს, ნანა ჯანელიძეს, მისი თქმით:

- ფილმი არჩეულია სან-სებასტიანის ფესტივალზე, ასევე ვარშავის ფესტივალზე, მოგვხსენებათ, რომ ორივე აკლასის ფესტივალშია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა მხარემ სწორედ „მოირა“ შეარჩია ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად. კომისია დაკომპლექტებული იყო კომპეტენტური ადამიანებით, როგორებიც არიან: ნანა ჯორჯაძე, ზაზა ურუშაძე, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ „ოსკარის“ ნომინანტთა შორის. ასევე, გიორგი ოვაშვილი, ვაჟა გიგაშვილი, ნოშრეველი ჩხაიძე, ნატო მურვანიძე, კახა კანდელაკი, ლელა ოჩიაური და მეც. ფილმი დაფინანსებული იყო კულტურის სამინისტროს მიერ, რეგიონალური პროგრამის განხრით, რაც ძალიან კარგია და ნამდვილად ხელს უწყობს ქართული კინოს განვითარებას. ექსპერიმენტმაც გაამართლა და პირველივე დაფინანსებული ფილმი ძალიან კარგი გამოვიდა. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ფილმს უკეთესს პრომოუმენს. ეს მოიცავს, ფილმის გაგზავნას ფესტივალებზე, ტიტრების დადგენას, ფინანსების მოძიებას. სან-სებასტიანის ფესტივალისთვის, ჩვენ მიერ, ფილმი ესპანურად ითარგმნა. მაქსიმალურად ვცდილობთ, დახმარება გავუწიოთ ძალიან ნიჭიერ რეჟისორს, ლევან თუთბერიძეს.

ფილმში ძალიან საინტერესოდ არის წარმოდგენილი ის ყოფითი პრობლემები, რის წინაშეც ყოფილა და სამწუხაროდ, ახლაც იმყოფება ბევრი ოჯახი. ჩემი აზრით, ფილმი დააფიქრებს მაყურებელს მსგავს პრობლემებზე, ძალიან ფაქიზი თემაა და ბევრს გულს აუჩუყებს. ასევე აღსანიშნავია მსახიობების საერთო რეჟისორის ოსტატობა. საერთო ჯამში პროექტი შედგა, ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ფილმში. ახლა მთავარია ღირსეულად წარვდგეთ სან-სებასტიანის ფესტივალზე და წარმატებულად დავბრუნდეთ სამშობლოში.

ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში არაერთი დასამახსოვრებელი, საინტერესო და კინოინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი ფილმი შექმნილა. ისეთი მასშტაბის ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, არც თუ ისე ცოტა უნიჭიერესი მსახიობი და რეჟისორი გვყავს. უამრავ წარმატებას მივალწივს ქართველმა ხელოვანებმა ამ მიმართულებით. იყო და არის ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი კინემატოგრაფიის განვითარების მიმართულებით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არაერთი საინტერესო ფილმი შეიქმნა, თუნდაც ბოლო ათწლეულის მანძილზე.



იტალიური „პოპის“ სახისა და

my View
ნიმუ მკვლევარი

„მის პლანეტა 2015“-ის ჩატარებამ საქართველოში ერთი კარგი საქმეც გააკეთა. კონკურსის სიმპათიურ წამყვანს, გუკა ადამიასა და ულამაზეს ლიტველ კონკურსანტს, კაროლინ კალიკუტეს შორის სიყვარულის ძაფები გაიბა. ეს ჯერ კიდევ კაჭრეთის „ამბასადორში“ შევამჩნიე, სადაც „პრაიმტიმში“ ექსკლუზიურად თვალს ადევნებდა გოგონების შესარჩევ ყველა ტურს. არ გამოიმპარვია მათი მზერა სასადლო ოთახში, სარეპეტიციო დარბაზში. სულ სხვაგვარად წარადგენდა გუკა კაროლინს აუდიტორიის და ჟიურის წინაშე, როცა მისი გამოსვლის დრო დგებოდა. მომსწრე გავხდი სცენის, როცა გუკას ბა-სეინზე ტელეფონმა დაურეკა და მისი მზერა სასტუროს აივნიკენ გაიქცა. კაროლინი თეთრ ხალათში გადმომდგარი იყავი აივანზე და თავის რჩეულს ესაუბრებოდა. ერთ ღამეს წყვილი აივანზეც განმარტოვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კაროლინი იტალიური „ვოგის“ სახე და „mis fashion tv 2014“-ია.

ლიტველი კონკურსანტი ქართველმა თავიანთმცემელმა აეროპორტშიც გააცილა. მოკლედ, ჩემი რესპონდენტი თავად გაიმბობთ მათი ურთიერთობის ამბავს.

- გუკა, პირველ რიგში შენ შესახებ მიაბე, რა პროფესიის ხარ, რა ინტერესები გაქვს, შოუბიზში ხარ თუ არა?

- 24 წლის ვარ, პროფესიით სამართალმცოდნე. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, არავისგან არაფრით გამორჩეული. ცოტა ინგლისური ვიცი და ამიტომ მოხდა ჩემი დებიუტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წამყვანის ამპლუაში.

- როგორც ვხვდები, მოხიბული ხარ ლიტველი კონკურსან-



„მინდოდა გულში ჩამეკრა და ჩავსუტეხოდე“

„მომხარა, აქ ვერ ვჩერდები უზენოდ, ქალიან ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში“



ნტი, როგორ დაახლოვდით ასე მალე?

- ყველაფერი ავტომატურად დაიწყო. კახეთში, სასტუმროდან რესტორანში ავტობუსით მივდიოდით. დიდი დისტანციის გავლა მოგვინია ერთად. იმ დღეს განსაკუთრებით ლამაზი იყო. ქათინაურის ნაცვლად ნავულინი ფრაზა ლედი გაგას სიმღერიდან „walk, walk fashion baby“. ჩამიცინა ცოტა ირონიულად. მოვკიდეთ ერთმანეთს ხელი და ავედით ავტობუსში. მერე უცხოელ კონკურსანტებს ვასწავლიდი ქართულ სიმღერას, „თბილისოს“. იმდენად საყვარლად ცდილობდა თვითონაც, მინდოდა გულში ჩამეკრა და ჩავსუტეხოდე. რამდენიმე წუთში, ვეღარ მოვიტოვებდი და გვერდით მივუჯექი. რალაცნაირად დაფრთხა, დაიბნა და გამიცინა ისევ. ეს იყო დასანყისი, რომელიც საკმაოდ უჩვეულო და ჩემთვის ორიგინალური იყო. იმ ნა-

მიდან, იმ საათებიდან, სადაც კი რამე ხდებოდა, დეფილუ თუ გადაღება, სულ ერთად დავდიოდით. თვალებით ვხვდებოდი რა უნდოდა, შიოდა თუ სწყუროდა, მოწყენილი იყო თუ კარგ ხასიათზე. როცა საღამოები მიმყავდა, ჩემი ცენტრი კაროლინი იყო, ძალიან ველავდი პოდიუმზე რომ გამოდიოდა, ბოლოს გამომხედვდა და ჩამიცინებდა თავისი ლამაზი ლიმილით და მაგრძობინებდა, რომ არ მენერვიულა, ისიც ჩემ გვერდით იყო.

ერთ ღამეს, ყველა კონკურსანტს ადრე უნდა დაეძინა, მეორე დღეს ბევრი საქმე ჰქონდათ, ჩვენ ერთად ყოფნა გვინდოდა. არცერთს არ გვეძინებოდა. გარეთ არ შეგვეძლო გასვლა და სასტუმროში რალაც პატარა აივანი ვიპოვეთ, იქ მივიმალეთ და დილაშუა ვისხედით. ასე საუბარში დაგვათენდა თავზე. ყოველდღე უფრო და უფრო ახლობლები ვხვდებოდით ერთმანეთისთვის და ვაცნობიერებდით, რომ ერთმანეთთან

სრულ კომფორტში ვიყავით.

- როგორც ვხვდები, კაროლინიც არ იყო გულგრილი შენ მიმართ...

- გულგრილი რომ ყოფილიყო, ამას ვიგრძნობდი, ჩვენ ვუგებდით და ვხვდებოდით იმას, რომ რაც მეტი დრო გავდიოდა, მით უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს.

- უკვე გამოუტყდით ერთმანეთს სიყვარულში?

- სიყვარულს რაც შეეხება, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, დრო გვიჩვენებს ყველაფერს. ამ გადმოსახედ-იდან, თუ ასე კარგად გაგრძელდება ყველაფერი, ლიტვა და საქართველო იზეიმებს ჩვენს ამბავს (იცინის).

- რა მოგეწონა ყველაზე მეტად მასში?

- ოოოო, იცით როგორია? რომ გეხუტება, ხმას არ იღებს, ჩუმად, უსიტყვოდ გრძნობს, მზრუნველი და თბილია, ყურადღებიანია, მოსწონს ჩემი „გრუზინული“ ხასიათი, სულ თვალბეჭდით მიყურებს და მიღიმის.

რალაცნაირია, აი, სიტყვებით რომ ვერ გამოვხატავ, ისეთი... სანამ გაფრინდებოდა, კონკურსის მერე კახეთში წავიდა და ლამის ოთხ საათზე უკან ჩამოვიდა, რომ ვენახე. მომწერა, აქ ვერ ვჩერდები უშენოდო, ძალიან ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში. ვადმოვიდა თუ არა მანქანიდან, ჩამეხუტა.

- როგორია შენი „გრუზინული“ ხასიათი?

- ცოტა ჯოჯოხი, პრინციპული და ხისტია. თანაბრად რომ აბალანსებს ემოციებს.

- კაროლინი გაფრინდა უკვე, როგორი იყო განშორების წუთები. გაცილდე, ალბათ...

- სანამ გაფრინდებოდა მცხეთაში წავიყვანე, სვეტიცხოველი ვანახე. ვასწავლე პირფერის გადანერა,



სკანდალი - რატომ ვერ გამოვიდა „მის პლა

my View
ნიმუ მკვლევარი

როგორც უკვე იცით, „მის პლანეტა 2015“ საქართველოში ჩატარდა. 12 სექტემბერს, ფინალზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, „ტალანტმოუს“ დროს, თავისი ნომერი ვერ გამოიტანა რუსმა კონკურსანტმა. ნატალია შარონოვა სამჯერ გამოაცხადა კონკურსის წამყვანმა და ორიგანიზატორმა ეკა მგალობლიშვილმა და არ გამოვიდა სცენაზე. ამის მიუხედავად, ჟიურიმ სწორედ ეს კონკურსანტი დაასახელა „ტალანტმოუს“ გამარჯვებულად.

„პრაიმტიმის“ მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ნომრის ჩავარდნის გამო, კონკურსანტი მოხსნეს, ეს ლოგიკურიც იქნებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გოგონა არათუ მოხსნეს, „ტალანტმოუს“ გამარჯვებულად დაასახელეს.



ჩვენ ეკას დაუუკავშირდით და ჩავდებოდა ნომრის დეტალები გამოვკითხეთ.

- ეკა, რა მოხდა, რატომ ჩავარდა რუსი კონკურსანტის ნომერი?

- „ტალანტმოუს“ 10 სექტემბერს კახეთში ჩატარდა. საერთაშორისო ჟიურიმ ამ დღეს გამოავლინა ტოპხუთეული და გამარჯვებული. რუსეთის კონკურსანტი აზიურ ცეკვას ასრულებდა, ბოლოს დატეხილ მინებზე ფეხით გაიარა და დაწვა. ამის ფოტო და ვიდეომასალა არსებობს. ფინალის დღეს წამყვანი ვიყავი, სამჯერ გამოვაცხადე კონკურსანტი თავისი ნომრით და არ გამოვიდა სცენაზე. კულისებში რომ შევედი, მიზეზი ვიკითხე. დატეხილი მინები დამრჩაო, მითხრა და გამიღიმა. კონკურსის პრეზიდენტმა, ირინა პაპაზოვამ თქვა, რომ ის ქულებით გამარჯვებულია და „მის ტალანტი“ სწორედ ეს კონკურსანტი გახდა.

- ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ რუსმა კონკურსანტმა ფინალზე ვერ გამოიტანა თავისი ნომერი?

- თვითონ კონკურსანტი. სხვა არაფერ. მას ძალიან კარგი დირექტორი ჰყავს, ეკა მახლენინა. ის

ეკა მგალობლიშვილი: „სამჯერ გამოვაცხადე კონკურსანტი თავისი ნომრით და არ გამოვიდა სცენაზე“

ჩემი მეგობარია. დარბაზში ისიც იჯდა. კონკურსის საერთაშორისო ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ ტალანტმოუს უკვე ჩატარდა და ქულებით რუსეთმა გაიმარჯვა... მეც ვუსაყვედურე ნატალიას ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, მაგრამ ვერაფერს შევცვლიდი. გაუთვალისწინებელი შემთხვევები ყველგან ხდება.

- თუ ყოფილა მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს სხვა სილამაზის კონკურსებზე, ფინალურ შოუში ნომერი ვერ გამოიტანა და სწორედ ის კონკურსანტი დაესახელებინათ გამარჯვებულად?



ქართველი ბიჭის „ლავსტორი“

„თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ლიტვა და საქართველო იზაიმაზს ჩვენს ამბავს“

ლოცვა. ხელჩაკიდებულები დავდიოდით და ყველა ჩვენ გვიყურებდა, სურათებს გვიღებდნენ.
 - პირველის წერა, ლოცვა ვასწავლო, მითხარი. კაროლინი არ არის ქრისტიანი?
 - კათოლიკეა. პირველს ჩვენ მარჯვნიდან მარცხნივ ვინერო, ისინი კი - პირიქით, მარცხნიდან მარჯვნივ. რაც ჩეხებმა ლოცვის სწავლებას, პირდაპირ ნუ გაიგებთ, მართლმადიდებლურ ტაძარში ლოცვა ვიგულისხმე. სხვადასხვა პროცესია. მაგალითად, როგორ ხდება ნათლობა, მირონცხება და ა.შ. საინტერესოდ გაკვირვებული იყო.
 ს ხ ვ ა თ ა



„გარეთ არ შეგვეკლო გასვლა და სასტუმროში რაღაც პატარა აივანი ვიპოვეთ, იქ მივიმალეთ და დილაგდე ვისხადით“

„სანამ გაფრინდებოდა, მცხეთაში წავიყვანე, სვეტიცხოველი ვანახე. ვასწავლა პირველის გადაწერა, ლოცვა. ხელჩაკიდებულები დავდიოდით და ყველა ჩვენ გვიყურებდა, სურათებს გვიღებდნენ“



EXCLUSIVE

შორის, თამარ მეფე საზღვრებს გარეთ დღემდე იცინა. მაშინვე იცნო და მითხრა, ეს ხომ quinn Tamarია. საიდან იცი-მეთქი, გამიკვირდა. ჩვენც ვიცით სხვა ქვეყნების ისტორიას, მიპასუხა...
 უბედნიერესი ვარ... ყველაფერი ახლა დავიწყეთ, ვნახოთ რა იქნება. ზამთარში ან მე ჩავალ, ან ჩამოვიყვან! დაგეგმვით ჯერ მხოლოდ ამას ვგეგმავთ. დანარჩენს დრო და ურთიერთობა მოიტანს... აეროპო-

რტში გავიარეთ რეგისტრაცია თუ არა, თავი კალთაში ჩამიდო და დაეძინა. რომ გაიღვიძა ვილაპარაკეთ ჩვენზე, გვიწოდდა მაქსიმალურად დავმტკბარიყავით დარჩენილი წუთებით. რომ ვემშვიდობებოდი, ჩამეხუტა და მითხრა, არ მოიწყინო, მე მალე დავბრუნდებიო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ისევ ჩემთანაა. ემოციური იყო ყველაფერი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა დავიწყეთ.

ნატა 2015-ის“ სცენაზე რუსი კონკურსანტი



„ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ვუსაყვედურე ნატალიას, მაგრამ ვერაფერს შევცვლიდი“

- მე არ ვარ კონკურსის პრეზიდენტი. მე „მის პლანეტის“ ეროვნული დირექტორი გახლავართ საქართველოში. ნლევანდელ კონკურსს გავუკეთე ორგანიზება, ვინაიდან საქართველოში ჩატარდა და ვფიქრობ, კარგად გავართვი თავი, რადგან 26 ქვეყანა, თავისი დელეგაციებით, დღემდე მადლობებს მიხდის.

- საქმე რუს კონკურსანტს ეხება, გესმის, ალბათ, კითხვებიც ამიტომ ჩნდება.

- რუსი კონკურსანტიც და მისი ეროვნული დირექტორიც კმაყოფილები წავიდნენ საქართველოდან. დღესაც მწერენ და მადლობას მიხდებიან მასპინძლობისთვის და მეგობრობისთვის.

„რუსი კონკურსანტიც და მისი ეროვნული დირექტორიც კმაყოფილები წავიდნენ საქართველოდან“


- „ტალანტმოუ“ არის ცალკე ტური, ის ცალკე ტარდება და შედეგად მაშინვე იდება. ფინალზე, უბრალოდ, ღონისძიების გასალამაზებლად გამოაქვთ ხოლმე ტოპსუთეულის ნომრები.
 - მაყურებლის პოზიციიდან ვსვამ ამ კითხვებს, რატომ უნდა ენდოს უიურის, როცა ნომერი არ უნახავს...

MOIRA

Film by Levan Tutberidze



„მოირა“ -
საქართველოს
კანდიდატი
ფილმი „ოსკარზე“



აკა მოჩილაძე:
„სულ ვნერ, ფეხბურთეც
კი ვნერ კვირაში ორჯერ
საქართველოსთვის. ასე რომ,
არ ვთვლი, რომ ნასული ვარ“

exclusive




„ვოცნებობდი, ოდესმე მეც
დავმჯდარიყავი სარკესთან
და ის დიდი წამნამები
მომეხსნა და გამეკეთებინა“

exclusive ნუცა შანშიაშვილის ექსკლუზიურად პირადი

„ქმარს არ უნდა უღალატო,
რქიანი კაცი რად გინდა?!“

ISSN 1987-7404



9 771987 740005

შპს „სანავალ-დინამოს სტამბა“

40 Time ორშაბათი, 21 სექტემბერი, 2015



მარიტა როსვაძის ასალი ამკლუა exclusive

„ტელენამყვანობა ჩემი ოცნება იყო“